

K 219695  
3


კულტურის  
მინისტრი

# ახალგაზრდობის ცოციოლოგიის საკითხები



განათლება

# ახალგაზრდოს სოციოლოგის საკითხები



შავობის მიერ გენერალური „გ ა ნ ა თ ლ ი რ ა“  
თბილისი — 1981

301.085 - 3 KCMF


301  
60.5  
301+301 : 30 გბ  
გ 927



ნაშრომში განხილულია თანამდებოვე ახალგაზრდობის,  
უმთავრესად საშუალო სკოლების მოსწავლეთა და სტუდენ-  
ტთა მოძრაობის სოციალური ჩასიათი, ამ მოძრაობის დამ-  
ნასიათებელი სპეციალური ნიშნები: — აქსელერაციისა და  
ასაკობრივი ჯგუფების, ახალგაზრდობის პროფესიული ღიამაქ-  
მებულობისა და განათლების, პროფესიული ორიენტაციის,  
პროფესიის რაობის, სტიმულირებისა და სხვა საკითხები.

K 219695  
3

10505 — 035  
Γ M-602 (08) — 81 176—81 © გამომცემლობა „განათლება“, 1981 წ.



## ახალგაზრდული მოძრაობისა და კონფესიული ორიენტაციის საპითხები

### 1. თანამომდევნობითობისათვის

„შენ, ხალხსავსე მოედნებზე უსაქმოდ რომ დაეხეტები, გინდა [ოუარა] მიაღწიო წარმატებას? მაშინ შეხედე შენზე აღრინდელ თაობებს. წადი სკოლაში, ეს შენ სიკეთეს მოგიტანს, ჩემი ვაუ! შეხედე წინანდელ თაობებს, სთხოვე მათ პასუხი. შენ გასტეხე [დააუძლურე] ჩემი გული... იმის გამო, რომ შენ ისე არ იქცევი, როგორც შეცვერის აღამიანს, ჩემი გული თითქოს გარუჭულია ბოროტი ქარით.

შენი ბუზლუნით [წუწუნით] შენ მე უკიდურესობამდე გამიჭირვე, შენ მე სამარის პირამდე მიმიყვანე... სხვები, შენი ტოლები, მუშაობენ, ეხმარებიან მშობლებს. შენ კი, შენ ვაჟაცი ხარ მხოლოდა შენი ჭიუტობით, მაგრამ მათთან შედარებით შენ სრულებით არ ხარ ვაჟკაცი“.

ეს 3700 წლის წინათ შუმერების ფირფიტებზე დაწერილი მამის სიტყვებია მოწიფული ვაჟისადმი.

შუმერები — ესაა ძველ შესოპოტამიაში — ევფრატსა და ტიგრისს შორის, შეამდინარეთში, ძვ. წ. აღ.-ით VI ათასწლეულის დასაწყისში წარმოქმნილი ცივილიზაცია. აქ ძვ. წ. აღ.-ით IV ათასწლეულის დასასრულს ანუ III ათასწლეულის დასაწყისში წარმოშეა პიკოგრაფიული დამწერლობა.

უკვე ძვ. წ. აღ.-ით III ათასწლეულის პირველ ნახევრაში ირიგაციის სისტემაზე წარმოქმნა მონათმულობელური სახელმწიფო. ეს იყო ლეგენდარული ვილგამეშის სამეფო („ვილგამეში“, ეპიკური პოემა, ქართულად თარგმნილია ქადურილან).

შუმერთა ცივილიზაციის ნანგრევებზე ძვ. წ. აღ.-ით II ათასწლეულიდან აშენდა და განვითარდა ბაბილონის სახელმწიფო — ქ. ბაბილონით (აქალური სიტყვაა, „ბაბილუ“ — „ღვთის ქარიბებე“). ეს უკანასკნელი მეტე, VIII ს., დაბყრეს ასურელებმა, შემდეგ, VI ს., სპარსელებმა (კიროსმა); მეტე — IV ს. ბერძნებმა (ალექსანდრე გაკედონელმა, 331 წ.). ქ. ბაბილონის აღვილას ახ. წ. ა. II ს. მხოლოდა ნანგრევები იყო.

— ეს სიტყვები, როგორც სიტყვები, თითქოს დღესაც ისევე ცოცხალია და ყოველდღიური ჩეენს ცხოვრებაში, როგორც მრავალი საუკუნის წინათ.

ქველად ტრადიციით, ასე თუ ისე, მინიშნებული იყო, თუ რა ასაკიდან თავდებოდა პატარაობა და შეიძლებოდა იღამიანი ჩაეთვალათ დი-

დად — სრულწლოვანად (მოწიფულად). ეს დრო დგებოდა, როდესაც შას შეეძლო გაეჩინა შთამომავლობა, ოჯახი, — როდესაც შეეძლო ურჩიინა თავისი თავი, ეტარებინა საბრძოლო იარალი, გაეკეთებინა კავი (სახვნელი იარალი), გაეყვანა კვალი — ორნატი (კავით მოხსნა მიწა), გაეხედნა ცხენი და ა. შ. მაგრამ ყოველივე ესეც პირობითი იყო.

არ იყო და არც არის რაიმე ზუსტი და მტკიცედ გარკვეული ზღვარი: დღეიდან შენი ბავშვობა გათავდა, შენ უკვე დიდი ხარ, წადი, იარე, იცხოვრე ისე, როგორც შეგიძლია; — შენ შენს თავს ეკუთვნი, შენი თავი შენ გეკუთვნის, შენზეა დამოკიდებული როგორ გადახვალ სათა-მაშობიდან ნამდვილი შრომისა და ბრძოლის იარაღების ათვისებაზე;

— მაგრამ შენ ამიერიდან არა თუ მხოლოდ უნდა აითვისო წინაპარ-თავან მიღებული ეს იარაღები და მათი საქმეები, არამედ შენ უნდა თვითონაც აკეთო ასეთი და, რაც მთავარია, აკეთო უკეთე სი იარა-ღები და საქმეები, შენ უნდა ყველაფერში გაუსწრო, გადაჭარბო მამა-პაპათა ნაამაგარს და თანაც ისე, რომ მათზე უკეთე საღ და იცვა და შეუნახო შენს მომავალ თაობებს თვით წინაპართავან მიღებული ნივთიერი თუ სულიერი მემკვიდრეობა;

— რათა ყოველივე ის, რასაც შენ გაკეთებ, მტკიცე საფუძველზე იყოს დამყარებული, რადგანაც ის, რაც შენ მიიღე, როგორც დედულ-მამული, საძირკველია იმისა, რაც შენ შეგეძლება გაუკეთო და დაუტოვო შენს საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს, რომლებიც შენ და თვით შენს წინაპარებს დაგაფისებენ თქვენი საქმეების მიხედვით.

მაგრამ სინამდვილე აგრე მარტივი და ადვილად გამჭვირვალე რო-დია. თვით უძველეს და ძეელ ხალხებში ადამიანის ასაკში შესვლა დიდ-მნიშვნელოვან მოვლენად იყო მიჩნეული და სპეციალური ინიციაციით (initiatio — განდობით, დალოცვით) აღინიშნებოდა, როდესაც დასა-კებულს ასწავლიდნენ ყოველივე საჭირო საქმეს, გამოცდიდნენ ვარგი-სობაში, გაანდობდნენ გვარის, ტომის, აშკარა (საჭარო) თუ ფარულ საიდუმლო ტრადიციებს და, საერთოდ, ამოწმებდნენ და აზიარებდნენ ყოველივეს, თუ როდის როგორი უნდა ყოფილიყო იგი, როგორც უკვე დიდი, რომელიც ამიერიდან ეთხოვებოდა ბავშვობას და დიდების წრეში გადადიოდა ხოლმე. ერთიდან მეორე ასაკობრივ (სოციალურ) სტატუსში ეს გადასცლა სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვა წეს-ჩვეულე-ბათა, მისტერიულ რიტუალთა, კურთხევის, განდობის (ინიციაციის) შესრულებასთან იყო დაკავშირებული... ამიერიდან ბავშვი „ახლად იბა-დებოდა“ და დიდების წრეში შედიოდა.

თანამედროვე, XX ს. მეორე ნახევრის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის სოციოლოგიის პრობლემათა შორის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მომენტია აქსელერაციის საკითხი.

აქსელერაციის (ტერმინი შემოიღო გერმანელმა მეცნიერმა ე. კოხ-ბა) შედეგები გასათვალისწინებელია ახალი თაობის როგორც ბიოლოგიურ, ისე სოციალურ ცხოვრებაში. თუ მე-19 საუკუნეში და ადრე ადამიანი იზრდებოდა (მოწიფულობაში შედიოდა) 22-25 წლამდე, ამჟამად იგი, საშუალოდ: ქალი 16-17 წლისა, ხოლო ვაჟი 18-19 წლისა, ასე ვთქვათ, უკვე ამთავრებს ზრდას, თანაც ისე, რომ ტანით მშობლებზე უფრო მოზრდილი ხდება. ფიზიურ განვითარებასთან ერთად მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის მიღწევების, ინფორმაციისა და სწავლის გავრცელების დიდი წარმატებების შემთხვებით ახალი ახალგაზრდობა უფრო ადრე და უფრო ფართო ინტელექტუალურ განათლებას ღებულობს, ვინემ მათი უახლოესი წინაპრები, ამასთანავე, რამდენადაც მათი, როგორც პიროვნების, როგორც მაქალაქის ფორმირება შეცვლილ ვითარებაში ხდება, ბუნებრივია, რომ ასკისა და თაობათა საკითხებშიც მათი ეთიკური და ფსიქოლოგიური ნორმებიც განსხვავებულია.

ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი პოეტის ლეონიდ მარტინოვის ერთი ლექსის ნაწყვეტი:

«...Мы те, которых не бывало прежде,  
И прошлогоднейшие ярлыки  
Вы к нашей не пришилилите одежде.  
Сказать точнее, есть у нас черты,  
В которых ни малейшей капли сходства  
С чертами богачей и бедноты,  
Здесь речь идет о праве первородства...»

ახლა საჭიროა ალინიშნოს, რომ კანადაში 12-წლამდელი ბავშვები საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობენ. ამ უფლებით უფრო სებს რომ არ ესარგებლათ, ქალაქ ტორონტოს ხელისუფალთ საკითხი ასე გადაჭრეს: ავტობუსის ან ტროლეიბუსის შესასვლელ კარებთან დაკიდებულია სასიგნალო რგოლი; — ვინც მას თავით შეეხება, ბილეთი უნდა იყიდოს. მაგრამ აქაც კონტროლის ერთმა სიძნელემ იჩინა თავი.

როგორც ცნობილია, ბავშვების საშუალო სიმაღლე სულ იზრდება, რის გამოც აუცილებელი ხდება დროდადრო რგოლის აწევა.

1921 წ. რგოლები ეკიდა 127 სმ. დონეზე

1942 წ. " " 133 " "

1956 წ. " " 146 " ", ხოლო ამჟამად,

1973 წლიდან, რგოლები კიდია 151 სმ დონეზე.

ამგვარად, ახლა 12 წლის კანადელი ბავშვების საშუალო სიმაღლე არ

აღემატება 151 სმ; ე. ი. ნახევარი საუკუნეც კი არ დასჭირდა, რომ იგი  
თითქმის 25 სანტიმეტრით გაზრდილიყო.

ამჟამად, გასაგებ გარემოებათა გამო, ახალგაზრდობის სოციოლო-  
გიის საკითხის შესწავლაში ჩაერიცხნენ მედიცინის, საერთოდ ბიოლო-  
გიის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც.

ქვემოთ საჭიროდ მიგვაჩნია გაგაცნოთ ამ მხრივ ერთი დიდმნიშვნე-  
ლოვანი გამოკვლევის შინაარსი, უკეთ ვთქვათ შედეგები. ამ სანტერე-  
სო გამოკვლევის ავტორია გამოჩენილი პოლონელი მეცნიერი, პედიატ-  
რი და სოციოლოგი პროფ. ოლეს შჩეპსკი. (იხ. ურნ. „Polfa“  
1971, № 3, ვარშავა).

სიმწიფეის პერიოდში შემავალი ახალგაზრდის აღზრდის საკითხებში  
ო. შჩეპსკის დასკვნების შინაარსი ასეთია:

მომწიფების პერიოდის განმავლობაში ადამიანი საბოლოოდ აღწევს  
თეოთმყოფობასა და დამოუკიდებლობას მშობლებისა და აღმზრდელთა-  
გან; აღწევს სექსუალურ იმპულსთა ინტეგრაციას, ითვისებს გარემომ-  
ცველ საზოგადოებრივ წრეს, რათა მასში მონახოს თავისი ადგილი.

მომწიფების პროცესში მყოფ პაროკნებაზე ზეგავლენის და მის  
შიმართ ფსიქოთერაპიის მიზანი უნდა იყოს მის მიერ სინამდევილის,  
რეალური ცხოვრების ფასეულობათა და საზოგადოებრივი თანაარსე-  
ბობის აზრის შეცნობა. ყმაშვილი ბიჭისა და გოგონასაგან უნდა შეიქ-  
მნას ნებისყოფის მქონე ადამიანი, რომელიც პასუხს აგებს თავისი  
ყოფაქცევისათვის.

მომწიფების პერიოდის მთელი ამ ფენომენოლოგიის შეფასებისა-  
თვის აუცილებელია დეტალური ანალიზი როგორც ფსიქოლოგიური,  
ასევე სომატოლოგიური! ასპექტებისა, რომლებიც ამ დროს ვლინდე-  
ბიან.

მომწიფების წლები ყოველი ინდივიდის ცხოვრებაში ყველაზე ჯან-  
სალი, ფიზიკური განვითარებისა და ცველაზე მცირე ავადმყოფობის  
პერიოდია. ამის შედეგი ისაა, რომ ამ პერიოდში ექიმი-პედიატრი იშვი-  
ათადაა კონტაქტში მომწიფებად ინდივიდთან, ვინემ მისი ცხოვრების  
უფრო ადრინდელ პერიოდში. მაგრამ, სამაგიეროდ უფრო ხშირად  
ხვდება მას ფსიქოლოგი და ფსიქიატრიც კი, აღმზრდელობითი თუ  
მკურნალობითი კონსულტაციების საჭიროების შესაბამისად.

ერთ-ერთი ძირითადი და, სამწუხაროდ, ხშირად განმეორებადი შეც-  
დომა ისაა, რომ ახალგაზრდები სამყაროს აფასებენ უკვე მოწიფეულთა  
თვალებით და მათივე კრიტერიუმებით. შეხედულება, რომ მომწიფების  
პერიოდი ესაა იმავე დროს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერი-  
ოდი, რომ ბავშვებს სჭირდება მყულოება, რომ იგი პირადი ცხოვრების

<sup>1</sup> Soma — სხეული, სხეულის (ტანის) ორგანოთა ნიშნები.

პრობლემებში ხდება კარჩაკუტილი (განსაკუთრებით მშობლების მი-  
მართ), რომ ესაა ოღვენა ძეველი, კიდევ გადაუჭრელი კონფლიქტებისა  
და სხვა მრავალი... აუცილებლად სწორი და მართებულია, მაგრამ პრაქ-  
ტიკულად ნაკლებად გამოსაცდელი და ძნელად გამოსაყენებელი. საქ-  
მე ისაა, რომ ყოველი ბავშვი მოითხოვს არა სქემატურ, არამედ ინდივი-  
დუალურ შეფასებას, რაც გულისხმობს მისი წარსულის და აქამდე შე-  
ძენილი გამოცდილების გათვალისწინებას.

თავისი ცხოვრების 1—3 წლებში ბავშვი იწყებს განკარგულებათა  
და აკრძალვების გაგებას და ავითარებს თავის ნებისყოფასა და ინდი-  
ეიდუალობას, იწყებს სიხარულის შეგრძნობას თავის ცხოვრებაში და-  
მოუკიდებლად რაიმეს შეძენის (შემატების) გამო.

შემდგომი 3—6 წლის განმავლობაში მას უვითარდება ფსიქო-სექ-  
სუალური ორიენტაცია და შემეცნების ელემენტები... ამ ხანებში ხდება  
ოჯახის დაურღვევლობის გრძნობის ფორმირება, ჩნდება ოცნება მეულ-  
ლებაზე, საოჯახო ცხოვრების როლსა და მნიშვნელობაზე. მართალია,  
ყოველივე ეს ბავშვურია და მიამიტური (მაგ., ბავშვის შეპირება, რომ  
ის შეირთავს დედას და სხვ.), მაგრამ მაინც ამ დროს გაჩენილი ცნებები  
მეულლეობის და ოჯახის შესახებ სამუდამოდ ჩაიბეჭდება ბავშვის გო-  
ნებაში როგორც კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ მოვლენებს.  
ამიტომაც ყოვლად მიუღებელია ამ პერიოდში ბავშვების მათი სქესისა-  
თვის შეუსაბამოდ მორთვა, რასაც ხშირად უფროსების გასართობადაც  
კი აკეთებენ.

6—12 წლის ასაკში ბავშვის სასიცოცხლო ენერგია სცილდება სქე-  
სობრივი სფეროს ფარგლებს—თამაშობათა, სპორტის, მეცნიერებისა და  
სხვა მიმართულებით. ამავე ხანებში მათში ვითარდება პასუხისმგებლო-  
ბის, გამარჯვებისა და დამარცხების გრძნობები, რაც მიღებულ გამოც-  
დილებათა ბაზაზე (ოჯახი, სკოლა) მას უვითარებს საკუთარ ინდივიდუა-  
ლობას, საკუთარი ლირისების გრძნობას<sup>1</sup>.

ცნობილი საბჭოთა მუნიციპიტეტი აკად. ს. სტრუმილინი არც თუ ისე დიდი ხნის  
წინთ წერდა: აღზრდის საზოგადოებრივ ფორმებს ჟეველა სხესთან შედარებით უნდა  
შეინიჭოს უდაც უპირატესობა. ამიტომაც ჩევენ უაბლოეს წლებში ისეთი ტემპებით  
უნდა გავაფართოვოთ ეს ფორმები, რომ 15—20 წლის შემდეგ საყოველთაოდ ხელ-  
შისაწვდომი გახდეს ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის — აკვიდან სიმწიფის მოწ-  
მობამდე. „ყოველი საბჭოური მოქალაქე, სამშობიარო სახლიდან გამოსვლისთვავე  
იგზავნება საბავშვო ბაგაში, აქედან — საბავშვო ბაღში მთელი დღე-ღამის განვალო-  
ბაში ანდა საბავშვო სახლში; მერმე სკოლა-ინტერნატში, ხოლო შემდევ აქედან ივი  
უკვე დაადგება დამოუკიდებელი ცხოვრების ვზას — მიდის წარმოებაში ანდა სწავ-  
ლის გასაგრძელებლად შერჩეული სპეციალობის მიხედვით“<sup>2</sup>.

მაგრამ ამგვარად აღზრდილმა მოქალაქემ, ცხადია, არ იცის თუ რა დედის ალექ-

<sup>1</sup> Б. Спок, Ребенок и уход за ним, 1971, М.

<sup>2</sup> Струмилин, Наш мир через 20 лет, 1964, М., стр. 156.

სი, მშობლური სიყვარული, მხრუნეელობა და ამაგრ. ამსთანავე უდავოა, რომ ყოველივე ამას ბავშვის ემოციური ფორმირებისათვის, მასში ადამიტურული გრძელების აღზრდისათვის დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც რეჟის მისი ფიზიკური განვითარებისათვის.

მას, მერქე, რაც ს. სტრუმილინი ამას წერდა, 20 წელზე მეტმა გაიარა და მაღლობა ღმერთს, რომ მისი პროგნოზი ღლავადაც არ განხორციელებულია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი და უფრო აჩქარებული პროგნოზები, სამწერაოდ, ბევრი იძენება.

ცხადია, სხვადასხვა ასაკში თამაშის იდეური ჩარჩოები და თვით სათამაშო ნივთები იცვლება ბავშვის (ადამიანის) გონებრივი განვითარების შესაბამისად. უკანასკნელ ზანებში დასავლეთის ქვეყნებში ფართოდ გაერცელებული ცნობილი შვეიცარიელი ფსიქოლოგის უან პიაჟეს (Jean Piaget — დ. 1897) მიერ შემუშავებული გონებრივი განვითარების ოთხძირითად სტადიას განასხვავებს:


1. პირველ, სენსორულ-მოტორულ სტადიაზე (დაბადებიდან 1,5—2,0 წლის ასაკში) ბავშვი გრძელდათა ორგანოების კონტროლით იწყებს სისტემატურ მოქმედებათა ფორმირებას;

2. ოპერატიულობამდელ სტადიაზე (2—7/8 წლის) ბავშვი გამოიმუშავებს უნარს ობიექტები და მოვლენები შეცვალოს სიმბოლოებით... — უნარს ნამდვილი გონებრივი განვითარებისა, მოსაზრებისა, რაც შეიძლება გაუზიაროს სხვებს;

3. კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე (6/7—11/12 წლის) ბავშვის აზროვნება ხასიათდება უკუმიუქულობით (ერთმიმართულებიანობით) და იგი კონკრეტრიჩებულია ობიექტის ანუ სიტუაციის ერთადერთ თვისებაზე; ეს სტადია ხასიათდება „აზრის მიქცევადობით“, — ბავშვს შეუძლია შესასრულოს გონებრივი ოპერაციები (მიმატება, გამოკლება, გაყოფა და სხვ.), რომლებიც შეიცავენ კლასთა ლოგიკას და რეალურ ობიექტთა მიმართებებს;

4. მეოთხეა ფორმალური ოპერაციების სტადია (11/12—15/18 წლის ბავშვის გონებრივი განვითარების ღონე), — თუ აქამდე ბავშვი ორიენტირებული იყო მხოლოდ კონკრეტულ ობიექტებსა და მოვლენებზე, ამიერიდან ფორმალიზებული აზრი შესაძლებლობას იძლევა განსჯის საგანი იყოს ყოველგვარი კომბინაციები და მოვლენები, რაც კი შესასწავლ სისტემას შეეხება.

ახლა აქ, ამ თეორიის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეორე სტადიიდან თამაში (გართობა, მოცალეობა) და სწავლა (მუშაობა, შრომა) თავიანთ იდეურ საფუძვლებში სულ უფრო ახლოვდებიან და... გმოიყოფიან ერთმანეთისაგან დროსა და სივრცეში და ეს დიფერენციაცია ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება და ღრმავდება...



საერთოდ „თამაშის ასაკის“ პერიოდში, როგორც ცნობილი მეცნიერებების ერთ დიმიტრი უზნაძე წერს, ბავშვის თამაშის პირველი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ აქ „ყველა ფერი ყველა ფრად შეიძლება აქციო: ეს შენს ნებაზეა დამოკიდებული... თამაშის ცნობიერება ყოველთვის სახეს უცვლის სინამდვილეს, ყოველთვის სხვა რამედ გარდაქმნის მას...“ ამასთანავე ბავშვმა კარგად იცის, რომ ჯოხი მართლა ცხენი არაა და მაინც: „აჩუ“, „აჩუო“ უძახის და დააჭირებს... ჯოხი რომ ერთბაშად... ცხენად იქცეს და ჭიხვინი მორთოს,... ბავშვი, ცხადია, ფრიად შეშინდებოდა და სიხარულიც ასევე ერთბაშად გაუვლიდა...

სწორედ ამიტომ აკად. დ. უზნაძე ამ თამაშს დიფუზიურ სინამდვილეს უწოდებს — ის ერთდროულად ფანტასტიკური სინამდვილეცაა და ნამდვილი სინამდვილეც. საქმე ისაა, რომ „თამაშის შინაარსი ფანტაზიით გადამუშავებულს, გარდაქმნილ რეპროდუქციას წარმოადგენს იმისას, რაც ბავშვს ნახული ან გავონილი აქვს და არა თავისუფალი ფანტაზიის დამოუკიდებელ ნაყოფს“!

მაგრამ ბავშვები არა თუ არსებული ნივთებით (საგნებით) თამაშობენ, ისინი აკეთებენ ახალ სათამაშოებს — ხის თოხს, ბარს, სატევარს, ფარს, ურქმს, ჩონგურს, სალამურს, ცხენს, ძალს, თოფს და ამაში მათი შემოქმედებითი ფანტაზია კიდევ ახალ აღმაფრენას აღწევს. თამაშობენ საკუთრად მათ მიერ გაკეთებული ნივთებით და... მათ მიერ წარმოდგენილ თამაშში (პიესაში) ისე მოჩანს, თითქოს მათი წარმოსახვითი უნარი უკიდეგანოა... მათ შეუძლიათ ძლიერ დასცილდნენ არსებულ ნორმებს (ე. ი. არ იყვნენ შეზღუდული გარემოების, მშობელთა ყოფიერების შაბლონით) და შეაღწიონ შორეულ სივრცეებსა და დროში...

მაგრამ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ადრე თუ გვიან წარმოიქმნება მთელი საწარმოები, ფაბრიკები, რომლებიც ბავშვებისათვის აკეთებენ სათამაშოებს. ამ დროიდან ბავშვთა თამაშში სულ ახალი ფენომენი შეიძრება, რომელიც კი არ ამდიდრებს, არამედ, პირიქით, ერთი მხრით, აღარიბებს კიდევაც მას. ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებული სათამაშოები ასახვენ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სისტემის ფასეულობათ, რაც მოზრდილებს მიაჩნიათ მართებულად და რაც ადრე, როდესაც თვით ბავშვები (ან მათი უფროსი ძმები და დები, მშობლები) აკეთებდნენ სათამაშოებს, მარტოოდენ ერთ-ერთი (ქვეშეცნეული) მიბაძვის ობიექტი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამ დროიდან ბავშვი, გარევეული გაგებით, თვით იქცევა სათამაშოდ უფროსებისათვის, რომლებიც მზამზარეული სათამაშოების — ავტომო-

<sup>1</sup> დ. უზნაძე, შრომები, ტ. III—IV, 1964, ვე. 606—608; ტ. V, 1967, თბ., გვ. 152—164, 559.

ბილის, პისტოლეტის, თოჭინის, ტანკის, ტრაქტორის... — მიწოდებით (ჩუქებით) ბავშვებს სოციალიზაციის სავსებით განსაზღვრულ ჩარჩოები ში ამყოფებენ, ათამაშებენ. ფაბრიკული სათამაშო არა მხოლოდ სათა-მაშო ნივთის გაკეთებისაგან, ე. ი. თამაშის ცველაზე უფრო აქტიური და თვითამალლების ფუნქციისაგან ანთავისუფლებს ბავშვს, არამედ საერ-თოდ თამაშის ფორმებსა და ნორმებსაც კარნაბობს მას. ამ მხრივ ამი-ერიდან ბავშვის ფანტაზია შეზღუდულია... მას უკვე სულ უფრო ნაკ-ლებად შეუძლია (სჭირდება) ჯოხი ცხენად ან ჩონგურად აქციოს, რამ-დენადაც ეს ნივთები უკვე ფაბრიკული და, მაშასადამე, მასობრივი და სტანდარტული ნაკეთობის სახით ეძლევა.

მხოლოდ ის ფაქტი რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ათასობით ბავ-შვის მიერ ნაკეთები ურემი, ჩონგური, ძალი, თოფი ცველა სხვადასხვა-ნაირი იყო, ხოლო ახლა საერთოდ ბავშვის სათამაშო ათიათასობით ურემი (ავტომობილი), ჩონგური (მუსიკალური ინსტრუმენტი), პისტო-ლეტი, ძალი ერთფეროვანია, ერთნაირია, სტანდარტულია.

მაგრამ ბუნებრივია, უნდა ვითიქროთ, რომ სათამაშოს გაკეთებისა-გან თავისუფალი ბავშვის აზრს შეუძლია სხვა მიმართულებით წარიმარ-თოს და, მაშასადამე, სხვა რამ გაკეთოს, ანდა უკვე მიწოდებული მზა-მზარეულის გაუმჯობესებაზედაც ითიქროს... მით უფრო, რომ თამაშიც თავისებურად განსაზღვრავს მოთამაშის გონებრივი განვითარების დო-ნეს და პირიქით.

საზოგადოება განსაზღვრავს თამაშების, როგორც ტექნიკურ ასევე სოციალურ სისტემას და არა მხოლოდ ბავშვებისათვის, არამედ საერ-თოდაც (ჭადრაკი, ტურნირები, დოლი, ყაბახი, ცეკვები, შაირობა...). მაგრამ თამაშში ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფის განსაზღვრის იდეაც აისა-ხებოდა... ყმაწვილობის პერიოდის დამთავრების რიტუალები, რაც ახლა ინდუსტრიულ ქვეყნებში მივიწყებულია და რასაც ყმაწვილი ბიჭები და გოგონები თვითონ სტრიქურად „გადიან“ სხვადასხვა უწყინარი და სა-ხილათო „თამაშების“ (სიგარეტის წევა, ნარკოტიკების მიღება, უმანქო-ების „შემოწმება“, თმების მოშევბა და სხვ.) სახით, რომელთაც აშე-რად გმობს ოჯახისა და თემის ტრადიცია. ასეთი „თამაშები“ მეტნაკლე-ბი ზომით შეიძლება მავნებელი იყოს მთელი საზოგადოების პროგრესის თვალსაზრისითაც.

თამაშის როლი დიდია ბავშვის, როგორც ადამიანისა და მოქალაქის ფორმირებაში<sup>1</sup>. ბავშვი თამაშში სწავლობს, იწრობა, აკეთებს, აფუ-

<sup>1</sup> ამ მხრივ ურიად ნიშანდობლივი იყო, მაგალითად, ჩეენს სოფლებში დღესა-წაულების დროს რომ იმართებოდა ბურთის თამაში „ლელო“. მთელი სოფლელი იყო-ფოდა: ცოლიანები და უცოლოები ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, როდესაც ცოლიანები ბაბუები, მამები (მ. შ. მაშასახლისი, მღვდელი და სხვა თანამდებობის პირები) პირის-პირ და თანასწორ საწყისებზე უპირისპირდებოდნენ — უცოლოებს, ახალგაზრდებს, ყმაწვილებს...

კებს, მარცხდება, იმარჯვებს და ყველაფერი ეს აუცილებელი გარდაშა-  
ვალი საფეხურებია, რათა წარმატებებს მიაღწიოს სკოლასა და ცხოვ-  
რებაში, სადაც შემდგომ განვითარებას პოულობს მისი ფიზიკური და  
გონებრივი, მორალური და ეთიკური, ინდივიდუალური და საზოგადო-  
ებრივი, მეგობრული და მეზობლური ცხოვრების, საერთოდ სოციალი-  
ზაციის ელემენტები და ნორმები.

და ამ უწყვეტ პროცესში თამაში არა მხოლოდ აცოცხლებს, ამდიდ-  
რებს და ინახავს წარსულს, არამედ ძალიან ხშირად აქ, ძველი და ახალი  
თაობის შეჯახებათა ვითარებაში ისახება სავსებით ახალი ცხოვრების  
ნიშნები, რომელთაც თავისი რამდენადმე სრული გამოვლინება მხოლოდ  
შორეულ მომავალში შეიძლება პოვონ (იხ. „კ. იუნესკო“, 1980, თებერ-  
ვალი).

ეტყობა, საზოგადოების განვითარების თავდაპირველ საფეხურებზე  
თამაშსა და მოცალეობას შორის ესოდენ მკეთრი განსხვავება არ იყო,  
როგორიცაა თანამედროვე მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში, სა-  
დაც შრომისა და მოცალეობის პირობები (პროცესები) სულ უფრო  
დაშორებულია ერთმანეთს დროსა და სიერცეში და სადაც თამაშის გან-  
ვითარების საფეხურებზე გამოეყოფა სპორტი, როგორც საზოგადოებ-  
რივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სავსებით დამოუკიდებელი  
სფერო.

ს პორტი შეიქმნა თანამედროვე საზოგადოების ადამიანთა (გან-  
საკუთრებით ახალგაზრდობის) მოღვაწეობის (საქმიანობის) ერთ-ერთი  
ყველაზე მიმზიდველი, პრესტიუიანი და პოპულარული სახეობა (დარ-  
ვი); — ამასთანავე იგი სულ უფრო მწვავე და ფართო იდეოლოგიური  
ბრძოლის სარბიელიც ხდება.

აქ ყველაზე დამახასიათებელი მოვლენა ისაა, რომ სპორტი წარმო-  
ებრივი საქმიანობის, მეცნიერების, ხელოვნების დარგებთან შედარებით  
ადვილად იტაცებს ადამიანს, განსაკუთრებით კი როგორც მაყურებელს,  
ე. ი. გართობის, სეირის მაძიებელს.

ფიქრობენ, რომ სპორტი მეტ-ნაკლები ზომით ყოველთვის შეიცავს  
თამაშის ელემენტებს, გართობის ხასიათს. მეცნიერთა უმრავლესობის  
აზრით სპორტი სპორტსმენისათვის არა თამაში, არამედ თვით სიცოცხ-  
ლეა, ცხოვრებაა, შრომის დარგია!... სპორტის საბოლოო მიზანი შეჯიბ-  
რებაა, — მოქმედება, რომელიც ვლინდება როგორც სპორტული მიღწე-  
ვა და გამარჯვება.

აღსანიშნავია, რომ სპორტული შეჯიბრება უძველესი დროიდანვე  
დემოკრატიული და ღია ხასიათისა იყო. ამ მხრივ ნიშანდობლივია ვად-  
მოცემა: ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც თავის ტოლ-სწორებში

<sup>1</sup> А. Визитай, Социальная природа современного спорта, 1979, Кишинев.

თურმე ყველაზე ფეხმალი იყო; შესთავაზეს მონაწილეობა მიეღო მორ, ბენალთა ოლიმპიურ შეჯიბრებაში. მან იკითხა: იქ მეფეები თუ მიიღებენ მონაწილეობას! არაო! — უპასუხეს. მაშინ ალექსანდრემ განაცხადა: ვერ მივიღებ მონაწილეობას, რადგან, თუ გავიმარჯვე, იტყვიან მეფეა და ...იმიტომათ ...და თუ დავმარცხდი — რალა მეფე ყოფილა, უბრალო მომაკედავმა აჯობაო!...

სპორტულ შეჯიბრებათა დემოკრატიულობა, ცხადია, მეტ-ნაკლები ზომით ირლვევა პროფესიულ-კომერციული სპორტის ვითარებაში, თუმცა, პროგრესული ძალები იბრძეიან, რათა უხეშობა, ძალდატანება, აგრესიულობა, მოსყიდვა, აგრეთვე ნარკოტიკები და სხვა აქ არ იქნას დაშვებული.

სოციალისტურ საზოგადოებაში სპორტსმენი, როგორც წესი, არ ხდება პროფესიონალი ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. სსრ კავშირში სპორტი სოციალისტური მორალის პრინციპების განმტკიცების, პიროვნების (კერძოდ ახალგაზრდობის) ზნეობრივი აღზრდისა და ფიზიკური კულტურისადმი მასობრივი ინტერესის გაღვივების საშუალებაა.


\* \* \*

ადამიანი „სოციალურ“ და „ბიოლოგიურ“ დაპირისპირებულობათა ურთიერთშეღწევადი და ურთიერთზემოქმედების ისეთი დიალექტიყური ერთიანობაა, რომელიც თავისი ბიოლოგიური სპეციფიკურობისა და სოციალური არსობის ერთიანობაში, სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში მოძრაობს.

ხოლო „საზოგადოების გარებიოლოგიურ ურთიერთობაში ადამიანი უფრო უმწეო და ნაკლებად განვითარებული ჩანს, ვინემ სხვა მაღალგანვითარებული ცხოველი“. „...ადამიანის ფილოგნეზი, როგორც ეტყობა, არა ევოლუციური, არამედ სოციალურ-ისტორიული პროცესია“<sup>1</sup>. — და ეს პროცესი ახლა ბევრად უფრო სწრაფია, ვიდრე ოდესშე წარსულში.

ადამიანთა ფიზიკურ განვითარებასა და რიცხოვნობაში მიმდინარეობს რაოდენობრივი ცვლილებები, იცვლება დავადებათა სტრუქტურა, იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მიმდინარეობს აქსელერაცია... „არა ბიოლოგიური ბუნებრივი შერჩევა და არა არსებობისათვის ბრძოლა, არამედ წარმოების საზოგადოებრივი ფორმის ეკონომიკურ და სულიერ ადამიანურ ურთიერთობათა და, ამგვარად, ცხოველმყოფელობის განსაკუთრებული სისტემის ისტორიული განვითარება

<sup>1</sup> К. Тарасов, Е. Черненко, Социальная детерминированность биологии человека, 1979, стр. 86, III.



гаансаზლერავს ფილოგენეტიკურ ცვლილებებს ადამიანის მორფოლოგიურ გიასა და ფიზიოლოგიაში<sup>1</sup>.

სოციალური ფაქტორები (შრომისა და ცხოვრების პირობები, მედიკინა, ჭანდაცვა და სხვ.) გავლენას ახდენენ ონტოგენეზის ყველა ფაზაში; ისინი ასტრიულებენ და აადვილებენ გენოფონდის ცვლილებებსა და ზრდას, — ამასთანავე კასტური, წოდებრივი, კლასობრივი და რასობრივი ბარიერების ლიკვიდაციას. მაგრამ არსებობენ სოციალური წარმომავლობის არასასურველი და სახიფათო ფაქტორებიც (გარემობუნების გაჭირებულება, ალკოჰოლი და ნარკოტიკები, სტრესები, ფსიქონერვიული დაძაბულობანი და სხვ.), ასეთ ვითარებაში წინა პლანზე გამოდის სოციალური კეთილმოწყობის პრობლემა. იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დადებითი როლი ონტოგენეზისა და სოციოგენეზის მიმართ.

სოციალურ გარემოში ადამიანის ბიოლოგიური სახეცვალების, განვითარების ძირითადი ფორმა და შინაარსია შრომა... ჩევნის ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წარმატებები, შრომის კანონმდებლობა, შრომითი აღზრდის საშუალებები და სხვა აძლიერებენ შრომის როლს ონტოგენეზში. ამასთანავე კვების რაციონალურ რეექმთან შეთანაწყობილი ფიზიკური და თავისუფალი დროის ორგანიზაციაც ონტოგენეზის ძლიერი ფაქტორი ფაქტორია.

რა თქმა უნდა, საზოგადოების კლასობრივი და პროფესიული სტრუქტურა, ტექნიკისა და შრომის მწარმოებლურობის დონე, მოსახლეობის კულტურული მომსახურების, ჭანმრთელობის დაცვისა და დასაქმებულობის ხარისხი, წარმოებისა და მოხმარების მიმართ სახელმწიფოებრივი კონტროლი და სხვა განაპირობებენ ფიზიკულტურისა და სპორტის გავლენას ინტოგენეზზე<sup>2</sup>.

\* \* \*

მოზარდთა და ყმაშვილთა, როგორც საერთოდ ქალთა და ვაჟთა შორის სქესობრივი პოზიციებიდან გამომდინარე ყოფაქცევითი ხასიათის განსხვავებულობანი თავის საწყისებს საერთოდ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების გენეზისისაკენ მიუთითებენ. პირველყოფილ-თემური წყობილების დროს შრომის სასკობრივი და სქესობრივი დანაწილება და ამის ნიადაგზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ჯგუფების საქმიანობა და, მაშასადამე, ყოფა-ცხოვრება ფრიად განსხვავებული იყო.

ქალთა და ვაჟთა ჯგუფების განსხვავებული ბიოლოგიური და სოციალური დანიშნულება და ფუნქციები. თვით მათი ცხოვრების და შრო-

<sup>1</sup> К. Тарасов, Е. Черненко, Социальная детерминированность биологии человека, 1979, стр. 114.

<sup>2</sup> ქვა, გვ. 192.

მის პირობები, ბავშვთა აღწრდისათვის ზრუნვა და სხვა განაპირობებადა ქალთა და ვაჟთა ყოფაქცევის, მანერების, ხასიათის ფორმირების, ინტელექტუალური განვითარების, ტრადიციებისა და სხვა თავისებურებებს, რაც ხშირად ფრიად ღრმა და მტკიცე განსხვავებულობებით განიჩევადა.

მაგრამ დროთა მსვლელობაში კულტურის, ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე ქალ-ვაჟთა შორის არსებული სოციალური დაშორები შორების ნიველირება სულ უფრო თანამიმდევრულ ხასიათს ლებულობდა. მაინც, დღევანდელ, საერთოდ განვითარებულ და თვით სოციალისტურ საზოგადოებაშიც, მიუხედავად ქალ-ვაჟთა ერთად სწავლისა, საქმიანობისა, ქალთა ემანსიპაციისა და უფლებრივი თანასწორობისა სხვადასხვა სქესთა ყოფიერების, ოჯახური ცხოვრების, მორალისა და სხვა განსხვავებულობანი, ცხადია, არსებობენ და სათანადო ყურადღებასაც იმსახურებენ.

ახლა, თუ მხოლოდ ახალგაზრდობაზე ვილაპარაკებთ, ყველა შეაჩნევს, რომ, მაგალითად, საოჯახო სამუშაოებით გოგონები უფრო არიან დასაქმებულნი, ვინემ ჭაბუკები. ბიჭებს მეტი თავისუფალი დრო რჩებათ. სკოლიდან დაბრუნებული გოგონები ოჯახის გარეთ ყოფნისას მშობელთაგან უფრო მეტ და მტკიცე კონტროლს ექვემდებარებიან, ვინემ მათი ასაკის ჭაბუკები. უფრო დარინდელ, ბავშვობის ასაქშიც გოგონებისა და ბიჭუნების სქესობრივი პოზიცია მინიშნებულია ტანისამოსით, სამკაულებით, თმის ვარცხნილობით და სხვა, ასაც საზოგადოებრივი მორალი მეტ-ნაკლები სიმტკიცით ყოველთვის კარნათობს და რაც, უწინარეს ყოვლისა, უშუალოდ ოჯახიდან მომდინარეობს.

გდრ ახალგაზრდობის კვლევის ცენტრალური ინსტიტუტის (ლაპციგი) და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ ჩატარებული გამოკვლევების ერთი ნაწილი გამოქვეყნდა ცალკე წიგნად, რომლის რუსული თარგმანიც გამოიცა<sup>1</sup>. აქ მოთავსებულ კ. შტარკეს სტატიაში ვკითხულობთ:

„სტუდენტთა ნახევარზე მეტს, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში შესვლისას, აქვს სქესობრივი ცხოვრების გამოცდილება. სწავლის განმავლობაში ეს პროცენტი სწრაფად იზრდება. ორივე სქესის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სქესობრივ ცხოვრებას უფრო ხშირად იწყებს 17-18 წლის ასაკში. სტუდენტების ნახევარს (სწავლების პირველი წლის ბოლოს) ჰყავს მეორე სქესის მუდმივი პარტნიორი, „განუყრელი მეგობარი“, რომელთანაც იმყოფება ინტიმურ ურთიერთობაში.

მეორე სქესის პარტნიორთან ურთიერთობა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალისტური საზოგადოების სტუდენტის პირველების

<sup>1</sup> Исследование проблем молодежи в ГДР, М., 1976.

ფორმირებაში. გამოკვლევის მონაცემები მოწმობენ, რომ სტუდენტთა უმრავლესობას დადებითი განწყობა აქვს მეორე სქესის წარმომადგენლის მიმართ, რაც შეესაბამება ადამიანის სოციალურ გაგებას. პარტნიორთა ურთიერთობა დამყარებულია ერთმანეთის პატივისცემასა და თანასწორუფლებიანობაზე და, როგორც წესი, არ ატარებს წმინდა სექსუალურ ხასიათს<sup>1</sup>.

ეს უკანასკნელი მომენტი დასტურდება აგრეთვე მომავალი მეულლის შეჩერებამდე დათმენის ხასიათით. იგი უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს ცხოვრების თანამგზავრი, ადამიანი, რომელსაც ყველაზე უფრო ენდობი და რომელიც გიყვარს».

ამასთანავე ყველა გამოკითხული დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რათა ორივეს ერთნაირი შეხედულება პქონდეს ცხოვრებაზე, ქალის უფლებაზე პროფესიული მოღვაწეობის სფეროში. სოციალურ მდგრმარეობაში მომხდარი და მიმდინარე ცელილებათა ასპექტში საინტერესოა ის გარემოება, რომ ოჯახის შექმნაში მოქმედ ფაქტორთა შორის, ისე-თები, როგორიცაა „ზრუნვა მატერიალური უზრუნველყოფისათვის“, „მეურნეობის ერთობლივი გაძლოლა“ და სხვა როგორც ვაჟის, ისე ქალის მიერ პარტნიორის შეჩერებისას უკვე „არავითარ როლს არ ასრულებს“.

სტუდენტი ქალი თუ ვაჟი გათხოვილი ქალის პროფესიული მოღვაწეობის აუცილებლობას არ უკავშირებს არც გათხოვებას. არც პირველი ბავშვის დაბადებას და ამის გამო ოჯახის ხარჯების გადიდებას. გათხოვილი ახალგაზრდა ქალი მოწადინებულია იმუშაოს სპეციალობის მიხედვით და, თუ აუცილებელი შეიქნა, მზადაა მუშაობა შეწყვიტოს დროებით, სანამ ბავშვები პატარები არიან. თითქმის ყველას სურვილია იყოლიონ ორი ბავშვი.

ძეელი თაობის გოგონები ქორწინებამდე უმანქოებას იცავდნენ და ვაჟებიც იმას აფასებდნენ. ახლა ამ მხრივ შეხედულება შეიცვალა. გაჩნდა და გვერტყლდა ჩასახვის საწინააღმდეგო ხელსაყრელი საშუალებები — კონტრაცეპტიკები. აბორტიც გაადვილდა. ერთ ინგლისელ სოციოლოგს ეს მიაჩინია თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველზე ბურჯუაზიულ საზოგადოებაში გაჩენილი „ახალგაზრდული კულტურის“, ე. ი. 14—22 წწ. ასაკის ახალგაზრდების ცხოვრების თავისებური მანერის გამოვლინებად. მათ მიაჩინიათ, რომ „ახალგაზრდობა ყოველთვის სჭობია სიბერეს“, რაც ისედაც ყოველთვის კუთხით აღიარებული, მაგრამ „უმანქვილობის კულტურის“ ახალი აღამდარები ახლა ამაში ხედავენ „თავისებურ ღირსებას, თითქოს ეს იყო არა უბრალო შედეგი მათი ფიზიკური ბუნებისა, არამედ რაღაცნაირი მორალური ხარისხი“.

<sup>1</sup> Исследование проблем молодежи в ГДР, М., стр. 299.

ზოგი ბურეუაზოული სოციოლოგი გაოცებულია თანამედროვე ახალგაზრდობაში ფესვგადგმული ინტერნაციონალიზმის იდეებით. და იმით, თუ „რაოდენ ძლიერ პგავს ერთმანეთს ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის საზოგადოებრივი შეხედულებანი და კოფაცხოვრებითი პრინციპები“, მათ შორის იმ მხრივაც, რომ „რიგი ახალგაზრდა ისე იქცევა თავის სახლში (მშობლების ოჯახში), თითქოს იგი სასტუმროში ან სანატორიუმებში ცხოვრობდეს და მაინც ფიქრობს, რომ მშობლები ამას უნდა ითმენდნენ და იტანდნენ“.

სტუდენტის პიროვნების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ოჯახი, — თუთ იდეოლოგიური განწყობისა და პროფესიის შერჩევიდან დაწყებული სამუშაო, დასევნებისა თუ გართობის (მოცალეობის) ღროვის ორგანიზაციითა და საერთოდ ცხოვრების ყაიდით გათავებული, — მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესში სწავლის დაწყების ღროვდან მათი უმრავლესობა მოკლებულია მშობლების სახლში ცხოვრების შესაძლებლობას.

სტუდენტი და, თუმცა უფრო ნაკლები ზომით, მაგრამ მაინც, საზოგადოებრივ წარმოებაში სხვაგან დასაქმებული მუშა ახალგაზრდობაც ხშირად მიდის მშობლებთან; — ამ მხრივ მთავარია არა მატერიალური დახმარების მიღება, არამედ მორალური მხარდაჭერა, მშობლური სითბოსა და სიყვარულის გამამხნევებელი და გამამაგრებელი ფაქტორი. მშობლებთან ასეთი კავშირი უმეტეს შემთხვევაში გრძელდება მას შემდეგაც, რაც ახალგაზრდა იჩენს საკუთარ იჯახს. პროფ. კ. შტარკეს აზრით, სტუდენტთა იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ოჯახის განმტკიცების თვალსაზრისით საჭიროა ამ დადებითი მოვლენის აქტიური გამოყენება, პოპულარიზაცია!

\* \* \*

თანამედროვე დასავლური მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ, რომანის ერთ-ერთი ცენტრალური ფენომენია ახალგაზრდობის თემა, რომელზედაც წერენ ისეთი გამოჩენილი მწერლები, როგორიც არიან ბაზენი, შამბროლი, მერლი, კურტისი, შატონე, სიმენონი და სხვ.

ეორე სიმენონმა<sup>2</sup> შექმნა „ახალგაზრდა კაცის“ თავისი ვარიანტი.

<sup>1</sup> Исследование проблем молодежи, стр. 302.

<sup>2</sup> ეორე სიმენონ — 1903. ლიეჟი, ბელგია. 20 წლისაც არ იყო, როდესაც გადაწყვიტა ეწერა რომანი საკუთარ ბედონი მებრძოლი აღმიანის „ცხოვრებაზე“. 1922 წლიდან პარიზშია. წერს გასართობ რომანებს (romans populaires). რომელთათვისაც მთავარი გმირის ძიებაში აღმოაჩინა კომისარი მეგრე. „მეგრეს მემუარებში“ (1950) მისი გმირი ჰყება არა მხოლოდ საკუთარ, არამედ აეტორის ამბებსაც. — ეს ორიგინალური ხერხი იყო ლიტერატურაში. შერლოკ ჰოლმისისა და სხვათა განსხვავებით მეგრეს მიზანია არა დამნაშავის შეპყრობა, არამედ დანაშაულის ჩაღნის.



მისი გმირები ვერ ურიგდებიან თანამედროვე დასაცლური საზოგადოებრივი გების რეტინულ წილში მათს წილხევდრ ერთფეროვან, უსიცოცხლო, სტანდარტულ როლებს; — მათ სურათ რაღაც ახალი, სხვანაირი და მის ძიებაში აწყობენ წვრილ-წვრილ აფეთქებებს, გაქცევას და თავისებურ ქცევას, რაც საბოლოოდ, მოასწოვებს დაბრუნებას ისევ და ისევ ძველ კალაპოტში... თუმცა იგი ძლიერ „მინგრეულ-მონგრეულია“, „ძირფეს-ვიანად შერყეულია“... მაგრამ ჯერ მაინც ბოგინობს და ვინ უწყის სანამდე წავა, რა სახეს მიიღებს... მის გმირებთან ერთად რომ უსასრულო ცვალებადობას განიცდის... მაინც ერთი რამ ცხადია: „ძნელი საქმეა — იყო ადამიანი“ და მიუხედავად ამისა ეს აუცილებელი მიმართულებაა..., როგორც გინდა დაუძლეველი არ იყოს წინააღმდეგობა... ახალ-გაზრდობა ყოველთვის წინმისწრაფებული ძალაა.

ახალგაზრდობა ე. სიმენონის სამყაროში ყოველდღიურად ღებულობს და უარყოფს მშობელთა ადამ-ჩვეულებას, რაც მართებულსა და არსებულს, ნებაყოფლობას და ძალდატანებას, კანონიერებას და უსამართლობას, პირდაპირობასა და მლიქვნელობას, გამბედაობასა და ლაჩ-რობას, სიუხვესა და სიძუნწეს, სიკეთესა და ბოროტებას შორის მიაბიჯებს და ოჯახური ცხოვრების ჩარჩოებშია მოქცეული, მაგრამ, ცხადია, ყოველთვის მთელი საზოგადოებრივი ყოფიერების ამა თუ იმ მხარეს ასახვეს, რომლის განმსაზღვრელი სილრმისეული ძალები არა ამორალური ახალგაზრდობის „სექსუალური აჯანყების“, „საოცრად მანერული“ ჩაცმულობისა და „უქუჩული ყოფაქცევის“, არამედ მთელი დასავლური ცივილიზაციის კრიზისულ ვითარებაშია საძიებელი. და ე. სიმენონი „შიშველი ადამიანის“ — ე. ი. ადამიანის, როგორიც ის არის სინამდვილეში, პოზისა, შესამოსლისა და შელამაზების გარეშე — ღახატვით, გამოვლინებით, ჩვენებით და მისი სხვა ამგვარადვე წარმოსახულ ადამიანებთან დაპირისპირებით ფიქრობს გზა გაუნაოს თავის საზოგადოებას, საერთოდ, და, კერძოდ, თვით ახალგაზრდობას.

ადამიანის ინდივიდუალობა შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რო-

„ყილება....“ ე. სიმენონის სოციალური ფილოსოფია: „მჩაგრელი ვერსალეს ვერ გაიგებს დაჩიგრულის სულიერ სამყაროს“ და ვერც მის კულტურასა და კუვილიზაციას.

რომანში „ძე“ — «Le Fils» (1957) მამა იმ მიზნით, რათა ააცდინოს თავისი 16 წლის ვაჟი სიყმაწვილოთ ჩადენილ გამოუსწორებელ შეცდომებს, სწერს შეს ბირთველსაჩებას, საღაც იჯახის ღრამა გამჭლილია საზოგადოებრივი ყოფიერების ასექტებში... შეუვარებული ქალ-ვაჟის უბედობა სოციალური განსხვავების შედეგია. სამსახურებრივი თვალსაზრისით ვერ მოიცავს საზოგადოებრივ მორიალს — მამების სიცოცლის მიზანს, რომ ისინი შეილების ცხოვრებით ხარიბდნენ... მაგა თვითი თვეში იღებს შეილის დანაშაულს (მეცნიერების მოწყვეტილი სისული სატრანსისივილის), რათა არ წითელს მისი ძის მომავლი... მაგა ჯდება ციხეში..., რათა ნაშეირებმა იწავლინ, როგორ უნდა აუსახულდნენ წინაპრებს, მამებმა — როგორ უნდა შედიონენ შეიღებს...  
2. ქ. გეგუშვილი

გორიცაა სალი გონება, ემოციური რეაქტიულობა, გაბატონებული სოციალური მიღვიმა და მოქმედების ეფექტურობა.

სწავლაში ბავშვის წარმატებათა შეფასებისას არ უნდა დავივიტყოთ შეფასება იმ წრისა, საიდანაც ის წარმოდგება, რამდენადაც თავისი სწორი ინტელექტუალური განვითარებისათვის ბავშვი დროთა მსვლელობაში სულ უფრო მეტ სტიმულს მოითხოვს. თუ ნაკლებად ინტელიგენტურ წრეში ეს სტიმულები არასაკმარის — ეს არ შეიძლება არ აისახოს ბავშვის გონებრივ განვითარებაში.

თავისი სწორი და მართებული განვითარებისათვის ახალგაზრდობას უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს საშუალება აწონ-დაწონის თავისი მსჯელობა, გაშალოს დისკუსია, იფილოსოფოსოს მაშინაც კი თუნდაც ამან აბსურდული ფორმებიც მიიღოს. ჯანსაღ ახალგაზრდობას მაინც აქვს უფლება და იგი ცდილობს კიდევაც შექმნას თავისი საკუთარი ცხოვრების უკეთესი კონცეპციები, მას სურს, რომ ეს იყოს რაღაც ახალი. თუ ეს უბრალო კეშმარიტება მოწიფულთ, დიდებს არ ესმით, ამას შეუძლია გამოიწვიოს კონფლიქტები ახალგაზრდობასთან. ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს ნება ფილოსოფიის სარჩევები გაშალოს ექსპერიმენტები. გვიან ეს იწვევს ენერგიის გაძლიერებას, მოხერხებულობის შეძენას და გრძნობათა განვითარებას, რაც ხელს უწყობს შეაჩინოს ახალგაზრდობა შრომას, სწავლას და უნარს, რათა გაიგოს თავისი ვინაობა. მოწიფულობამდე ბავშვის მშობლებთან ბრძოლის პერიოდი, ალბათ, ფრიად მტკიცნეულია ორივე მხარისათვის, მაგრამ ამის გარეშე წარმოადგენელია ცხოვრება. მშობლები, რომლებიც თავიანთი ასაკისა და გამოცდილების საფუძველზე უფრო ობიექტურად აფასებენ ამ მდგომარეობას, კი არ უნდა განაწყენიანდნენ, არამედ უნდა აწესრიგებდნენ მას და ყველაზე უკეთესი იქნება, თუ ეს გაკეთდება, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე.

ახალგაზრდობის აჯანყება არაა აუცილებელი იყოს აქტი ნგრევისა. პირიქით, ის უნდა იყოს აქტი ქმნადობისა. ახალგაზრდობა — ეს არა მხოლოდ მრისხანებაა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრებისეული გაქანება. თუ ამ პერიოდში ახალგაზრდები არაერთხელ წყვეტილ ურთიერთობას მშობლებთან, იმიტომ კი არა, რომ განმარტოებული დარჩნენ, არამედ იმისათვის, რათა გაერთიანდნენ ამხანაგებთან, რაც ბანდასაც შეიძლება წარმოადგენდეს. ახალგაზრდობას ეჩვენება, რომ იგი სწორედ ამ დროს იქცევა საზოგადოებად. ზოგჯერ ამის მიზეზია თვალთმაქცია და გარემომცველი წრის სიყალბე, რასაც, საბოლოოდ, ადვილად ამხელს თვით ახალგაზრდობა.

მცირეშლოვანთა დანაშაულების მიზეზთა განხილვისას არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი ელემენტი: ესაა ამ ასაკისათვის დამახასიათებელი სენსაციის წყურვილი, რაც არის მრავალი ხულიგნური გამოსვლის

მიზეზი. ოლსანიშნავია აგრძელებული ისეთი აკრძალვები და განკარგულებანი, რომელთა უცილებლობისა და მიზანშეწონილობის დასაბუთება ჩვენ არ შეგვიძლია, და ასევე ბავშვის მეტისმეტი, დანაშაულის არააღეცვატური დასჭა.

ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ მოწიფულებს ესმით მათი საქციელი სქესობრივი ცხოვრების სფეროში და რომ ამ პრობლემის გაგებაზეა დამყარებული თვით უფროსი თაობის ყოთაქცევისა და მორალის ცნობილი პრინციპები, რაც უსაფუძვლოდ და უცილებლობის გარეშე არ უნდა ზღუდავდეს ცხოვრებისეულ თავისუფლებას. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ახალგაზრდობა, რომელიც ნასწრაფევად და არასაფუძვლიანად აკვირდება უფროსთა მოქმედებას, იმყოფება ისეთ სიტუაციაში, რაც მოლიანად არაა მისთვის გარკვეული. მათგან მოითხოვენ მორალური პრინციპების დაცვას, მაშინ როდესაც მათში მოქმედებს ძლიერად გამოვლინებადი ინსტრინქტის ძალა. ბიჭუნა, რომელიც მიისწრაფების დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ, დაეჭვებულია, რომ თუ დაიწყებს ქორწინებამდელ (შეუღლებამდელ) სექსუალურ ცხოვრებას, ამისათვის დაისჯება ჩადენილი დანაშაულის გრძნობით. გოგონა თავის შინაგან ბრძოლაშია. მას მოუწოდებენ უვე გახდეს ქალი, ხოლო იგი თავს იცავს, ცდილობს, უმანკოების (ქალწულობის) შენარჩუნებას. ყოველივე ეს ერთად აღებული, ეტყობა, ხელს არ უწყობს წონასწორობის დამყარებას და, პირიქით, იწვევს გრძნობათა გაორადებას, სიძულვილისა და სიყვარულის, მტრობისა და მორჩილების (შერიგების), უნდობლობისა და იმედის მონაცელებით გამოვლინებას. ცხოვრების ამ პერიოდში მოზარდის თავის თავში დაურწმუნებლობის შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ მას არ გააჩნია ძლიერი ნებისყოფა და იგი ხშირად განიცდის დეპრესიებს.

ახალგაზრდობა — მოქანდაკეა, რომელიც თვითონვე აყალიბებს თავის ცხოვრებას, ხოლო ყმაწვილეაცობა უეჭველად ისეთია, როგორსაც ჩვენ მას ვზრდით.

ბავშვის, ყმაწვილისა და, საერთოდ, ახალგაზრდობის ბიოლოგიური და უმთავრესად, ცხადია, მოქალაქეობრივი ფორმირების ზოგიერთი ძირითადი ეტაპი, ჩვენ ვფიქრობთ, სწორადაა მინიშნებული პროფ. ი. შჩეპსკის მრავალმხრივ სინტერესო გამოკვლევაში და შედეგები, რაც მან დასკვნის სახით მიიღო, ამა თუ იმ ზომით, აუცილებლად გასათვალისწინებელია სოციოლოგიურ ასპექტშიაც.

ახლა აქ უნდა მოვიყვანოთ ერთი გამოჩენილი ბიოლოგის დასკვნის შინაარსი:

ბუნება, ანაწილებს რა თავის გენებსა და ქრომოსომებს, არ ეწევა მათს დაყოფას — დადებითისას ცალკე მშრომელთათვის, პატიოსან, თავმდაბალ, კეთილსინდისიერ ადამიანთათვის და უარყოფითისას —

ပုဂ္ဂိုလ် ဒေဝန်စိတ်ခုံပါသတွေကဲ့သို့၊ မြန်မာရှိသူများ အမြန် မြန်မာဘာသာ ဖြစ်ပေါ်လေ့ရှိခဲ့ပါတယ်။

### 2. Ախալքանքում ըստիւրական և բարեկանության

ახალგაზრდობის სოციოლოგიის რიგი საკითხი ჩევნ განხილული გვაქვს „სოციოლოგიურ ეტიუდებში“, ხოლო აქ უმთავრესად ვეხებით უკანასკნელი წლების მოელენებსა და ამასთანავე, ცხადია, ზოგიერთ ზოგად საკითხსაც.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში ახალგაზრდობის მოძრაობა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახდა. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის ახალი დემოგრაფიული პროცესი, რომ მსოფლიოს მოსახლეობაში ახალგაზრდობის ხვედრით წონა სულ იცვლება.

„ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ი ს“ ც ნ ე ბ ა ს უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ გ ა ნ ს ა ზ ლ ე რ ა ვ ე ნ ა ს ა კ ი მ ბ რ ი ვ ი ნ ი შ ნ ი თ დ ა გ უ ლ ი ს ს მ ღ მ ბ ე ნ 15—24 წ წ. ა ს ა კ ი ს თ ა მ ბ ა ს. მ მ ს ა ხ ლ ე ბ ი ს ე ს ჯ უ ფ ი მ ღ ქ ა ლ ა ქ ე ბ რ ი ვ ი ს რ უ ლ ს ლ ლ ვ ა ნ ბ ი ს ა დ ა ს ქ ე ს მ ბ რ ი ვ ი ს ი მ წ ი ფ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ ს, ჩ ა ც, თ ა ვ ი ს მ ხ რ ი ვ, ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ს ხ ე ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი ა, ც ხ ა დ ი ა, ა რ ე მ თ ხ ვ ე დ ა.

სეროთდ ჩასობრივი, ნაცოლნალური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ფინქოლოგიური მდგრძელეობა ახალგაზრდობისა იმდენად მრავალგვარია, რომ ფრიად ძნელია „ახალგაზრდობის“ ცნების (ტერმინის) უნიკერსალური განმარტება.

სხვადასხვა საზოგადოებრივი აზრი და სახელმწიფოებრივი კანონ-მდებლობა ახალგაზრდობად მიიჩნევს სხვადასხვა ასაკის, სოციალური ჯუფის, ოჯახური, მორალური და სხვა მდგრადირეობის თაობას.

თბილგაზრდობის სხვადასხვა კატეგორიათა შორის განსაკუთრებულ  
გამოყოფება: 1. სოფლისა და ქალაქის, 2. სკოლის გარეშე დარჩენილ,  
3. საშუალო სკოლების, სტუდენტ და 4. მუშა თბილგაზრდობას.

დღეს მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია სოფლის ახალგაზრდობა. მათ ჩიცხვის ღიღი აღგილი უჭირავს აზის, აფრიკისა და ამერიკის განვითარებალი ქვეყნების ახალგაზრდობას. ამ ქვეყნებში ცხოვრობს თანამედროვე ახალგაზრდობის რააბონ-

<sup>13</sup> გეგმური სისტემის სიმარტივების განვითარების 1971 ბ. II, 22, 404—420.

ებით 75% (435 მლნ. კაცი). ისინი დიდშინიშვნელოვან როლს ასრულებენ ბენ თავიანთი ქვეყნების აგრძარულ ცხოვრებაში, საერთოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებში და ნაკლებად არიან ჩამოტკიცობის მსოფლიო მოძრაობაში.

ამ ქვეყნების ქალაქთა ახალგაზრდობის ძირითად სოციალურ პრობლემად შეიძლება მივიჩნიოთ არასრული დასაქმებულობა, უმუშევრობა, რომელთა, განსაკუთრებით მატერიალურად არაუზრუნველყოფილ, ჯუფებს აქცებენ სოფლიდან წამოსულებიც და ქმნიან სოციალურად მრავალგვარ და მეტ-ნაკლებად უკმაყოფილოთა მრავალრიცხოვან ფენებს. სკოლის გარეთ დარჩენილი, უწიგნური და თითქმის უწიგნური ახალგაზრდობა მსოფლიოში შეადგენს დაახლოებით 150 მილიონს. მათი უდიდესი ნაწილი ცხოვრობს აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში, სადაც ნაცვლად იმისა, რომ იყვნენ პროგრესის ძალები, ისინი ხშირად აფერხებენ კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ტემპებს, უარყოფითად მოქმედებენ საზოგადოების სოციალურ და მორალურ კითარებაზე.

საშუალო სკოლის მოსწავლეთა თითქმის 0,5 მილიარდიანი აზია დღეს სულ იზრდება და — მით უფრო, რაც ადრე იწყება სწავლა. უკანასკნელი კლასების მოწაფეები ადვილად უერთდებიან სტუდენტთა მოძრაობას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სადაც დეკოლონიზაციისა და საერთო აღმავლობის კრიტიკაში იზრდება ახალგაზრდობის აქტივობა.

დაახლოებით 22 მილიონი სტუდენტი, რაც ამჟამად საშუალო სკოლის მოსწავლეთა 4% შეადგენს, თანამედროვე მსოფლიოს საზოგადოებრივი განვითარების უძლიერესი ფაქტორია. მათი როლი განათლებისა და მეცნიერების პროგრესის შესაბამისად სულ უფრო იზრდება.

ტექნიკური პროგრესისა და ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში ზრდადი მუშა ახალგაზრდობის რაოდენობა და როლი, ბუნებრივია, დიდ უურადღებას იპყრობს. ახალგაზრდობის ამ ჯგუფის წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემებია: 1. პროფესიული კოდნისა და დახელოვნების მიღების, 2. სოციალური მობილურობისა და 3. დასაქმებულობის უზრუნველყოფა.

თითქმის ყოველ ეპოქალურ გარდატეხებში ახალგაზრდობა იყო ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა, ხოლო ზოგჯერ კიდევ უმთავრესი და წამყვანი ბირთვი მთელი მოძრაობისა. სწორედ ასეთი ეთარებაა დღეს, როდესაც ახალგაზრდობის, როგორც ახალი თაობის ფორმირებაზე, გაელენას ახდენენ რიგი სავსებით ახალი ფაქტორები.

ასეთია, მაგალითად, ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი ო ჯ ა ხ ი ს ს ტ რ უ ჭ ტ უ-რ ა შ ი. თანამედროვე მსოფლიოში შეიღები მშობლებს უფრო ადრე გამოეყოფიან, ვიდრე წინათ. შედარებით სწრაფად ირლევეა თა-

ნასოფლელთა (თანამეთემეთა), თანამეგვარეთა (სახლისკაცთა), მეზობლური და ნათესაურ-მოყვრული კავშირები. ახალგაზრდობა ისწრაფვის დამოუკიდებელი, მშობელთაგან უმეურვეო, თავისუფალი ცხოვრებისა კენ, ცვლილებებისაკენ. სწრაფი ტემპით იცვლება სოციალური ინსტიტუტები. ზენ-ჩვეულებები, ეკონომიკური პირობები, ნათესაური დამოკიდებულების შინაარსი, მორალური, ეთიკური ნორმები. მიმდინარეობს მთელი ყოფიერების, კომუნიკაციების, ინფორმაციის საშუალებათა, საბოლოოდ, ცნობიერების ძირეული ცვლილებები.

ასეთ ვითარებაში თანამედროვე ახალგაზრდობა უფრო გვიან ებმება აქტიური მოქალაქეობრივი, ოჯახური, საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში, და, მაშასადამე, ის ჯერ კიდევ არ ითვლება „ძირითად ბირთვად“.


ამ მოვლენამ არ შეიძლება თავისებური რეაგირება, აღგზნება არ გამოიწვიოს ახალგაზრდობაში, რომელიც მიისწრაფვის სათავეში ჩაუდგეს ცხოვრების მსვლელობას, თავისი წვლილი შეიტანოს ახალი ცხოვრების ჩამოყალიბებაში.

აქა ძველ და ახალ თაობას შორის კონფლიქტის საწყისები, რაც თავს იჩენს ყველგან: სოფელსა და ქალაქში, ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში. ახალი იდეებით ამოძრავებული ახალგაზრდობა მოითხოვს საპატიო მდგომარეობას, ყურადღებას, ანგარიშის გაწევას.

მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის თანამედროვე სწრაფმა რევოლუციურმა პროგრესმა, რის იდეებსა და საერთოდ შედეგებს ფართოდ ავტომატიზაციის კომუნიკაცია-ინფორმაციის უახლესი საშუალებები, ფრიად გაადვილა ნაციონალურ და თვით რასობრივ თავისებურებათა საზღვრების გადალახვა და სხვადასხვა საზოგადოებრივ კულტურათა გაცნობა-გაზიარება.

— ამით კი შესაძლებელი გახდა ახალგაზრდობის მიერ ახალი კულტურის სწრაფი ათვისება და, ამგვარად, ძველი ტრადიციის მატარებელი ძეველი თაობისაგან მისი განსხვავებულობის ნაპრალთა გადიდება, კონფლიქტების განშირება და გამკაცრება — ყოფაქცევის, ზენ-ჩვეულებათა, ვნებათა, მისწრაფებათა, მორალის და სხვა შეხედულებათა და, მაშასადამე, მთელი საზოგადოებრივი ცნობიერების რიგ კარდინალურ საკითხში.

ახალგაზრდობა ხედავს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები შესაძლებელი ზომით არ გამოიყენება მთლიანი საზოგადოებრივი სიკეთისა და ფართო მოხმარების საგანთა სიუხვისათვის, რომ არ-სებული სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ნორმები ზღუდავენ საყოველთაო სამართლიანობისა და მშვიდობის, სოლიდარობისა და მეგობრობის დამყარებასა და, მაშასადამე, კომუნიკაციებისა და ინფორ-



შაციის საშუალებების სრულ გამოყენებას — სხვადასხვა ერის, რასის, კონტინენტის ადამიანთა თავისუფალი პირადი, ფიზიკური შეხვედრების, ურთიერთგაცნობის, დაახლოებისა და დამეგობრებისათვის, მაშასადამე, ომების, უწიგნურობის, უინფორმაციულობის, უმუშევრობისა და მატერიალური ხელმოკლეობის წინააღმდეგ.

ხდება ისე, რომ საერთოდ უფროსები, სკოლებში მასწავლებლები, ადმინისტრაცია, ხელისუფლების წარმომადგენლები, თვით სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სისტემები არ (ან ვერ) ითვალისწინებენ ახალგაზრდობის ხსენებულ მისწრაფებებს — დამოუკიდებელი ქცევისა, აზროვნებისა და ორგანიზაციის, თავისებური, „ახალგაზრდული კულტურის“ მოთხოვნილებათა სფეროებში და შედეგად... იბადება გაუგებრობანი.

ახალგაზრდობა ვერ ეგუება და არც ლებულობს უფროსთა ავტორიტეტის რიგ გამოვლინებას.

სპეციალურად „ახალგაზრდობის ბაზრების“ ორგანიზაცია, ე. ი. საკუთრად ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი საქონლის წარმოება — უურნალ-გაზეთების, წიგნების, ტანისამოსის, გართობა-სანახობათა, ყოფაქცევის, საჭმლისა და სხვა, — არც ისე ახალი მოვლენაა, მაგრამ განსაკუთრებით მე-20 ს. მეორე ნახევრიდან ის ლებულობს შპობრივ და საყოველთაოდ ალიარებული წარმოების, გავრცელებისა და მოხმარების ხასიათს.

ამ მოვლენებს, ცხადია, არ შეუძლია, ამა თუ იმ ზომით, არ იმოქმედოს ახალგაზრდობის უფრო მეტი განცალევებულობის სასარგებლოდ, და მით უფრო, როდესაც ახალგაზრდობა განწყობილია ზურგი შეაქციოს მამა-პაპათა ტრადიციებს, ბიუროკრატიულ სახელმწიფოებრივ აპარატს, კონფორმისტულ ურთიერთობათ და აღვილად გაჰყვეს ახალ მოვლენებს, რომელთა ტალღების ქიმებზე ტივტრივი მისთვის ისე წარმტაცია, როგორც კოსმოსურ სივრცეში ფრენა.

ცხადია, სხვადასხვა ქვეყანაში ახალგაზრდობის მოძრაობას ახასიათებს რიგი თავისებურებანი.

განვითარებადი და კოლონიური ქვეყნების ახალგაზრდობის მისწრაფების ძირითადი აზრია სწავლა-განათლების, ნაციონალური დამოუკიდებლობის, სოფლის მეურნეობის და, საერთოდ, აგრარული პროგრესის პრობლემები.

ინდუსტრიული ქვეყნების ახალგაზრდობა იბრძეის პროფესიული ცოდნის შეძენის, დასაქმებულობის უზრუნველყოფის, ცხოვრების ნამდვილი დემოკრატიზაციის, სიტყვის, ბეჭდვის, სინდისის, კომუნიკაციის გველა საშუალების თავისუფლებისათვის — ყოფიერებაში განმტკიცებული დრომოქმედული ტრადიციების აფეთქებისათვის.

ამ მიმართულებით წარუმატებელ ბრძოლაში ის გამოიმუშავებს თა-

ვისებურ მორალს და მოუწოდებს „სიყვარულის კეთებისაცნ“, სერ-  
სობრივი ურთიერთობის თავისუფლებისაცნ, უშვებს გრძელებულს,  
ეტანება ალკოჰოლიან სასმელებს, ნარკოტიკებს და იცამს „ახლებუ-  
რად“, რათა ვნებათა გაღიზიანების გზით დახიოს ძველ ჩვევათა საბურ-  
ვილი, დარღვიოს მამა-პაპათა ტრადიცია.

15 წელზე მეტია საზოგადოებრიობის უურადღების ცენტრშია ყმა-  
წევილების და მცირებლოვანთა დანაშაულობანი. მას ხსნიან: არადამაქმაყოფილებელი ეკონომიკური პირობებით, არა-  
სრული შრომითი დასაქმებულობით, უმუშევრობით, ცუდი საბინაო პი-  
რობებით, ოჯახსა თუ სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვა-  
ნებებით, გარკვეული სახის ლიტერატურისა და კინოფილმების, ქუჩისა  
და სსვათა გავლენით.

როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ ნათელია, — რომ ეს მოვლენა  
უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მასობრივ ხასიათს ატარებს და ახალ-  
გაზრდული მოძრაობის ზემოხსენებულ სხვა მოვლენებთან ერთად  
ამწვავებს თანამედროვე საზოგადოებრიობის დამახასიათებელ კონ-  
ფლიქტს, ამწიფებს ტრადიციონალიზმის საწინააღმდეგოდ ძალაუზე-  
ბითი ხასიათის ღონისძიებათა მოახლოებას.

ამის ერთერთი უმნიშვნელოვანები სიმპტომია სტუდენტთა  
გამოსვლები, რაც, მაგალითად, 1977/78 სასწავლო წელს შოთა  
პლანეტის ყველა კონტინენტზე, როგორც „ახალგაზრდობის პროცეს-  
ტის“ აშვარა გამოვლინება, მიუხედავად იმისა, რომ სსვადასხვა ქვეყა-  
ნაში — ვანევითარებადა და ინდუსტრიულში, დემოკრატიულსა თუ პო-  
ლიციურ სახელმწიფოებში — ამ გამოსვლების, დემონსტრაციების,  
პროტესტების, გაფიცვების ხასიათი და ძირითადი მამოძრავებელი ძა-  
ლა ნაწილობრივ სსვადასხვანაირი იყო.

ამათგან, მაგალითად, თუ გვერდს ავუვლით წმინდა პოლიტიკური და  
ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებს, ნიშანდობლივია, კერძოდ, მო-  
თხოვნები უნივერსიტეტების მმართველობის, აღმინისტრაციის, სასწავ-  
ლო პროგრამების, გეგმების, პროფილების, სპეციალობათა, ზოლოს,  
თვით სახელმძღვანელოებისა და პროფესორთა და სტუდენტთა ურთი-  
ერთდამოკიდებულების არსებულ ნორმათა გადასინჯვის, რეორგანიზა-  
ციის, მოდერნიზაციის მოთხოვნები.

სტუდენტები მოითხოვდნენ, რათა თანამედროვე უმაღლესი სასწავ-  
ლებლები თავითი სტრუქტურითა და პროგრამებით, მთელი თავითი  
ცხოვრებით უფრო მეტად შეესაბამებოდნენ ახალი ახალგაზრდობის  
მისწრაფებებს პირადი, კულტურული, პროფესიული, სოციალური და  
პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში.

ახალგაზრდობის მოძრაობის და, საერთოდ, ოპოზიციურობის გან-  
წყობილებას გარკვეული ზომით ამწვავებს მათდამი უტაქტო დამოკი-

დებულება, მამათა თაობის და, მაშასადამე, ოფიციალური საზოგადოებრივი რიობის ჯიუტობა და ნაკლები მონდომება — გაიგონ არსებულ შეუსაბამობათა აზრი და იზრუნონ თანხმობის საფუძველთა გაძლიერებისა და გაფართოებისათვის.

არიან ისეთებიც, რომლებიც ახალგაზრდობის მისწრაფებათა მოწესრიგების მიზნით მოითხოვენ, რომ მშობელთა სურვილის ყოველგვარი შეუსრულებლობისათვის ბავშვი უნდა დაისაჭიროს. მათი აზრით, სანამ ბავშვებს, ახალგაზრდას, არ შეუძლია საკუთარი შრომით ირჩინოს თავი და ამბობს „მამი, მომე“, ის სხვის კმაყოფაზეა და უფლება არა აქვს იყოს მამის სრულუფლებიანი პარტნიორი.

ამგვარ შემებს ხშირად ავიწყდებათ, რომ მშობლის, უფროსის, პუნქტობრივი ავტორიტეტი, უწინარეს ყოვლისა, მორალური ცნებაა და შეუძლებელია იგი შეიქმნას და განმტკიცდეს ძალდატანებითი ღონისძიებით. მათ ავიწყდებათ იფიქრონ იმის შესახებ, რომ წითელი ხომ არ არის მწვანის მეორე მხარე.

ამავე დროს სტუდენტები და, არა მხოლოდ ისინი, საერთოდ სოფლის და ქალაქის ახალგაზრდობა სულ უფრო მეტად აქტიური ხდება თავის მისწრაფებათა გამოხატვაში და მოითხოვს უფრო გულწრფელ, ღია, თავისუფალ, თანასწორუფლებიან „ადამიანურ დამკიდებულებას“. ისინი აცხადებენ, რომ არსებული სახელმწიფოებრივი სისტემები, პოლიტიკური გაერთიანებანი, ნაციონალური და საერთაშორისო ურთიერთობანი, რომელშიც ისინი როვორც მოქალაქეები უნდა გამოვიდნენ სამოლვაშვილი, „შეიცავს მრავალ ღრმა უსამართლობას, რაშიც ახალგაზრდობას არ სურს მონაწილეობდეს“.

აქ წინა პლანზე გამოდის დასაქმებულობისა და ამ ასპექტში უმუშევრობის პრობლემა. აღსანიშნავია, რომ 1977 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალი 24 ქვეყნის 17 მლნ უმუშევართა 40%-ს შეადგენდნენ 25 წელზე უფრო ნაკლები ასაკის ახალგაზრდები. საერთოდ უმუშევართა შორის სულ იზრდება ახალგაზრდობის ხელირითი წილი. 1976 წელს ეკორპული თანამშრომლობის ქვეყნების უმუშევართა მესამედზე მეტი 25 წლისაზე უფრო ახალგაზრდა იყო. ავსტრალიაში იმავე წლის ბოლოს რეგისტრირებულ ყველა უმუშევართა 40%-ს 21 წლისაზე უფრო ახალგაზრდები შეადგენდნენ („კურიერ იუნიკურ“, 1978, XII). საერთოდ, განვითარებულ ქვეყნებში ათი უმუშევრიდან ოთხი 25 წლისაზე უფრო ახალგაზრდაა; ხოლო სულ მსოფლიოში ამავად 50 მლნ უმუშევარია. მოსახლეობის პუნქტობრივი მატების მაღალი ტემპები კიდევ უფრო ართულებს ამ მდგომარეობას, მით უფრო, რომ სამუშაო ადგილების რიცხვი (მოთხოვნილება მუშახელზე) შედარებით ნელა იზრდება და განათლებულობაც საქმეს მხოლოდ ნაწილობრივ შევლის. სულ უფრო იზრდება განათლებულ (განსწავლულ) უმუშევართა რიცხვიც.

იუნესკოს შეირ 1964 წ. აგვისტოს ახლობების საკითხებზე გრენობლში მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

1. „წინათ თვლიდნენ, რომ ახალგაზრდობის ერთადერთი მიზანდასახულობაა მომავალი აქტიური ცხოვრებისათვის მომზადება“.

2. ახლა ცხადი გახდა, რომ ახალგაზრდობას უნდა — და აქვს უფლება — რაც შეიძლება ადრე მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისი ადგილი დაიჭიროს საზოგადოებაში...

3. სწორედ ამიტომ აუცილებელია ახალგაზრდობა „ჩაერთოს საზოგადოებაში და მისი წარმომადგენლები უნდა მივიჩნიოთ, როგორც ახალგაზრდა დიდი ყმაშვილები და არა როგორც მოზარდი ბავშვები“.

და მართლაც, ახალგაზრდობის მისწრაფება, მონაწილეობდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სულ უფრო პოულობს აღიარებას.

სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები ქმნიან კლუბებს, ცენტრებს, ახალგაზრდობის სახლებს, საღაც ყმაწვილ გოგო-ბიჭებს შეუძლიათ შეცვდნენ ერთმანეთს და იმსჯელონ თავიანთ პრობლემებზე. მაგრამ უფრო სი თაობის მიერ მოწყობილ ამ ცენტრებში ისინი თავს არ გრძნობენ თავისუფლად და არჩევენ ერთმანეთს შეხედნენ სხვაგან: კაფეებში, საცეკვაო დაწინააღმდებში და სხვა, საღაც შეუძლიათ „თავისუფლად ილაპარაკონ და მოიქცნენ“.

და აი, ახალგაზრდებს სურტ თვითონ უხელმძღვანელონ მათთვის  
შექმნილ დაწესებულებებს, მათ სურტ თვითონ გააკეთონ თავიანთი მო-  
ცალეობისათვის დროსტარების (ექსკურსიის, სპორტის და სხვ.) ორგა-  
ნიზაცია, რათა აქ თავისუფლად ეკუთვნოდნენ თავიანთ თავს...

ახალგაზრდობა სულ უფრო ესწრაფვის ერკეოდეს და მონაწილეობდეს საერთაშორისო ურთიერთობათა საქმეებში. მშეიღების, ატო-მური ომისა და სხვა პრობლემები მათ აღელვებთ არანაკლებ უფროსი თაობისა, მამებისა და დედებისა.

— მათი დიდი ნაწილი თვლის, რომ საჭიროა „ქვეყანა შეიცვალოს“ და გაუკეთესდეს.

— ისინი მოითხოვენ: ქმობა, ერთობა და სიყვარული არა მხოლოდ დეკლარაციებში და წესდებებში იყოს ფიქსირებული, არამედ დამყარ- დეს რეალურ კანონზებში.

— მათ უნდათ მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ამ ღონისძიებათა განხორციელებაში, არამედ ამ მიზნით შექმნილი ნაკითონალური თუ

საერთაშორისო დაწესებულებების ორგანიზაციაში და ამ უკანასკნელთა  
პროგრამების, გეგმების შედგენაში;

— რამდენადაც ერთია მონაწილეობდე სხვის მიერ წარმართულ საქ-  
მეში და მეორეა თვითონ იყო წარმმართველი, თვითონ გეკუთვნოდეს  
იდეაც იმ საქმისა, რომლის განხორციელებისთვისაც იღვწი.

ერთნი ფიქრობენ, რომ დღევანდელი ახალგაზრდობის ამ მოთხოვ-  
ნებში ახალი არაფერია. ყოველთვის იყო და იქნება კონფლიქტე-  
ბი მამებსა და შვილებს შორის, ძველ და ახალ თაობას  
შორის და მათი ურთიერთსაყვედურის მოტივებიც ძველია, მხოლოდ  
ახალ სამოსელში.

და ამიტომ, მაგალითად:

1. როდესაც ახალგაზრდობა გამოდის ტექნიკრატიის წინააღმდეგ,  
ამბობენ, რომ ისინი ლაყბობენ;

2. როდესაც ახალგაზრდობა აღშფოთებულია კონფორმიზმისა და  
„ძლიერთა ამა ქვეყნისა“ წინააღმდეგ, მას ბრალს სდებენ უპასუხის-  
მგებლობაში, ზერელობაში, სერიოზულ მოვლენათა გაუგებლობაში.

3. როდესაც ახალგაზრდობა გამოდის თავისი საკუთარი სოციალუ-  
რი წრის წინააღმდეგ და სოლიდარობას უცხადებს მოპირდაპირე ბანაქს,  
აცხადებენ — ესეც ძველებური ბრძოლა „მამებსა და შეილებს შორის“.

ნამდვილად ეს ასე არაა. მამებს შორისაც ბლომად არიან არსებული  
ყოფიერების ნორმათა შეცვლის მომხრენი.

მამებს შორისაც ბევრნი მერმე, გვიან, ნანობენ, რომ თავის დროზე  
სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ახალგაზრდობას და ახლა მოწა-  
დინებული არიან ჩასწვდნენ მათი უკმაყოფილების მიზეზებსა და მო-  
თხოვნათა იდეებს.

ეს მამები აღიარებენ, რომ ახალგაზრდობას თავისი წელილი შეაქვს  
ახალ მატერიალურ, სულიერ და მორალურ ფასეულობათა შექმნაში და,  
მაშასადამე, მას უფლება აქვს ამხილოს არსებული ბურუუაზიული სა-  
ზოგადოების ნაკლოვანებანი, მიუთითოს იმ წყლულებზე, რაც აბრკო-  
ლებს ყოფიერების ჭანსალი გზით განვითარებას, და იბრძოლოს კიდევაც  
მათი აღმოფხვრისათვის.

პროგრესული უფროისი თაობა ამ ასპექტში აღიარებს, რომ ახალ-  
გაზრდობის აქტიური მონაწილეობა, მაგალითად, განათლების სისტემის  
რეორგანიზაციის, დაძველებული სოციალური ტრადიციის და პოლიტი-  
კური სტრუქტურის შეცვლისა და გარდაქმნის საქმეში უთუოდ ნაყო-  
ფიერი იქნება.

ამ მხრივ, ცხადია, არც ის პოზიცია იქნება სწორი, რომ ყველაფერი,  
რასაც ახალგაზრდობა მოითხოვს, ყოველივე, რაც მას მოეპრინანება,  
თითქოს უკველი კეშმარიტება და მისაღები მოვლენა იყოს, რომ  
თითქოს ყოველივე ახალგაზრდული „აბსოლუტური პროგრესულობით“

ხასიათდებოდეს და ამიტომ ყოველგვარი „უმაწვილური თაოსნობა“ შესაძლებელი და შით უფრო წაქეზების ღირსი იყოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოციოლოგთა შორის, ახალგაზრდობასთან ერთად, არიან იმის მომხრეები, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ინსტიტუტები დაძველდნენ, ამრკოლებენ ვანახლების ფერმენტების განვითარებას და სწორედ ამ დაძაბულობის შედევრია ახალგაზრდობის უქმაყოფილება და განახლების ძალთა ვაძლიერებისადმი მისწრაფება, რათა დააჩქაროს თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ახალი ნორმებისა და ფორმების ვამოვლენა და ვანმტკიცება.

ერთნი ფიქრობენ, რომ ახალგაზრდობის მოძრაობა სხვადასხვა ქვეყანაში სულ სხვადასხვანაირია, სპეციფიკურია და მათ შორის არაა რაომე არსებითი კავშირი.

მეორენი იმ აზრს ავითარებენ, რომ ეს მოძრაობა საყოველთაო ხასიათისაა, ახალგაზრდობა ყველგან გრძნობს და ვანიცდის თანამედროვე კაცობრიობის სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების კრიზისულ მდგომარეობას, რომ ახლანდელი „ახალგაზრდობის კულტურა“ ინტერნაციონალურია და ეს მოძრაობა, ურთიერთშელწევისა და ურთიერთგავების არსებულ ვითარებაში, უნივერსალურ ხასიათს ატარებს, — ცხადია, რიგ ადგილობრივ, ნაციონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქმე ისაა, რომ, თუ წინათ ახალგაზრდობის პრობლემა, ასე ვთქვათ, ეპიზოდურ და რევიონალურ ხასიათს ატარებდა, ახლა, ამ მხრივ, შეცვლილ ვითარებაში, რიგი ქვეყანა უკვე ატარებს წინასწარ შემუშავებულ „საახალგაზრდო პოლიტიკას“, რაც ვულისხმობს კანონმდებლობით, აღმზრდელობით, ფინანსურ და სხვა ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსს, რასთანაც დაკავშირებულია, კერძოდ, ახალგაზრდობის პრობლემის სისტემატური სოციოლოგიური შესწავლის ცდები!

<sup>1</sup> ბავშვთა და ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის უძეველესი ორგანიზაცია სკაუტების კავშირი. სკაუტიზმი ბავშვთა და ახალგაზრდობის ბურჟუაზიული იდეოლოგიის ფარავატერში აღნიშნის ერთ-ერთი ვაერცელებული ფორმა. სკაუტების მსოფლიო ბიურო შეიქმნა 1907 წელს ევნეცაში. მისი შტაბბინა ახლაც იქნა 1918—1920 წწ. სკაუტების მოძრაობა ჩაისახა საქართველოში და მაღლეც გაქრა. სკაუტების ორგანიზაცია ამჟამად აერთიანებს მრავალ ათეულ ნაციონალურ ასოციაციას და თევლის 14 მლნ წევრს. განსაკუთრებით ძლიერი და მრავალრიცხოვანია აშშ და კანაダსის ასოციაციები. წესდების მიხედვით სკაუტები ფიც დებენ „პატიონსა და შეასრულონ თავიათთ მოვალეობა ღვთისა და ქვეყნის წინაშე“. ამავე წესდების თანახმად წევრობა ნებაყოფლობითია, ხოლო ორგანიზაცია, ვითომ, დამოუკიდებელია სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიებისაგან. სკაუტიზმი თავისებურად ხელს უწყობს ახალგაზრდობის საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას და ურთიერთდაჭმულებას.

საყოველთაო მოცულენა შეიქმნა, მაგალითად, განათლების სფეროში დღიული კაპიტალდაბანდებები იმ მიზნით, რათა სახელმწიფომ უფროობას ლრმა, ორგანიზებული, გააზრებული და თანამიმდევრული გაცლენა მოახდინოს ახალგაზრდობის აღზრდაზე, ქვეყნის მომავალ ხელმძღვანელთა მოქალაქეობრივ ფორმირებაზე.

ქვეყნები, რომლებიც რეალურად ზრუნველ თავიანთი ეკონომიკის მოცერნიზაციისა და აღმავლობისათვის, ცდილობენ ამ საქმეებში ჩართონ ახალი ინდუსტრიული რევოლუციისა და ტექნიკური პროგრესის მაჯის ცემისადმი უფრო მგრძნობიარე, აღმაუნარიანი, ახალი იდეებით უფრო მდიდარი ახალგაზრდობა და ამ მიზნით ქმნიან კიდევაც შესაბამის ადმინისტრაციულ პარატს — ახალგაზრდობის სამსახურის სახელმწიფოობრივ ორგანებს.

ახალგაზრდობის „ზედაფენების“ „თავგასულობას“ „კონსერვატურული“ განწყობილების აღამიანები იმით ხსნიან, რომ „ახალგაზრდობა მოწყენილია“, რადგან მას უზრუნველად აქვს ყოველივე, რაც კი სჭირდება და რაც უნდა, — ანდა იმით, რომ შესუსტდეს საზოგადოებრივი ყოფიერების მორიალური და რელიგიური საწყისები, — იმით რომ ახალგაზრდები მოწყვეტილი არიან მშობლებს და სარგებლობენ მეტისმეტი სექსუალური თავისუფლებით.

ეს ადამიანები სწორედ ამ მიზეზებით ხსნიდნენ ახალგაზრდობის მასობრივ მოძრაობას, რაც დემონსტრაციებით, მანიფესტაციებით და პროტესტის რიგი სხვა ფორმით იყო გამოხატული, მაგალითად, 1968 წ. 150 000 ახალგაზრდის — ჭაბუკებისა და ვოგონების, სტუდენტებისა და მოსწავლეთა — მიერ პარიზში მოწყობილ დემონსტრაციებს. როდესაც ამ ბობოქარიმა მასამ გაავსო ნაციათა სასახლე და თავისი რაღიალური მოთხოვნები წამოაყენა. ანალოგიურ მოვლენებს უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა ინგლისში, გფრ-ში, იტალიაში, ნიდერლანდებში და სხვ.

ასე თუ ისე, გაჩნდა ე. წ. „ახალგაზრდობის კულტურის“ მეწარმეობა. საქმოსნობის შემოსავლიან დარგად გადაიქცა საყმარტილო ტანისამოსის, ლიტერატურის, გრამფიზტიტების, სიგარეტების, ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება.

გაჩნდა თავისებური ახალგაზრდული მანერა სიარულის, ყოფიერების, ცეკვის, სიყვარულის, ასევე სპეციალური რადიო, ტელეგადაცემები

თანამედროვე სკუტების თეორიელი საუცველი პრაგმატიზმისა და წერპრაგმატიზმის იდეალისტური ფილოსოფია. გამოიცემ ყოველავარტალური ბიულეტენი „მსოფლიო სკუტერი მოძრაობა“ (ინგლ. ენგლ.) უკანასკნელ წლებში სკუტების მოძრაობა ფართოდ პრაცელდება განვითარებად ქვეყნებში. სკუტების საერთაშორისო ბიურო სც უზრუნველყოფს დაუახლოვდეს ახალგაზრდობის წარვიტო სერტაშორის პროგრესულ ორგანიზაციას (Зарубежное молодежное движение, 1978; M: The Europa, Year book, Vol. I-II, 1977; The international Year book statesmen's whowho..., 1973; The statesmen's Year-book, 1977—1978).

და ყოველივე ამაში თავს იჩენს სისწრაფის, ძალდატანების, უზომო გატაცების, უძირო ნეტარების, უსაზღვრო აღტაცების წალილი, მისწრავა, ფეხა, რომ მთელი საზოგადოება გაითიშოს „თავისისა“ და „უცხოთა“ სახით.

ცნობილია, რომ ამ გზით დასავლეთის ქვეყნებში კაპიტალისტურმა მეწარმეობამ ახალგაზრდობა ადვილად გაიხადა მომგებიანი საქონლის რეალიზაციის „ახალ ბაზრად“.

ამ ახალგაზრდობის მოძრაობის სახეობათა შორის აღსანიშნავია ისეთებიც, როგორიცაა, მაგალითად, „გულმოსული (გაბრაზებული) ახალგაზრდობის“ ოპოზიციური მოძრაობა ინგლისურ ლიტერატურასა და თეატრში; ბიტნიკებისა — აშშ უნივერსიტეტებში, რომელთა წრიდან გამოვიდა არაერთი ცნობილი პოეტი და პროზაიკოსი. მაგრამ ეს მოძრაობა, როგორც მასობრივი მოვლენა, საბოლოოდ, იქცა დეკლასირებული და ნიჟილისტური ახალგაზრდობის უთავბოლო „მიმართულების“ გამოვლინებად.

პოლანდიაში წარმოქმნილი „პროვოს“ ჯგუფი იბრძოდა რიგი პროგრესული იდეისათვის, როგორიცაა მონაწილეობა ვიეტნამის ომის, აგრეთვე პაერისა და წყლის გაჭუჭყანების საწინააღმდეგო ორნიშნიერებში, აგრეთვე ისტორიულ ძეგლთა დაცვის, პოლიციის პუმანურობის გაძლიერების მოთხოვნები და სხვ. ისინი ვანსაკუთრებით აკრიტიკებდნენ უფროსი თაობის ფარისევლობასა და ორპირობას.

ამგვარ მოვლენათა შორის ერთ-ერთი უახლესია, მაგალითად, 1968 წ. სტუდენტთა მღელვარება კალიფორნიაში (აშშ), რაც ბერკელის უნივერსიტეტში დაიწყო. რობერტ კენედი მ ჭერ კიდევ 1967 წ. 24 თებერვალს ერთ თავის გამოსვლაში ანალიზი გაუკეთა ამ გარემოებას და მოიყვანა (გაიმეორა) სიტუაცია ბერკელის უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს ხელმძღვანელისა, რომელიც უკვე მაშინ აღნიშნავდა სტუდენტთა ახლანდელი მოძრაობის საერთაშორისო ხასიათს:

„ჩვენ მოვითხოვდით, რათა მოგესმინათ ჩვენთვის, — თქვენ უარი გვითხარით.

ჩვენ მოვითხოვდით სამართლიანობას — თქვენ მას ანარქია უწოდეთ.

ჩვენ მოვითხოვდით თავისუფლებას — თქვენ ამას თავაშვებულობა უწოდეთ.

თქვენ არაფერი არ გააკეთეთ იმისათვის, რომ გაგეფანტათ შიში და სასოწარევეთილება, რაც თვითონვე დათესეთ და ყოველივე ამას კომუნიზმი უწოდეთ.

თქვენ ბრალი დაგვდეთ ჩვენ იმაში, რომ ჩვენ არ ვსარგებლობთ ლეგალური საშუალებებით, მაგრამ თქვენ დაკეტეთ ჩვენთვის ეს არხები. თქვენ ააშენეთ, და არა ჩვენ, უნივერსიტეტი, რომელიც ეჭვსა და შეურაცხოფაზეა დაფუძნებული“.

კალიფორნიაშივე წარმოიშვნენ „ჰიპები“, რომელთაც აალაპარა-  
კეს მთელი ქეყანა. მათი უმრავლესობა შეძლებული ბურჯუაზიულად და  
არისტოკრატიული ოჯახიდანაა გამოსული. ამ ახალგაზრდებმა მიატო-  
ვეს ოჯახები, რათა შეერთდნენ „ერთიან ჯგუფებად“. უვაკილი, არაძალა-  
დობა, სექსი, პაციფიზმი, პასიურობა, სინამდევილის უგულებელყოფა,  
ნარკოტიკები — აი მათი მისწრაფება და განმასხვავებელი ნიშნები,  
თვით ზოგიერთი ბურჯუაზიული სოციოლოგის წარმოდგენით. უკანას-  
კნელ წლებში „ჰიპის“ მოძრაობა შესამჩნევად მინელდა.

\* \* \*

ახალგაზრდობა ცდილობს ტანისამოსითაც განირჩეო-  
დეს და ამისათვის ხშირად აცოცხლებს ძეველ მოდებს, იცვამს ძეველ,  
ნახმარ, კოსტიუმებს, რომელთაც ზოგჯერ გადააკეთებენ კიდევაც —  
აგრძელებენ, უფრო კი ამოკლებენ და ა. შ. მთავარი კი მათი აზრით ისაა,  
რომ მათ აქცევდნენ ყურადღებას, განიჩრიეოდნენ და ატარებდნენ იმას,  
რაც ესიამოვნებათ: ჩაკი შენ ახალგაზრდა ხარ, მაშისადამე, დამოუკი-  
დებელიც და ამიტომ არაფერს კარგავ, არც გეშინია, არ ჰგავდე  
სხვებს.

ახალგაზრდობის ერთი ინგლისელი მოდელიერი აცხადებს: „ჩემ  
მიერ შეკერილი კოსტიუმები განამტკიცებენ თავისუფლებას. აბსოლუ-  
ტურად არავითარი წესები არ არსებობენ. მთავარია მხოლოდ ის, რათა  
არ გაწუხებდეს, თუ რას ფიქრობენ ადამიანები!“ ინგლისური მოდების  
ურნალის „Tailor and Cutter“-ის [„მექრავი (თერძი) და გამომჭრე-  
ლი“] რედაქტორის ჭონ ტეილორის აზრით, ახლა კოსტიუმში ხაზი  
ესმება ფიგურას (მოყვანილობას)... და ეს წმინდა პრაქტიკული მოსაზ-  
რებით შემდეგშიც იქნება შენარჩუნებული: „ადამიანის სხეული სულ  
უფრო ლამაზდება, ადამიანი უკეთესად იკებება, არ ავალდება რაქიტით,  
უკლის თავის სხეულს. ახლა ადამიანები ცდილობენ კი არ დაფარონ  
თავიანთი ფიგურა (ტანი), არამედ უჩვენონ იგი“.

ფიქრობენ, რომ კოსტიუმის დიდი სიჭრელის გავრცელება შედე-  
გია იმისა, რომ ყოველი სოციალური ჯგუფი, რომელთა რიცხვი სულ  
მრავლდება, ქმნის საკუთარ ნორმებსა და ფორმებს და ისე ხდება, ეს  
ბედის ირონიაა, რომ ანტიკონფორმიზმი და ექსტრავაგანტობა თვითონ  
აწესებენ თავიანთ ნორმებს.

ამასთანავე წარმოიქმნა რაღაც „შეუთავსებლობის“ ტენდენცია.  
ახალგაზრდობის ზოგიერთი ჯგუფი სქესობრივ ცხოვრებას სცლის სირ-  
ცხვილის გრძნობიდან და, ეტყობა, ესეც ხელს უწყობს, რომ ქალმა და  
ვაუმა ერთნაირი (მეტადრე ვაჟის) კოსტიუმი ატაროს. ასეთ ვითარებაში  
გაჩნდა ე. წ. „ორსქესა კოსტიუმები“. ეს ტენდენცია იქითკენ კი არ

მიღის, რომ ვაუებმა ქალების კოსტიუმები ატარონ, არამედ პირქინი: ქალებმა ჩაიცან ჭინსები, შორტები და უსახელოიანები.

ამასთანავე დიდია მისწრაფება ეცვათ ისე, როგორც არავის. ეს ძევლისძველი „ადამიანური“ სურვილია. ამგვარად, გავრცელდა სანდალი, ები, ხის სქელ ძირზე დამაგრებული ფეხსაცმელი, რაც, როგორც ფიქრობენ, თავისი ფორმის მეოხებით, ფეხის ყველა კუნთს აიძულებს იმუშაოს. ვრცელდება მრავალგვარი ჩექმა... ტანისამოსის ამ სიჭრელესა და მრავალგვარობაში და არა მხოლოდ ფერადობის, არამედ გამოკრის მხრივაც თავს იჩენს ესკეპიზმისა და სნობიზმის ელემენტებიც.

ტანისამოსის მოდების ამ ახალი აბურდულობის თაობაზე დასმონდ მორიცის წიგნში „შიშეელი მაიმუნი“, წერს: „მასკარადის მთელი აზრი ისაა, რომ იგი რამდენიმე წუთით ჩვენ ხსნას გვანიჭებს. ყველაზე ახალგაზრდებისათვის ეს მასკარადი შეიქმნა გრძელვადიან დასაქმებულობად — გამუდმებულ ხსნად (თავის დალწევად) მათი როლებისაგან, რაც უნდა თავს მოახვიონ მთელ საზოგადოებას. თუ შენ აზრად გაქვს აჯანყდე საზოგადოების შინააღმდეგ, მაშინ შენი კოსტიუმიც, რაც შეიძლება აშეარად უნდა განსხვავდებოდეს იმ კოსტიუმებისაგან, რომლებიც მიღებულია ამ საზოგადოებაში“.

არსებითად ეს „მასკარადი“ ისევე მარადიულია. როგორც ახალგაზრდობა, ახალი თაობა საერთოლ; თუმცა გამორიცხული არა, რომ ამ შემთხვევაში, რუტინიზმისა და დამყაყებული ტრადიციის წინააღმდეგ „მოაჯანყის“ სულში მოქმედებდეს სული განახლებისა და გარდაქმნისა („Англия“, 1979, № 38).

იცვლება საზოგადოებრივი, სოციალური, ცნობიერებითი და ყოფიერებითი მოვლენები. იცვლება ახალგაზრდული ჩატმულობის იერი, თვით ლევი შტრაუსი, რომელიც გამდიდრდა საყმაწვილო ტანისამოსის (განსაკუთრებით კი ჭინსების) წარმოებით, ახლა იმის ცდაშია ღროსი შესაბამისი ცვლილება შეიტანოს თავის ნაკეთობაში. გამოუშვას კოსტიუმი, რაც დაამშვენებს „ადამიანებს“. რომლებიც ფეხებურთელებიდნ გადაიქცნენ მაყურებლებად“.

\* \* \*

ახლა თუ ზოგად ასპექტში შევეხებით საკიონს, ზედმეტი არა კოცდეთ, რომ ახალგაზრდობის კონცერტუნციის დელეგატი, მარსელი ტერი აღნიშნავს: ძველ და ახალ თაობათა შორის ბრძოლაში სტულენტთა იდეები მომავლისაჲნაა მისწრაფებული, ხოლო უფროსთა რეაქცია, ბუნებრივია, კონსერვატიულია.

საქმე ისაა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთი საზოგადოებრივი წყობადების პირობებში, საღაც სულ იზრდება პროცენტი ხანში შესული აღ-

გიანებისა, რომელთაც წამყვანი პოსტები უჭირავთ მთავრობაში, ადმინისტრაციაში, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებებში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის საწარმოებში.

და ამ ხანდაზმულ იდამიანთაგან, — განაგრძობს მ. იქტერი, — ბევრს არ გააჩნია ისეთი ფიზიური და გონებრივი ენერგია, რაც აუცილებელია იმისათვის, რათა არ ჩამორჩნენ ცხოვრების ჩქარ ღინებას და გეზი აულონ მომავლისაკენ მისწრაფებულ ძალთა მიმართულებას. მართალია, მათ დიდი დამსახურება მიუძღვით ქვეყნის წინაშე და სამართლიანად შეუძლიათ კიდევაც ამით იამაყონ, მაგრამ ფაქტია, რომ მათი უმრავლესობის დრო უკვე გავიდა და მათგან დიდმა ნაწილმა თავისი კალო უკვე გალეწა.

#### 4. პოლიტიკაციაშის ზახლას საუचალებათა როლი

როგორც ბელგიელი სოციოლოგი ანრი ჟანრე წერს, ამგამად კომუნიკაციისა და ინფორმაციის ისეთი საშუალებებია, რომ „ყოველგვარ ოდნავად მნიშვნელოვან მოვლენაზე დაუყოვნებლივ გადაეცემა ცნობები და ის ცნობილი ხდება ასეულ მილიონობით ადამიანისათვის დედამიწის ყოველ კუთხეში... პირველად ისტორიაში ადამიანთა მოდგმამ შეიგნო თავისი ერთობანობა. დღევანდელი დღის პრობლემები ეხება არა მხოლოდ ერთ ცალკე აბსტრაქტულ პიროვნებას, არამედ მთელ კაცობრიობას — თითოეულ კონკრეტულ ადამიანს“.

მისი აზრით, ზოგიერთ უძლიერეს სახელმწიფოებშიც კი აზროვნებენ გუშინდელი მასშტაბებით. მაგრამ დღეს სხვა მასშტაბებია და ეს, მთელი კაცობრიობის მომავალი სიტუაციის ვითარებაში, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე იოლად საცნაურია ახალგაზრდობისათვის.

ჩვენი საუკუნე ინფორმაციათა მსოფლიო გავრცელების, მასობრივი კომუნიკაციების, მასობრივი კულტურის („მონოკულტურის“) საუკუნეა და დღევანდელი ახალგაზრდობა — ესაა პირველი თაობა, რომელიც ტელევიზიის ექრანის წინაშე გაიზარდა, რომლის ორგანიზმში შეიქრა აქამდე საერთოდ ცოცხალი არსებისათვის უცხო ნივთიერება — ატომური მტვერი.

ამ ახალ თაობას ბავშვობიდანვე ტელევიზიონის ექრანიდან მიწყდა გაუთავებელი ნაიადი ურთიერთგადაბმული სიტყვების, ფრენბისა და სახეებისა, რომელთა კლასიფიკაცია, გააზრება და სისტემური ანალიზი მით უფრო ძნელია, რაც უფრო ურთიერთშეუდარებადი, ნაწვეტ-ნაწყვეტი, მრავალმხრივი და ჭრელია ინფორმაციის ეს დაუშრებელი დინება. ამ ახალგაზრდობას არ ამძიმებს თავისი სოციალური ინერცია და არც ადრე მიღწეულ გადაწყვეტილებათა ტვირთი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ: 1. წიგნის (ბეჭდვითი სიტყვის) და 2. რადიოს (ტელევიზიის, კინოს) მეოხებით ცოდნის (ინფორმაციის) მიღება და ათვისება სულ სხვადასხვა პრინციპზეა აგებული. 1. წიგნს აღა-მიანი ნებისმიერი სიჩქარით კოთხულობს, მას შეუძლია ტექსტს ხელა-ლა მიუბრუნდეს, გახაზოს, N B მიანიშნოს, კიდევ წაიკითხოს, სანამ კარგად არ გაიგებს. 2. ზეპირი ინფორმაციის ყველა წყაროს კი საკუთა-რი ტემპი აქვს და მსმენელი (მაყურებელი) შეიძლება მიწოდებულია ცნობების გააზრებას ვერც ასწრებდეს ისე, რომ მის შუბლს (აღმის გარკვეულ უნარს) ტელევიზიით ახალ-ახალი ინფორმაცია აწყდება, რო-მელთა საფუძვლიანი გავება ზოგჯერ ძნელია და ამდენადვე ადამიანის გონება (ცნობიერება) ბევრი ზერელე ცოდნითაც იტვირთება.

სსრკ ტელევიზორების რიცხვმა 1976 წ. 60 მლნ. მიაღწია<sup>1</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის 76—80 პროცენტს პრაქტიკულად აქვს შე-საძლებლობა ისარგებლოს ამ „ცისფერი ჭადოსნით“. სოციოლოგიური დაკვირვების მიხედვით თანამედროვე მსოფლიოში ტელეხედვა ადამი-ანის ცხოვრებაში შედის უკვე ორი წლის ასაკიდან. დიდ ბრიტანეთში ბავშვი ტელევიზორის პირისპირ თითქმის იმდენ საათს რჩება, რამდენ-საც მასწავლებელთან ატარებს. მაგრამ ტელევიზიის გავლენაში მოქცე-ულია არა მხოლოდ ბავშვები, არამედ მათი მშობლებიც. აშშ სოციო-ლოგების მონაცემებით, როგორც თვით ამერიკაში, ასევე კანადასა, გრი და იაპონიაში 10—14 წლის ბავშვები თავიანთი ინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად ასახელებენ ტელევიზიასა და კინოს. უკვე გაჩნდა ტელევიზიით განათლებულ ადამიანთა თაობა. აღსანიშნავია, რომ განათლების სფეროში ტელევიზიამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბს მიაღწია იაპონიაში, სადაც ათეულათასობით სკოლა-ში მოწყობილია საგანმანათლებლო ტელეგადაცემები<sup>2</sup>.

მთელი ინფორმაციის დაახლოებით 90% ადამიანი აღიქვამს თვალე-ბით. ამ მხრივ ტელევიზიის დიდი უპირატესობა ისაა, რომ იგი ხმისა და გამოსახულების ერთიანობის მეოხებით საოცრად აღლიერებს ინფორმა-ციის მიწოდებისა და აღქმადობის პროცესს. საქმარისია ითქვას, რომ ტელეგადაცემის ერთი დღე იმდენ ინფორმაციას იძლევა, რომ ოთხ-გვერდიანი 8—9 გაზეთის ტექსტს ავსებს, რაც საერთოდ გაზეთის 35 გვერდს შეადგენს.

ტელევიზორი მასობრივი ინფორმაციის ყველაზე ინტერნაციონალუ-

<sup>1</sup> 1979 წელს სსრკ რადიომიმღებ წერტილთა (რადიომიმღების, ტელევიზორე-ბისა და სატრანსლაციო წერტილთა) რაოდენობამ მიაღწია 208.309 ათასს, კერძოდ, საქართველოში კი — 2.652 ათასს (HX CCCP в 1979 г., стр. 354).

<sup>2</sup> В. Коробейников, Голубой чародей. Телевидение и социальная проблема, М., 1975.

რი საშუალებაა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ გამოსახულებათა მიღება შეიძლება პლანეტის ცენტრის კულტურული გაცვლის მეოხებით, ამასთანავე სამეცნიერო, სპორტული, საერთოდ მრავალგვარი ცნობის მიწოდებით იგი ფრიად აფართოებს და აადვილებს მოსახლეობის ცნობიერების ინტერნაციონალიზაციას. ამასთანავე ასეთი ინფორმაციის მიღების სიადვილე და მისი კრიტიკული ათვისების სიძნელე არ შეიძლება მეტნაკლები ზომით არ იწვევდეს ტელემაყურებელთა ზოგიერთი კონტინგენტის სოციალური აქტიურობის მოჩილუნებას, დაქვეითებას, რასაც ბურჯუაზიულ ქვეყნებში აღვილად ამჩნევნ და აღნიშნავნ კიდევაც პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერები.

სულ სხვა უითარებაა სოციალისტურ საზოგადოებაში. მაგალითად, ლენინგრადის მოსახლეობის გამოქითხვამ უჩვენა, რომ მოანერეთა 48% ტელევიზორს დასვენებისა და გართობისათვის უყურებს, ამასთანავე აუცილებლად პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის და საერთოდ მსოფლმხედვებლობის გაფართოებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით.

1976 წ. დამდეგს აშშ 700-ზე მეტი კომერციული და 270 კულტურულ-საგარმანათლებლო სატელევიზიო სადგური იყო. 68,5 მლნ ამერიკულ ოჯახში 112 მლნ ტელევიზორი მოდიოდა. ბოლო ხანებში ყოველწლიურად სატელევიზიო პარადაახლოებით 18 მლნ ერთეულით იზრდება. ტელევიზია მასობრივი კომუნიკაციის უცელა სხვა საშუალებათა შორის ინფორმაციის ცენტრაზე ავტორიტეტულ და ძირითად წყაროდაა მიჩნეული. მან ხელი შეუწყო საერთოდ ინფორმირებულობის, ცოდნისა და, კერძოდ, პოლიტიკური ცოდნის ამაღლებას, გამოიწვია პერიოდული პრესის, რადიოს, კინოს დიფურენციალია. კინოფილმების წარმოება განახევრდა. ძლიერი დარტყმა განიცადა რადიომიმღებებმა. ის სასტუმრო ოთახილან სამშარეულოში გადაბარებდა და უცირატესად „თავისი აქტუალური ბუნების“ შესაბამისად გარდაიქმნა. მოხდა რადიოსადგურთა სპეციალიზაცია; ის წინ პლანშეა დილის ინფორმაციაში. 1975 წ. ტელევიზიონ ჩეკლამიდან მიიღო დაახლოებით 5 მლრდ დოლარი. სატელევიზიონ გადაცემის 20% ეთმობა კომერციულ რეკლამის. საოცრად განვითარდა აუდიტორიის შესწავლის მექანიზმი. მისიც ეცელი „აუდიომეტრი“ ხელვის ღრმის გადაცემთა მიღების ახალი რეგისტრაციით რეგულარულად ეწევა აუდიტორიის ელექტრონულ აზომვას. — თუ რა ზომის აუდიტორია ჰყავს განათლების, სქესის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ მასალის გათვალისწინებით აღვენენ პროგრამას, იყენებენ აგრძელების აუდიტურ გამოყოთხვასაც.

გადაცემის ღრმის 10% ეთმობა ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინფორმაციას, დილასა და დღისით უჩვენებენ მსუბუქ ეიქტორნებს, თანამშებს, სანტიმენტალურ მელოდრამებს დიასახლისებისათვის. საღამოობით უჩვენებენ სერიებიან „სიტუაციურ კომერციებს“, კოებოურ ფილმებს, კესტერნებს, ლეტერტივებს, საესტრადო პროგრამებს და კინოფილმებს. გარდა გასართობებისა ტელევიზია გადაცემებს აწყობს სერიოზულ პროდლემებზეც, როგორიცაა: „ურბანიზაცია“, „ახალი დემოგრაფია“, „კანონი და წესრიგი“, კინოფილმები ცნობილ რომანებშე... თუ 1960 წ. აშშ მოსახლეობის 19%-ს ჰქონდა კოლეჯის ღრძის განათლება, ვარა უდინდონენ, რომ 1980 წ.—ის ექნებოდა 25% და ამის შესაბამისად უნდა ამაღლებულიყო სატელევიზიო პროგრამათა ინტელექტუალური ღონე.

აშშ ტელეპროგრამის მხოლოდ 2%-ია იმპორტელი (უმთავრესიდან: ინგლისი, კინადა, იაპონია, იტალია). ექსპორტის მხრივ კშე მორს გაუსწიო ყველა ჭრისას, ტელეპროგრამის ექსპორტი ყველაზე უდიდეს გასართობი პროგრამის 150 ათას საათს და იძლევა 110—112 მლნ ლოდის წმინდა მოვალეობას. დას ევროპში ტელეპროგრამების 20% მოდის იმერიკულ პროდუქციაზე. ისინი დემინგის ფუნქციით იყიდება და ქაღაგბენ „იმერიკული ცხოვრების წესს“, სოციალურ კონფორმიზმს, „ძალის კულტს“ და იმდრონდეთ ზიანს იყენებენ განვითარებასთან ქვეწების ნაციონალურ კულტურას ისევე, როგორც საერთოდ ჰუმანიზმის პრინციპებზე ახალგაზრდობის ღიზრდის დიდ საქმეს.

ახლა აქ ცოტა რამ უნდა ითქვას ახალგაზრდობასა და საერთოდაც საზოგადოებაზე, კერძოდ, კინემატოგრაფიის გავლენის, კინოს როლის თაობაზე.

ადამიანი ინფორმაციის უდიდეს ნაწილს ღებულობს მხედველობით, რაც დიდი ადამიანური და საერთოდ ცხოველური ფენომენია. მაგრამ ადამიანი ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან განსხვავებით არა მხოლოდ ხედავს, არამედ აზროვნებს, განიცდის, აღიქვამს და იმასთანავე ფლობს უნარს ეს თავისი განცდები სხვას გადასცეს, გააგებინოს, სიტყვებით მოუთხროს და გაუზიაროს მომავალ თაობებსაც, რომელთაც იგივე მოვლენები კიდევ შეუძლიათ სხვანაირად, თავისებურიად აღიქვანდა და განიცადონ, დაინახონ და გაიაზრონ, აამაღლონ და განავითარონ.

სწორედ ამიტომაა, რომ ინფორმაციის, კომუნიკაციის სფეროში უდიდეს როლს ასრულებს კინო, ჯერ კიდევ მუნჯი კინო. მაგრამ კინემატოგრაფიამ („უდიდესმა მუნჯმა“) ენაც აიდგა და, აი, ამ დროიდან იგი ახალგაზრდობაზე, საერთოდ ადამიანებზე მოქმედებს არა მხოლოდ როგორც სანახაობა, არა მხოლოდ მხედველობითი გრძნობით აღსაქმელი ფენომენი. ამ დროიდან მხედველობითი და სმენითი გრძნობა, უნარი ადამიანისა, მის მიერ გარემო სამყაროს აღქმისა და გავების თითქმის მთელი უნარი დაიძყრო კინომ.

სწორედ ამიტომაა კინო ახალგაზრდობაზე ზემოქმედების უდიდესი საშუალება და ამ ასკეპტში დიდად დაახლოებულია სინამდვილის გავებას ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი ფრენკ კაპრა. იგი აცხადებს, რომ ფილმის შემქმნელი ფლობს ადამიანზე ზემოქმედების ისეთ ძალას, რომლითაც აქამდე არ სარგებლობდა არც ერთი ადამიანი მსოფლიოში; არც გამოჩენილი პიროვნება, არც დიქტატორი, არც წმინდანი, არც მწერალი, არც პოეტი, — არც ერთ მათგანს არასოდეს არ ჰქონდა ისეთი ძალა (გავლენა) მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანის გონებაზე, როგორითაც ორი საათის განმავლობაში ბნელ დარბაზში სარგებლობს ფილმის შემქმნელი. ეს საოცარი (წარმოუდგენელი) ძალაა და მხოლოდ ის ფლობს ამასო.

ვინ უწყის... იქნებ ბედია თანამედროვე ცივილიზაციისა, რომ ეს ძალა მხოლოდ 2 საათის გრძელდება ისიც ბნელ დარბაზში.

და ეს ძალა ზეგავლენისა უწინარეს მაინც მხედველობითი ინფორმაციის მიღება-გადაცემის სახით მოევლინა თანამედროვე ცივილიზაციას, ადამიანს საერთოდ. მაგრამ სწორედ აქ, კინოფილმის დემონსტრაციის ძალის, ადამიანზე ზედმოქმედებისა და გავლენის ძალის უდიდეს ძლიერებას, თუმცა ხანმოკლეს, ორ საათიანს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბ ნ ე ლ ი დ ა რ ბ ა ზ ი. ეს სიბნელე დარბაზისა გამოვნილია მხოლოდ იმისთვის, რომ გაზარდოს მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს ძ ა ლ ა, ეკრანზე ამოძრავებულ გმირთა, ადამიანთა მოქმედების, უფრო ნათელნილვის, გარკვევით დანახვისა და ჩეენების ტექნიკური მიზნით.

მაგრამ არც მის, ბნელი დარბაზის გამომგონებელს და არც არავის დღემდე არ აუსწინია და არ უჩენებია, არ განუმარტავს და არ აღწერია, თუ რაოდენ საოცარ ფენო მენს წარმოადგენს ეს ბ ნ ე ლ ი დ ა რ ბ ა ზ ი თვით იმ ადამიანისათვის, რომ ე ლ ი ც 2 საათი ზის ამ სიბნელეში და უყურებს ფილმის დემონსტრაციას.

საკითხის მთელი არსი ისაა, რომ ადამიანი ფილმს უყურებს ბნელ დარბაზში და დარბაზის ეს სიბნელე მას, ადამიანს, ანიჭებს იმ საოცარ მდგომარეობას, ე. ი. უწინარეს დამოუკიდებლობას, რასაც იგი დარბაზში, 200—2000 კაცით გაჭიდილ დარბაზში, ე. ი. ადამიანთა დიდი კოლექტივისაგან ყოველგვარი ფარდით, კედლებით გამოყოფის გარეშე, თვით ამ კოლექტივში ჩაფლული ლებულობს (ამ დამოუკიდებლობას) იმისათვის რომ, იმავდროულად, იყოს მარტო, იყოს ისე, რომ მას არავინ არ უყურებდეს (ხედავდეს), იყოს თავისთავთან და ფილმში ნაჩენები მოვლენები, ადამიანები და მათი ბედი თუ უბედობა, სიტუაცია, რაშიც ისინი იმყოფებიან, ისე განიცადოს, რომ დარწმუნებული იყოს, რომ მისი განცდების, ე. ი. ფილმის გავლენის ეფექტს, რაც შეიძლება მის სახეზე აისახოს, არავინ არ უყურებს, არავინ არ აკონტროლებს!

ადამიანი, ახალგაზრდა, ეკრანზე უყურებს სხვათა სქესობრივი სიყვარულის პერიპეტიების, ოჯახური კონფლიქტების, თაობათა ბრძოლების, სკოლასა თუ საწარმოში თანატოლთა, უფროსთა და ხელქვეითთა შორის შექმნილ მძაფრ სოციალურ სიტუაციების და სხვ. დემონსტრაციას ისე, რომ სხვა თვითონ მას არ უყურებს, თუ როგორ განიცდის და ლელავს იგი როგორც მაყურებელი და ვინ იცის კიდევ... როგორც ანალოგიურ მდგომარეობაში ნამყოფი თუ მყოფი, თუ კიდევ... მოლოდინში მდგარი...

აქ მთავარი კი ისაა, რომ სიბნელე იმას, ვინც მოწყურებულია სინათლეში სხვას უყუროს, ე. ი. ეკრანს უყუროს, გამოყოფს სინათლისაგან, რომლის მეოხებითაც ის თვითონ სინათლეში არ ზის, ის თვითონ არაა იმავდროულად ობიექტი, რომელსაც შეიძლება სხვა უყურებდეს; —

<sup>1</sup> გაიხსნეთ სცენა სცენაზე — შექსპირის „პალეტში“.

იმას შეუძლია ისე უყუროს, ისე ხედავდეს და, მაშასადამე, განიციდიდეს, რომ თვითონ მას არ უყურებდნენ. ის განმხოლოებულია სხვათა მზეა, რის არედან, ხოლო თვითონ ინარჩუნებს სხვათა მზერის უპირატესობას, ე. ი. და მოუკიდებლობას, რაც ყოველგვარი ადამიანური გრძნობისა და შეგნების, მიზნისა და მისწრაფების ყველაზე უმთავრესი ადამიანური ფენომენია და რომლისგან დაცლა იმ არსებას, რომელსაც ადამიანი ეწოდება, უკეთ გამოთიშავს ადამიანთა, მოაზროვნე არსებათა, ე. ი. თვითმოქმედ და თვითმყოფურ ინდივიდთა წრიდან თუნდაც მხოლოდ იმის ძალით, რომ იგი უკვე არაფრით განსხვავდება ყველა სხვასაგან; — ის ისეთი არსებაა ანუ ლანდია, რომელსაც არ გააჩნია არსვითარი ინდივიდუალობა; არ გააჩნია ის, რისი ძალით ადამიანი, ყოველი ინდივიდი ერთადერთია მთელ სამყაროში, რომლის ბადალი და მსგავსი არ ყოფილა, არ არის და არც იქნება არასოდეს მილიარდობით ადამიანებით საესე პლანეტაზე.

მხოლოდ გაპირუტყვებული ადამიანი თუ მოისურვებს სხვათა გრძნობებისა და განცდების გაშიშვლების საყურებლად თვითონ შიშველი მოვიდეს. და განა თვით ტანისამოსიც არ განასხვავებს ადამიანს პირუტყვისაგან?; — ტანისამოსი, რაც ადამიანთა ცხოვრებისა და მორალის ათასწლოვან განვითარებას ასახავს და, მაშასადამე, უალრესად ადამიანური ფენომენია, ურომლისოდაც იქ, სადაც იგი მორალის ნორმის წარმოადგენს, ყოვლად წარმოუდგენელია ადამიანმა ადამიანთა შორის თავისი ადამიანობა განაცხადოს. ტანისამოსი ფარავს იმას, რაც ადამიანს, მხცოვანს თუ ახალგაზრდას, არ უნდა სხვა ადამიანის სამზერლად გამოაჩინოს. ანდა, სხვა სიტყვებით, ტანისამოსი ადამიანს გამოაჩინს ისე, როგორც თვით ადამიანს უნდა (შეუძლია) თავისი თავი გამოაჩინოს სხვა ადამიანთა შორის, საზოგადოების წინაშე.

მაგრამ ყოველი ანალოგია პირობითია. სიბნელე კინოს დარბაზში უფრო მეტია, თუმცა მხოლოდ ორი საათით, ვინემ ტანისამოსი, რაც ადამიანს, თავისი სხეულის სიშიშვლის დასაფარავად და სითბოს (სიცოცხლის) შესანახადაც მუდამდელ ამჟობს...

...და რაკი სიბნელეშია, ბნელ დარბაზშია, ე. ი. არავინ არ უყურებს, მაყურებელს შეუძლია ეკრანისეული ჩვენება (გამოსახულება) ისე მიიღოს, როგორც შეუძლია მიიღოს აბსოლუტურად დამოუკიდებელ, ნებიერ, თავისუფალ, მოურიდებელ, თვით მისი ინდივიდუალური ბუნებისათვის მისალებ და გასაგებ, ასათვისებელ და ასატან პირობებში... ასეთ დიდ, არსებითად შეუზღუდველ თავისუფლებას სინათლისადმი მისწრაფებულ ადამიანს ანიჭებს სიბნელე, რაც მის გარშემო სუფევს, სიბნელე, რომელშიც ის თვითონ შევიდა და რომლისგანაც თვითონვე თავისუფლად გადის და სწორედ ამიტომ ეს ისეთი სიბნელეა, რომელიც ჩრდილს არ აყენებს მას, როგორც მოქალაქეს, როგორც ადამიანს, ხო-

ლო საშუალებას და შესაძლებლობას ძლიერს (როგორც საერთოდ თე-ატრი) უყურის სხვა ადამიანთა ცხოვრებას, მათ მისწრაფებებს, ინტე-აქსებს, ვნებებსა და განცდებს, რომლებიც მით უფრო სანახაობადია, რომ გაკეთებულია სხვა ადამიანთა გაგებითა და მოქმედებით. სცენა-რისტი, დრამატურგი მოგვითხრობს სხვებზე და იმ სხვებს კიდევ სხვები (მსახიობები, არტისტები) წარმოგვიდგენენ, ვითარება სინათლეზე (სცე-ნაზე) გამოსული აჩრდილები, რომლებიც ჩრდილს (სიბნელეს) არ ეფა-რებიან და არც ითარებენ... კინოს ბნელი დარბაზი მსჯელობის გრძელი თემაა...

ტორონტოს უნივერსიტეტის პროფ. მარშალ მაკლუანი წერს, რომ „ჩვენმა საზოგადოებამ, რომელიც დაფუძნებულია დამწერლობის ხაზობრივ ფორმებზე, შექმნა თვალებისა და გონების კულტურა... მაგ-ამ წრე, რომელსაც ქმნის ადამიანი, თავის მხრივ, ახდენს მისი როლის დეტერმინაციას ამ წრეში. მასობრივ კომუნიკაციებში ელექტროტექნი-კის გამოყენებით, განსაკუთრებით ტელევიზიის გაჩენით, ადამიანმა და-ტოვა დამწერლობითი სიტყვის ეპოქა, რათა შევიდეს ზეპირი სიტყვის ახალ ეპოქაში, როდესაც ქვეყანა „მსოფლიო დასახლებად იქცევა“.

პროფ. მაკლუანის მიხედვით არსებობს ხარისხობრივი განსხვავება არა მხოლოდ ახალგაზრდობისა და უფროსი თაობის აზროვნებაში, არა-მედ განსხვავება მათი თვით აზროვნების ბუნებაშიც და მაშინ შეუძლე-ბელია მათ შორის სერიოზული საუბარი, რამდენადაც არ არსებობს აზროვნებისა და არგუმენტაციის საერთოობა (საერთო ურთიერთგაგების კატეგორიები).

კომუნიკაციის, ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებმა (პერი-ოდულმა პრესამ, საპარაკო ფოსტამ, ტელეფონმა, რადიომ, კინომ, ტე-ლევიზიამ, გრამფირფიტებმა და სხვ.) წარმოქმნეს ადამიანთა შემცნე-ბის ფორმირების ინდუსტრია, რომელიც მეტ-ნაკლები ზომით წევენს თვით აზროვნების (გონებრივი განვითარების) სტანდარტიზაციას და სა-წყისებს უდებს საერთოდ განათლების ინდუსტრიალიზაციას, ერთგვარ საერთაშორისო ფსიქოლოგიურ ძალდატანებას ადამიანის შეხედულება-თა ჩამოყალიბებაში.

მართალია, ასეთი ძალდატანება აღრეც იყო, მაგრამ ინფორმაციის არქაული საშუალებების პირობებში ის სპორადულ და ამდენადვე ნაწი-ლობრივ, ეპიზოდურ, რეგიონალურ, ზერელე გავლენას ახდენდა.

1969 წ. „თანამედროვე ცივილიზაციის შესწავლის ცენტრმა“ (ნიკა) გამოსუა სიმპოზიუმის მასალა თემაზე „ძალდატანება თანამედროვე მსოფლიოში“, რომელშიც, სხვათა შორის ვკითხულობთ:

„როგორც გინდა პარადოქსული არ იყოს, ძალდატანებამ მიაღწია დიდ გაქანებას, მიიღო ისეთი ცინიური და რაფინირებული ფორმები, რომ ყველაზე უფრო სისხლიან დროთა სისასტიკე ფერს კარგავს დღე-

ვანდელობასთან შედარებით: წამება, მეცნიერულად ორგანიზებული გენოციდი, სხვადასხვაგარი დევნა, მოსახლეობის მასობრივი გასახლება, უმწეო მსვერბლთა ანუ მთელი ხალხების განაღურება მჩავრელთაგან, ტერორის ყველაზე არააღმიანური ფორმების აღდგენა, დასარულ, ატომური ომის მუქარა და ე. წ. შიშის წონასწორობა.

...ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებამ ხელი შეუწყო ამასთანა, ვე ფიზიკური და მორალური ძალდატანების ახალი ფორმების, მ. უ. თვით კერძო ცხოვრებაში შეღწევის, ტვინის გამორეცხვის, ადამიანის შემცნების მანიპულაციის — იდეათა შთაგონებისა და ზეგავლენის სხვა საშუალებათა გაჩენას.

...ეს შენილბული, შეპარებული ძალდატანება, ცხადია, უფრო საშიშია, ვინემ დაუფარავი, აშკარა ფორმები ძალდატანებისა, რაც ჩვენში მაშინვე იწვევს სათანადო რეაქციას“.

ძალდატანების ეს ფორმები, ცნობილი მიზეზების გამო, განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებს ახალგაზრდობაზე, რომელთა დიდი მასები ამჟამად თავს იყრის უნივერსიტეტებსა და სკოლებში, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ ყოველი გონიერივი, ცნობიერებრივი ზეგავლენასათვის, ასე ვთქვათ, თვითწარმოქმნილ, ნაყოფიერ ნიადაგს და მით უფრო დიდი ზომით, რომ ახლა ამ ახალგაზრდობის მიმართ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ ზეგავლენაზე უფრო ძლიერია გარეშე ზეგავლენა, ინფორმაციის უახლეს საშუალებათა მეოხებით რომ ხორციელდება.

წინათ უნივერსიტეტში პროფესორი ლექციას უკითხავდა 10, 15, 20 სტუდენტს, და მათ შორის უშუალო მჭიდრო კავშირი, ხშირი საუბრება, შეხედულებათა, აზრთა აუჩენებელი გაზიარება მეგობრულ ურთიერთბამდე აღწევდა და ზეგავლენაც ამდენადვე თანამიმდევრული და მიზანსწრაფული იყო.

ამეამად სტუდენტთა რაოდენობა ფრიად დიდია და ყოველწლიურად კიდევ იზრდება — ერთი თაობის მანძილზე მოსწავლეთა რიცხვი 5 და 10-ჯერ გაიზარდა.

პროფესორის ყურადღება, ცხადია, ვერ სწორება მათ და თვით სტუდენტიც, სანამ აუდიტორიაში შევა, სახლში, ქუჩებში, მოედნებზე, თვით ტრანსპორტში — მეტროსა და ტრამვაიში, ავტობუსში, ავტომობილში — ღებულობს დიდძალი ინფორმაციას: რადიო, ტელევიზია, გაზეთები ათასნაირი ურთიერთსაწინააღმდეგო და შეუსაბამო ცნობები ტვირთავენ მის ტვინს და ასეთ ვითარებაში სტუდენტსა და პროფესორს შორის ძველებური ურთიერთდამოკიდებულება, გასაგებია, ირლვევა.

რაოდენობრივ ცვლილებას ადრე თუ გვიან მოცყვება თვისებრივი.

ახალი ახალგაზრდობის მოქალაქეობრივ და გონიერივ ფორმირებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ სასწავლებელთა პროგრამებით გათვა-

ლისწინებული აღმზრდელობითი სისტემა, არამედ, და ვინ უწყის, ზოგ-  
ჯერ უფრო ძლიერსაც, ზემოხსენებული ათასგვარი ინფორმაცია და თა-  
ნაც არა ერთი საზოგადოებრივი სისტემის, არამედ სხვადასხვა ნაციის,  
რასის, კონტინენტის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში შემუშავე-  
ბული და მთელ ქვეყანას მოდებული მრავალაზრიანი იდეები.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ახალგაზრდამ, ადრინდელ  
სტაბილურ დროს, წინასწარ იცოდა, თუ რომელ თავსაბურავზე გაცვ-  
ლიდა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის სტუდენტის ქუდს და  
როგორ კოსტიუმში გამოეწყობოდა თავისი სპეციალობის (უწყების)  
ფორმის შესაბამისად.

ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფ. პოლ სივადონი იმ დასკვნამდე  
მიდის, რომ ადამიანის მომწიფების პერიოდი უფრო გრძელი გახდა,  
ვიდრე წინათ იყო. წინათ ბავშვობიდან ყმაწვილობაზე გადასცლა სულ  
ამდენიმე თვე გრძელდებოდა, ახლა კი თითქმის 10 წელიწადი ჭიანურ-  
დება.

30—50 წლის წინათ ყმაწვილთა უმრავლესობა, უკვე 15 წლის ასაკ-  
ში ირჩევდა თავის მომავალ კარიერას. ახლა 25 წლის ახალგაზრდას  
ხშირად კიდევ ვერ მიუღია ეს გადაწყვეტილება. ჭაბუქთა 26% და გო-  
გონების 50%-მა, რომელიც საშუალო სკოლას იმთავრებს, არ იცის რა  
პროფესია აირჩიოს...

შედეგი კი ისაა, რომ სულ უფრო დიდი რაოდენობა ახალგაზრდა  
ცოლ-ქმრისა, მათ შორის შეილებიანებიც კი მთლიანად დამოკიდებულ-  
ნი არიან მშობლებზე.

ახლანდელი ახალგაზრდობა ფიზიკურად და სექსუალურად უფრო  
ადრე მწიფედება, ვინემ მათი წინამორბედნი, ამასთანავე მათ ბევრად  
მეტი დრო სჭირდებათ, რომ მიაღწიონ მოქალაქეობრივ, მორალურ და  
გონებრივი განვითარების შესაბამის დონეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ახლანდელ მოზარდს ოჯახური წრის სოცი-  
ალური ზეგავლენა სეიჩრდება არა 5-6 წლამდე, როგორც წინათ, არამედ  
15—20 წლამდე. მაშასადამე, მშობელთა როლი არა მხოლოდ იცვლება,  
არამედ აგრეთვე იზრდება და რთულდება, ხანგრძლივი ხდება.

მეორე მხრივ, თუ ადრე მოზარდის პიროვნების ფორმირებაში წამ-  
ყვან როლს დედ-მამა ასრულებდა, ახლა წინა პლანზე გამოდიან მისი  
(მოზარდის) მეგობრები, თანატოლნი და სხვადასხვა სათაყვანებელი  
პერსონები და ამიტომაც, როგორც პ. სივადონი ამტკიცებს, „მშობლე-  
ბი — მეგობრები“ უკვე ვერ სარგებლობენ წინანდელი ავტორიტეტით  
მოზარდთა შორის.

ამგვარად, მოზარდის პიოლოგიურ ცვლილებებს თან სდევს სოცია-  
ლური ცვლილებებიც. პოლონელი პროფ. ზიოგნუნდ ბაჟ მანის მი-  
ხედვით აქ პირველი მომენტი ისაა, რომ თითქოს „მოზარდ თაობას არ

გააჩნია სოციალური ფუნქცია“, რაც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ახალგაზრდობა უფრო გვიან ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

ასეთ ვითარებაში საზოგადოებას ახალგაზრდობა თითქოს, „მიშევებული ჰყავს“ ანუ როგორც ამერიკელი სოციოლოგი ოგასტ პოლინგი ბედი წერს, „გაგდებული ჰყავს“ „უპატრონო მიწაზე“, საღაც მათ თვითონვე უნდა მოიძიონ თავიანთი გზები მომწიფებისათვის.

— ნამდვილად, ცხადია, ასე არაა ყოველთვის და ყველგან; მაგრავ ისიც უდავოა, რომ ბევრგან სწორედ ასეთია ვითარება და ამ წრის ახალგაზრდობას ფრიად დიდი გავლენა აქვს საერთოდ ახალგაზრდობაზე (იხ. „კურიერი იუნესკო“, 1969, აპრილი).

ამგვარად, ბურჟუაზიული ქვეყნების სტუდენტთა ჯანსალი მოთხოვნები, საბოლოოდ დაიყვანება სამ მოთხოვნაზე: 1. უნივერსიტეტისა და სტუდენტთა ორგანიზაციების ავტონომია, 2. თვითმმართველობა და 3. აზრის, სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლება.

ავტონომიის მოთხოვნა უწინარეს ყოვლისა მიმართულია წინააღმდეგ სახელმწიფოსი, რომელიც მიიღოვის სულ უფრო მეტი ცენტრალუზაციისაკენ; მიმართულია ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და ოფიციალური ინდიფერენტიზმის წინააღმდეგ.

მეორე მხრივ, ავტონომია უნივერსიტეტს აიძულებს უფრო მეტად იზრუნოს თავის პრესტიუზე — მის მიერ მინიჭებული ხარისხებისა და მიცემული (დაღვენილი) კვალიფიციური სტანდარტების საყოველთაოდ აღიარებისათვის.

სტუდენტთა თვითმმართველობის იდეა ძველია. ჯერ კიდევ 400 წ. წინათ სტუდენტები მონაწილეობდნენ სალამანკის (ესპანეთი) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ გამგებლობაში. ამჟამად აშშ უნივერსიტეტებში სტუდენტები იჩიევენ თავიანთ დეკანს და სხვ.

ამას გარდა სტუდენტები მოითხოვენ დისკუსიისა და კრიტიკის თავისუფლებას, პარალელურ კურსებს ლექციებისა, რომელსაც წაიკითხვენ მოწინააღმდეგე აზრის მატარებელი ლექტორები; — ამ ლექციების განხილვასა და შეფასებას და სხვ; მოითხოვენ მეცნიერების უახლესი მიღწევების გაცნობას და ჩამორჩენილ ლექტორთაგან განთავისუფლებას; ისინი ხედავენ, რომ თუ უნივერსიტეტი ჩამორჩება ცხოვრებას, ის უკვე ვერ უპასუხებს თავის დანიშნულებას.

ახლა ის დრო უკვე არაა, როდესაც 10, 15, 20, 25, 30 წლის წინადელ დონეზე შეიძლებოდა მეცნიერებაში გაჩერება. საჭიროა უნივერსიტეტში შეთვისებული მეცნიერების, თუნდაც უახლესი მიღწევების დონის შემდგომი სისტემატური გამდიდრება და განახლება, კვალიფიციის გამუდმებული ამაღლება და, მაშასადამე, უნივერსიტეტში დროდარო ისევ და ისევ დაბრუნება, ცხადია, მცირე დროით მაინც, გადა-

ხალისებისათვის, განახლებისათვის, ცოდნის ამაღლებისათვის, უან-ლეს მიღწევათა ათვისებისათვის.

ყოველივე ამისათვის აუცილებელია თუით უნივერსიტეტების გაფართოება, სასწავლო და სამეცნიერო ხარჯების სისტემაზური გადიდება. კადაბანდების ყველაზე მომგებიანი და საზოგადოების მომავლის თვალსაზრისით გამართლებული ფორმა დაბანდება სწორედ ყველაზე უძვირფასესი კაპიტალის — თუით ადამიანების აღზრდაში, ახალი კადრების აღწარმოებაში.

ახლანდელი ახალგაზრდობა იბრძეის არა იმდენად არსებობის საშუალებისათვის, რამდენადაც ცხოვრების აზრისათვის და გამოდის წინააღმდეგ საზოგადოებრივი წყობილებისა, სადაც ადამიანი სინამდვილეში არ წარმოადგენს თავისი ბედის უფალს, თუმცა მას ოფიციალურად უწოდებენ თავისუფალს.

მათი აზრით, ახალი ადამიანი საკუთარი შეხედულებებით უნდა განაგებდეს თავის სვე-ბედს, რათა სოციალური სისტემა, სახელმწიფოებრიობა ემსახურებოდეს ადამიანს და არა პირიქით, — ასეთია 1968 წ. დასავლეთის ქვეყნების სტუდენტთა დემონსტრაციების ლოზუნების შინაარსი.

საქმე ისაა, რომ სოციალური ფსიქოლოგების დაკვირვებით, უკანასკნელ ხანებში ფრიად დაეცა მატერიალურ ღირებულებათა უპირატესობის იდეა. ახალგაზრდობის სულ უფრო დიდი ნაწილი მიიღოვას არა იმდენად „ფულიანი“ პროფესიების, არამედ შემოქმედებითი ხასიათის მატარებელი სპეციალობების შესწავლისაკენ, სულიერ ფასეულობათა (სიმღიდრის) შეძენისაკენ.

ბიტლზებს აქვთ ერთი სიმღიდრა „გოგონა მიდის სახლიდან“: ერთდღეს ის მიდის მშობლების სახლიდან. ხოლო მშობლებს არ ესმით მისი და აცხადებენ: „ჩვენ ხომ ვაძლევდით მას ყველაფერს, რისი ყიდვაც კი ფულით შეიძლებოდა“.

ახალგაზრდობა კი ფიქრობს, რომ ფულით ყველაფრის ყიდვა არ შეიძლება და ფულზე არც გადაიყვანება ყველაფერი.

ეტყობა, ზოგადი მიზეზი ახალგაზრდობის უკმაყოფილებისა იმ ქვეყნებში, სადაც 1968 წ. გავრცელდა სტუდენტთა არეულობები, ესაა: ერთი მხრივ, კონცენტრაცია (კაშირი) უფროსი თაობისა, რომელთაც აქვთ თანამდებობები და ხელისუფლება, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქციების გარეშე დარჩენილი, თანამდებობებს და ხელისუფლებას მოკლებული, პოლიტიკური ცხოვრებისაგან მოწყვეტილი ახალგაზრდობის უპერსპექტივო მდგომარეობა. ეს ახალგაზრდობა აცხადებს, რომ განიცდის ექსპლუატაციას თუნდაც მხოლოდ იმით, რომ სამხედრო სამსახურში გაპყავთ 17—18 წ. ასაკისა, ხოლო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ღებულობენ მხოლოდ 20-21 წლის ასაკს მიღწეულნი.

წარმოების ავტომატიზაციამ გამოიწვია ის, რასაც ბურუუაზიულ  
სოციოლოგები უწოდებენ „ქარხების გაუკაცურებელისას“.  
შესაფერისი ახალი სამუშაო აღვილები უფრო ნაკლებ იზრდება, ვინე  
ახალგაზრდა სპეციალისტების, საერთოდ, მუშების ჩიტენი.

ზოგიერთი ავტორიტეტული ბურუუაზიული სოციოლოგი აღნიშნავს,  
რომ, როგორც საწარმოთა უდიდეს უმრავლესობაში, ისე სახელმწიფო  
ებრივ ცხოვრებაში გაბატონებულია ტექნიკურატია. ტექნიკა თანამედ  
როვე საზოგადოებაში, განსაკუთრებით ქალაქებში, თითქოს, გამოიი  
როგორც თავისებური იდეოლოგიური, მსოფლმხედველობრივი ფაქტო  
რი და ამის საფუძველზე წარმოიქმნება განსაკუთრებული კლასი—  
ტექნიკურატია.

ყოველივე ეს ბურუუაზიულ მსოფლიოში აპირობებს ახალგაზრდო  
ბის გამოსვლათა ექსტრემისტულ ხასიათს.

### 5. ახალგაზრდული მოძრაობის სოციალური პუნქტი

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1903 წ. მოგვცა სტუდენტთა მოძრაობის  
სოციალური ბუნების განმარტება.

„სტუდენტობა ინტელიგენციის ყველაზე გულისხმიერი ნაწილია  
ხოლო ინტელიგენციას იმიტომ პქვია ინტელიგენცია, რომ ის ყველაზე  
შეგნებულად, ყველაზე გაბედულად და ყველაზე ზედმიშვენით ასახავ  
და გამოხატავს კლასობრივ ინტერესთა და პოლიტიკურ დაჭვუფებათ  
განვითარებას მთელ საზოგადოებაში. სტუდენტობა არ იქნებოდა ის,  
რაც არის, მისი პოლიტიკური დაჭვუფება რომ არ შეეფერებოდეს მთე  
ლი საზოგადოების პოლიტიკურ დაჭვუფებას, — „შეეფერებოდეს“ არ  
სტუდენტთა და საზოგადოებრივი ჯგუფების სრული პროპორციულო  
ბის აზრით მათი ძალისა და რიცხოვნობის მიხედვით, არამედ სტუდენ  
ტობაში იმ ჯგუფების აუცილებელი და გარდუვალი არსებობის აზრით,  
როგორნიც არიან საზოგადოებაში“<sup>1</sup>.

1960-იან წლებში აშშ სოციოლოგმა ს. ლუბელი (S. Lubell)  
ჩაატარა სტუდენტთა მასობრივი გამოკითხვა: — რამდენად განსხვავდე  
ბიან ისინი თავიანთი მშობლებისაგან და რამდენად ემსგავსებიან მათ

გამოკითხულთა 10%-ს მიაჩნია, რომ ძლიერ განსხვავდებიან. ერთ  
მესამედი საერთოდ ვერ ამჩნევს არსებით განსხვავებას, მეორე მესამე  
დი ცნობს ზოგიერთ ზომიერ განსხვავებას, სამ მეოთხედზე მეტი მხარს  
უჭირს იმავე პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც მშობლები. უფრო არსე  
ბითია მამათა და შეილთა შორის განსხვავება ყოფიერების სფეროში.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხ № 7, 1949, გვ. 37—38.

ნარევოტიკების, სექსუალური ქცევის ნორმების მიმართ. ამასთანავე გა-  
მოკითხულთა 50%-ზე მეტმა განაცხადა, რომ მათ სურთ თავით მომა-  
ვალ შვილებს დაახლოებით ისეთივე განათლება მისცენ, როგორიც  
თვითონ მიიღეს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტთა რაცხოვნობა მოსახ-  
ლეობის 10 000 სულზე 1971/72 წწ. უდრიდა:

სსრკ	— 187	აესტრიიში	— 63 (1970/71)
გ. შ. ინჟინრები	— 88	ინგლისში	— 86 (1969/70)
ასტრი	— 204	ბელგიაში	— 87 (1966/67)
უკრაინის სსრ	— 168	დანიაში	— 117 (1970/71)
ბელორუსის სსრ	— 156	ესპანეთში	— 56 (1969/70)
უზბეკეთის სსრ	— 187	იტალიაში	— 91 "
ყაზახეთის სსრ	— 149	პორტუგალიაში	— 47 "
საქართველოს სსრ	— 186	გვ. რ	— 56 "
აზერბაიჯანის სსრ	— 188	ფინეთში	— 122 "
ლიტვის სსრ	— 182	საფრანგეთში	— 117 (1968/69)
მოლდავეთის სსრ	— 119	შვეციაში	— 149 (1970/71)
ლატვიის სსრ	— 170	ირანში	— 25 (1969/70)
ყირგიზეთის სსრ	— 159	თურქეთში	— 44 "
ტაჯიკეთის სსრ	— 149	იაპონიაში	— 129 (1970/71)
სომხეთის სსრ	— 211	ალბანიაში	— 7 (1968/69)
თურქეთის სსრ	— 128	ეგვიპტის ა. რ.	— 51 "
ესტონეთის სსრ	— 158	ინდოეთში	— 21 (1965/66)
ბულგარეთში	— 112	მარკომში	— 8 (1969/70)
უნგრეთში	— 83	ეთიოპიაში	— 2 "
გ. ლ. რ	— 89	კანადაში	— 150 (1968/69)
მონგოლეთის სახ. რეს.	— 66	მექსიკაში	— 38 (1969/70)
პოლონეთში	— 106	აშშ სულ	— 243 "
რუმინეთში	— 72	გ. შ. ინჟინრები	— 17 "
ჩეხოსლოვაკიაში	— 89	ბრაზილიაში	— 37 "
ალბანეთში	— 110 (1969/70)	ჩილეში	— 76 "
იუგოსლავიაში	— 137		

როგორც ეს მონაცემები გვიჩვენებენ, ფრიად დიდია განსხვავება განვითარებული (ინდუსტრიულ და განვითარებადი ქვეყნების მოსახ-  
ლეობის საერთო მასაში ინტელიგენციის, კერძოდ, სტუდენტთა ხელ-  
ითი წონის მხრივ. საქმარისის ითქვას, რომ თუ აშშ მოსახლეობის ათი  
ათას სულზე 243 სტუდენტი მოდის, ხოლო განვითარებად ქვეყნებში  
როგორიც არიან, მაგალითად, ეთიოპია (2), სომალი (2), ავღანეთი (4),  
განა (6), ალჟირი (7) და სხვები, ეს რიცხვი, 2, 4, 6, 7 და 20—25 იშ-  
ვიათად აღმატება.

სსრ კაცშირში მოსახლეობის ათი ათას სულზე 10—15-ჯერ მეტია  
სტუდენტი, ვინემ, მაგალითად, ინდონეზიაში, ბირმაში, ეგვიპტეში, ტუ-  
ნისსა და კონგოში.

1960—1970-იან წლებში თითქმის მთელ მსოფლიოში მოხდა უმაღლეს საწავლებელთა გამსხვილება, რამაც გამოიწვია სტუდენტთა დიდი მასების კონკურსები. შესამჩნევად იცვლება სქესობრივი-ასაკობრივი სტრუქტურა. ქალთა ხვედრითი წონა, მართალია, მცირეა, მაგრამ იგი სწრაფად იზრდება. ქალთა და ვაჟთა განცალკევებული სწავლა სულ უფრო უმობის ადგილს ერთად სწავლას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად მიმდინარეობს სტუდენტთა სოციალური შემადგენლობის დემოკრატიზაცია, რაც ბურჯუაზიულ ქვეყნებში ხელს უწყობს სტუდენტთა მოძრაობაში პროგრესული და რევოლუციური იდეების გაძლიერებას. 1965 წელს საფრანგეთის უნივერსიტეტებში 1 000 სტუდენტთაგან მუშის შვილი იყო 94, სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშისა — 6; კაპიტალისტურ საწარმოთა მფლობელისა — 148; მოსამასხურისა — 86; გლეხისა — 58, თავისუფალი პროფესიისა და მაღალებრივი სპეციალისტისა — 289, საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტისა — 167 და სხვათა — 152.

სტუდენტის სტატუსის თავისებურებაა, რომ მისი, როგორც სტუდენტის, მდგომარეობა დროებითია (4—6 წ.) და მარგინალური. მშობლების ოჯახის გარეთ (სხვა ქალაქებში) მცხოვრები სტუდენტი თავისუფალია დედ-მამის კონტროლისაგან და არც საწარმოში თუ სამსახურში დამყარებული რეგლამენტირებული შრომის რეჟიმს არ ემორჩილება იგი. ეს ვითარება მას ანიჭებს, თუმცა დროებით, მაგრამ შედარებით მაინც თავისუფალი ცხოვრების სტატუსს, რასაც დიდი ზომით აქარწყლებს ინფლაცია, ფასების ზრდა, ფრიად შეზღუდული ფინანსური ბიუჯეტი.

ასეთ პირობებში სწავლის დაწესებულ ვადაში (4—6 წ.) დიპლომს საფრანგეთში ლებულობს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულთა მხოლოდ 50%, იტალიაში — 63%, გფრ — 60%, პოლანდიაში — 58%, დანარჩენი ან მეტხანს უნდება კურსის დამთავრებას, ზოგჯერ 10 წლამდეც, ანდა განითესება.

ეს, ცხადია, აიხსნება არა მხოლოდ იმით, რომ ამ სტუდენტობას ხელს არ უწყობს ნივთიერი პირობები და არც იმით, რომ დრო არ ჰყოფნის ისწავლოს. მათ მნიშვნელოვან პროცენტს ხშირად საკმაო დრო აქვთ არა მხოლოდ სწავლისა, არამედ დასვენებისთვისაც. ვინ უწყის, იქნებ თავისუფალი დროის სიჭარბეც იყოს, გარკვეული გაეგებით, სტუდენტთა ნაწილის დროის ბიუჯეტის აბურდულობის, დროის უმიზნოდ არარაციონალურად ხარჯვის მიზეზი.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც აყალიბი, ა. კაპიცი წერს, ახალგაზრდობის ნაწილი რაციონალურად ვერ იყენებს მოცალეობას, რაც მას საქმაო ზომით აქვს „გრძნობენ რა, რომ მშობლები უზრუნველყოფილნი არიან, ახალგაზრდები არ განიცდიან ხვალინდელა

დღის შიშს, არსებობისათვის ბრძოლის აუცილებლობას და ყოველსახე  
ამას მივყავართ იქამდე, რომ ასეთ პირობებში ახალგაზრდობის წინაშე  
არ დგას ამოცანები, რომელთა გადაჭრისას შეეძლოთ თავიანთი ძალე-  
ბისა და ნებისყოფის განვითარება. ყოველივე ეს, ერთად აღებული,  
ახალგაზრდობის ცხოვრებას აცლის მუდმივ შინაგან შინაარსს“, რამდე-  
ნადაც გატაცება სპორტით, სანახაობით, ესტრადით, სექსით და სხვ., ასე  
თუ ისე მალე ამოიწურება და მერმე მოდის ნარკოტიკები და სხვა ნეგა-  
ტიური მოვლენები, რაც იწვევს მათი სულიერი დეპრესიის გაღრმა-  
ვებას.

\* \* \*

სტუდენტობა როგორც ახალგაზრდობის, ასევე ინტელიგენციის  
გნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ინტელიგენ-  
ციის ძირითადი მასების მდგომარეობა სულ უფრო უახლოვდება  
და აქირავებული პროცესია როცემისას და ორივე ერთ-  
დროულად განიცდის უმუშევრობის, საერთოდ, სოციალური და პოლი-  
ტიკური თავისუფლების შეზღუდულობის გავლენას. უნივერსიტეტის  
კურსდამთავრებულთა სულ უფრო ნაკლები რაოდენობაა უზრუნველ-  
ყოფილი სპეციალობის შესაბამისი სამსახურით, თანამდებობით. უფრო  
მძიმეა ამ მხრივ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგების კურსდამთავ-  
რებულთა პერსპექტივა. შეიმჩნევა ტექნიკური სპეციალობებისადმი  
ინტერესის შენელებაც.

1968 წ. მაისის არეულობასთან დაკავშირებით გამოკითხულ პარი-  
ზელ სტუდენტთა 56 % უჩვენა, რომ „უწესრიგობის უპირველესი მიზე-  
ზი იყო უიმედობა, რომ იშოვნონ განათლებით მიღებული სპეციალობის  
სამუშაო. 35 % მეორე მიზეზად დაასახელა უნივერსიტეტების (პროგ-  
რამების, სწავლების მეთოდებისა და სხვ.) შეუხამებლობა განათლების  
რეალურ საჭიროებებთან, ხოლო დაახლოებით 10 % „მომხმარებლური  
საზოგადოების“ „ზოგადიდეოლოგიური“ უარყოფითი მხარეები მია-  
ნიშნა.

აშშ სტუდენტთა მოძრაობის მეთაურები და ორგანიზატორები არიან  
უპირატესად საზოგადოებრივ მეცნიერებათა და საერთოდ თეორიულ  
სპეციალობათა წარმომადგენლები, რომელთა შორის ბურჟუაზიული  
ბიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა ხშირად უტოპიური იდეებითა და  
„ანტიინდუსტრიული“ დევიზების გამოცხადებით აისახება.

ამერიკელ სოციოლოგთაგან ზოგიერთი კარგად ამჩნევს, რომ სტუ-  
დენტთა მოძრაობას არა კერძო, არამედ ფართო საზოგადოებრივი ხსი-  
ოთი აქვს, ფრანგი სოციოლოგი ალენ ტურენი (A. Touraine) წერს, რომ  
უნივერსიტეტში თავს იჩენს ახალი სოციალური კონფლიქტები სწორედ  
იმიტომ, რომ აქ სოციალური იძულება სუსტია, ვინემ სხვაგან, იმიტომ,

რომ აქ „იდეათა მოძრაობა უსწრებს პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციას, იმიტომ რომ ცოდნის სოციალური როლი წარმოადგენს საყოფაც ველთაო პრობლემას“.

ამავე დროს, მისი აზრით, მუშათა კლასი უკვე არ წარმოადგენს სოციალური მოძრაობის წამყვან ძალას. ახალი სოციალური კონფლიქტების ცენტრი ხდება არა ინდუსტრიული საწარმო, არამედ უნივერსიტეტი. ამიტომაც იცვლება თვით სოციალური კონფლიქტის ბუნება და ის. ტორიკული განვითარების პროცესის მთავარი სუბიექტიც. მავრამ ბურუუაზიულ სოციოლოგთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ქადაგებენ, რომ სტუდენტობა წარმოადგენს „ახალ რევოლუციურ კლასს“, რომელიც იყავებს ვითომლა უკვე „გაბურუუებული“ პროლეტარიატის ადგილს.

ასეთ შეხედულებათა არამეცნიერულობას დიდი მტკიცება არ სჭირდება. ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „განა თავისთვეად ცხადი არ არის, რომ სტუდენტობის გარევოლუციურებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სავსებით გარკვეული შეხედულება არსებობს იმ გარევოლუციურების შინაარსსა და ხასიათზე? მაგალითად, სოციალ-დემოკრატიულ რწმენათი გავრცელებას სტუდენტობაში და ბრძოლას იმ შეხედულებებთან, რომელთაც თუმცა „სოციალისტურ რევოლუციურს“ უწოდებენ, მაგრამ რევოლუციურ სოციალიზმთან საერთო არაფერი აქვთ, მეორე, ეს ნიშნავს მისწრაფებას — გააფართოო, უფრო შეგნებული და უფრო გაბედული გახადო სტუდენტობის ყოველგვარი დემოკრატიული, მათ შორის აკადემიური მოძრაობაც“<sup>1</sup>.

გასაგებია, რომ მხოლოდ მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლებთან დაკავშირებულ სტუდენტთა ორგანიზაციების მოძრაობა შეიძლება გახდეს ნამდვილად პროგრესული ძალა.

ამეამად „სტუდენტთა ფართო მასები იბრძვიან არა მარტო სწავლების ჩამორჩენილი სისტემის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, არა მარტო იმ უფლებისათვის, რომ ჰქონდეთ თავიანთი ორგანიზაციები და ეფუძნიანად მონაწილეობდნენ სასწავლო ცენტრების ხელმძღვანელობაში, არა მედ გაბატონებული კლასების პოლიტიკის წინააღმდეგაც... მხოლოდ მუშათა მოძრაობასთან და მის კომუნისტურ ავანგარდთან მჭიდრო კაუშირს შეუძლია დაუსახოს ახალგაზრდობას ნამდვილად რევოლუციური პერსპექტივა“<sup>2</sup>.

სტუდენტობა საერთოდ მნიშვნელოვანი თავისებურებით განსხვავ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 7, გვ. 42.

<sup>2</sup> კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტი, 1969, თბ., გვ. 31—32.

დება დანარჩენი ახალგაზრდობისაგან. ტ. იშჩენკოს აზრით სტუდენტობის, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფის განმასხვავებელი ნიშანი, უწინვეტობარეს ყოვლისა, ესაა სტუდენტის შრომის ხასიათი, რაც გამოიხატება მეცნიერული ცოდნის, სისტემატურ დაგროვებასა, ათვისებასა და დაუფლებაში და, აგრეთვე, მისი მთავარი სოციალური როლი, რაც განსაზღვრულია იმით, რომ სტუდენტობა არის ინტელიგენციის არზერვი და ამასთანავე მიექუთვნება ქვეყნის ახალ თაობას, ახალგაზრდობას!

სტუდენტის სწავლის პერიოდი თავიდან ბოლომდე რეგლამენტირებულია. ახალგაზრდის, როგორც სტუდენტის, მდგომარეობა განსხვავებულია მისი ადრინდელი შრომისა და ცხოვრების პირობებისაგან. ის, ქალია თუ ვაჟი, ამიერიდან დამოუკიდებელია და უმრავლეს შემთხვევაში მშობლების ოჯახისა კონტროლისაგანაც გამოსულია და თითქოს „ჩიტივით თავისუფალია“. ის საზოგადოების ახალ წრეში—ინტელიგენციის რიგებში გადადის. როგორც საკუთარი თავისა და მშობლების, ასევე საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე მისი პასუხისმგებლობა ახალ ორბიტაში უნდა გამოვლინდეს, ახალ, დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს.

საბჭოთა სტუდენტობის უდიდესა უმრავლესობა თვლის, რომ იგი სწავლის დამთავრების შემდეგ მოწოდებულია ცხოვრებაში, პრაქტიკაში დანერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, იყოს ნოებორი, იყოს მოწინავე კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების, ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის ბრძოლის ყველა საფეხურზე, იყოს კომუნისტური საზოგადოების შეგნებული და ექტიური მშენებელი.

#### 6. სტუდენტთა მოძრაობა ამარიკის უმერთობულ უტარები

ალქე XVI ყრილობაზე (26. 5. 70) ამხანაგი ლ. ი. ბრეუნევი ამბობდა: „ჩვენ მოწმენი ვართ კაპიტალის ქვეყნებში „ახალგაზრდული მოძრაობის მძაფრი აღმავლობისა. ეს არის კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გალმავების დიდმიშვნელოვანი სიმპტომი“<sup>2</sup>.

თანამედროვე რადიკალური ახალგაზრდობის მოძრაობა წარმოიშვა 50-იანი წლების მიწურულს. ეს იყო სხვადასხვა დემოკრატიული ორგა-

<sup>1</sup> Т. Ищенко, Место студенчества в социальной структуре советского общества (Молодежь, как общественная группа. Сб. статей, М., 1972).

<sup>2</sup> ლ. ი. ბრეუნევი, ლენინური კურსით, სიტყვები და სტატიები, ტ. II. 1973, ვე. 38.

ნიზაციის სტიქიური გერმანების შედეგი და თავდაპირველად მას არ ექცეოდა სერიოზული ყურადღება. მაგრამ 60-იანი წლების შუაშიაშვი, ამ შოძრაობამ მასობრივი დემონსტრაციებით, სტუდენტთა მღელვარებით და სხვ. უკვე დაიმსახურა „თაობათა კონფლიქტის“ სახელი.

„მოჯანყე ახალგაზრდობის იდეოლოგიაში“ ერთანდებოდა მრავალგვარი მიმღინარეობა, რომელთა შორის ყველაზე გავლენიანი იყვნენ „ახალ მემარცხენეთა“ ჯგუფები — „სტუდენტთა დემოკრატიული საზოგადოება“ (SDS). მათვე მიაკუთვნებდნენ ჰიპებს, რომლებიც მსოფლმხედველობრივი პრობლემისადმი „ინდიურენტულად“ არიან განწყობილი, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ „იდეოლოგიებმა ფუნქციურად უკვე ამოწურეს თავისთვის“ და ახლა ყველა ისინი „დოქტრინერული“ და დემაგოგიურია; ხოლო თანამედროვეობა მოითხოვს არა თეორიებსა და მოსაზრებებს, არამედ მოქმედებას.

ჩაც შეეხება „ახალ მემარცხენებს“, — ესენი კრიტიკულად უყრებენ როგორც წარსულს, ასევე თანამედროვე წყობილებას, კულტურას, ყოფიერებას, „მამათა ფასეულობას“. ბურუუაზიული სოციოლოგები ფიქრობენ, რომ ესაა იმპერიალისტური ომების, კრიზისების, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზაციის, პრესტიგისა და გამდიდრებისაკენ მისწრაფების შედეგები. ისინი უარყოფენ ანტიკომუნიზმსაც, რამდენადაც ამაში ხედავენ დემოკრატიული ძალების დათრგუნვის საშუალებას.

„ახალი მემარცხენები“ (ა. მ.) „თავიანთ“ იდეებს სესხულობენ უმთავრესად იმ ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა ნაწერებიდან, რომლებიც ყურადღებას ამახევილებენ თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ადამიანის კრიზისულ მდგრადიობაზე, „ტექნიკური“ ცოვილიზაციის მანქიერებაზე. ესენი არიან პ. მარკუზე, რ. მილსი, ე. ფრომი, ა. რისმენი და სხვ. მაგრამ ა. მ. იშველიებენ აგრეთვე კ. მარქსის, ვ. ლენინის იდეებსაც, უმთავრესად „კაპიტალიზმის ფასეულ კრიტიკას“ ისინი უარყოფენ „ისტებლიშმენტს“.

ა. მ. ბრალს სდებენ თანამედროვე ბურუუაზიულ საზოგადოებას მისი გარევნილი აზროვნებისათვის, რომელიც ითმენს უსამართლობას და ურიგდება არაადამიანურობას, სიცრუესა და სიმეაცეს, ამტყუნებენ ბიზნესს, სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ხელისუფალთ იმაში, რომ ისინი არ ისახავენ რაიმე უფრო მაღალ მიზნებს, ვინემ სტატუსების შენარჩუნებას, რაც ფრიად დაშორებულია იდეალებს.

ა. მ. თეორეტიკოსი და ცნობილი მოღვაწე პოვარდ ზინსი წერს (1969 წ.): „ნაცვლად იმისა, რომ ვიდავო მოგების დაცემისა ანუ კაპიტალის ორგანული სტრუქტურის შესახებ, მე ვარჩევდი ყურადღების კონცენტრაციის იმაზე, რაც ადვილად დასანახია, სახელდობრ იმაზე. რომ ჩვენს ქვეყანას აქვს აუარებელი რესურსები, რომელსაც ის იყე-

ნებს სამარცხვინოდ და ანაწილებს უსამართლოდ“. თანამედროვე რე-კოლუციონერებს, პ. ზინსის აზრით, „რ მართებთ უბრალოდ ხარჯონ დრო თეორიულ დისკუსიებზე, რადენადაც „სანამ ჩენ ჩვენ ვდაგობთ, მსოფლიო მოძრაობს, სანამ ჩვენ ჩვენს ნაშრომებს ვაქცეყნებთ, სხვა ადამიანები ილუპებიან“.

ა. მ. მთავარი შეცდომა ისაა, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებენ კაპიტალიზმის მორალურ-ემოციურ და არა მეცნიერულ კრიტიკაზე, რომ უგულებელყოფენ რაციონალური და მეცნიერული მსჯელობის გზით პოლიტიკური პლატფორმის განსაზღვრის აუცილებლობას.

პიპების ყურადღების ცენტრშია პიროვნების პრობლემა და რომანტიზაცია „მარტივი ცხოვრებისა“, რასაც ისინი უპირისპირებენ „ტექნიკითა და ხელოვნური მოთხოვნილებებით“ დატვირთულ ცხოვრებას. ისინი აძაგებენ „კორუპციაში ჩამპალ საზოგადოებას“. მათი დევიზია: „გამოერთე, ჩაერთე, გაითქვიფე“ და ნარკოტიკების საშუალებით ცდილობენ განერიდონ საზოგადოებაში მიმდინარე კლასობრივ ბრძოლას, სილარიბეს, ტანჯვას, ნამდვილად კი ურიგდებიან (ითმენენ) არსებულ მანკიერებათ. მართალია, ისინი კიცხავენ ოფიციალურ რელიგიას, მაგრამ სინამდვილეში ცხოვრების მიერ წამებულთა და დათრგუნვილთა-თვის თავიანთ სავანეში დავანების შეპირებით კისრულობენ შესარულონ ეკლესიის ტრადიციული ფუნქციები.

პირიქით ა. მ. (SDS) დეკლარაციაში (1968) ვკითხულობთ: „ადამიანი ჩვენ წარმოგვიღება, როგორც სამყაროს უმაღლესი ფასეულობა, როგორც არსება, რომელიც ფლობს არარეალიზებულ შესაძლებლობებს გონისა, თავისუფლებისა და სიყვარულისათვის. ჩვენ გამოვდივართ წინააღმდეგ დეპერსონალიზაციისა, რომელსაც ადამიანი დაჰყავს ნივთების დონეზე“.

ეს, ეტყობა, მარკუზესა და ეგზისტენციალისტებისაგან ათვისებული იდეებია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება ესაა „ჩამობილი მოთმინების“ საზოგადოება, რამდენადაც აქ ახალგაზრდა ინტელიგენცია განწირულია იყოს მორჩილი ამსრულებელი კორპორაციული და სახელმწიფოებრივი მანქანისა. ეს ინტელიგენცია განსაკუთრებით მტკიცნეულად განიცდის თავისი პროფესიის სოციალური მნიშვნელობის დევალვაციას.

ა. მ. აცხადებს: „ჩვენ მივღივართ კოლეგში და კოლეგი ეწევა ჩვენს გადამუშავებას იმგვარად, რომ ჩვენ გავხდეთ მანქანის ნაწილი და დავიკავოთ ადგილი რომელილაც უმიზნო ინსტიტუტში. ჩვენს უმრავლესობას სწორედ ასეთი როლი აქვს განკუთვნილი მთავრობის, კორპორაციისა და ბიუროკრატიულ ორგანიზაციებში, სადაც ჩვენ უნდა ვასრულებდეთ რაღაც მოსაწყენ სამუშაოს, რომელსაც, როგორც ჩვენ ვგრძნობთ, არ გააჩნია არავითარი შინაგანი ფასეულობა“ („США“, 1971, № 9).—

ასეთია შედეგი შრომისა და განათლების ღეპურანიზაციისა ბურუს-ზიულ საზოგადოებაში.

როგორც ერთი სწავლული ეკონომისტი შენიშვნავს, ა. მ. საქმიან კარგად იციან რა არ უნდათ, მაგრამ მთელი მათი ტრაგედია ისაა, რომ არ იციან რა უნდათ.

აშშ სტუდენტთა დემონსტრაციებისა და გაფიცვების აუცილებელ ატრიბუტად გადაიქცა „მონაწილეობის დემოკრატიულობის“ (participatory democracy) მოთხოვნა, რათა ახლანდელი ამერიკული დემოკრატია შეიცვალოს უშუალო, მომუშავე. საყოველთაო, ე. ი. ნამდვილ დემოკრატია, რათა დაფინანსებისა და სხვა უმნიშვნელოვანებს საქმეთა შესახებ ყველა გადაწყვეტილება ხორციელდებოდეს უბრალო ადამიანთა მიერ და უბრალო ადამიანთა სახელით (1966).

„ისტებლიუშენტისა“ და მისი მანკიერებათა დამხობის შემდეგ ა. მ. აზრით წარმოიქმნება „თავისუფალი საზოგადოება“ კომუნობის ახალი ტიპით, ოჯახის ახალი ფორმით, სექსუალური ცხოვრების ახალი მოჩალით, ახალი საზოგადოებრივი ყოფიერებით, ახალი ესთეტიკური ფორმებით.

ამისათვის კი აუცილებელია საზოგადოების დეცენტრალიზაცია, მისი დაყოფა თემებად, სადაც მოქალაქეები რეალურად მონაწილეობენ სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და სხვა საკითხთა გადაჭრაში. ამ „მომავალ საზოგადოებაში“ გამეფლება „ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობა, მოისპობა ექსპლოატაცია და უმცირესობის ეკონომიკური ინტერესები ვერ იბატონებენ და ვერ გამოიყენებენ ეკონომიკურ რესურსებს თავიანთი ეგოისტური მიზნებისათვის“.

1970 წ. 13 ივნისს აშშ პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა შექმნა სპეციალური კომისია იმავე წლის მაისში მომხდარ სტუდენტთა და ახალგაზრდობის მღელვარებისა და დემონსტრაციების მიზეზთა შესწავლის მიზნით. კომისიის მეთაურად დაინიშნა უილიამ სკრენტონი. ამ კომისიამ თავი მოუყარა დიდალ მასალას, ახალგაზრდობის პრობლემებზე დაწერილ ნაშრომებს, გამოყითხა და მოუსმინა ასეულობით სტუდენტსა და ლექტორს, მასწავლებელს, უნივერსიტეტების პრეზიდენტებს, კონგრესის წევრებს, სამხედრო მოხელეებს, პოლიციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

როგორც გამოიჩვა, მღელვარება მოედო აშშ 410 უმაღლეს სასწავლებელს. ამასთანავე 227 კოლეჯი დაიხურა. სკრენტონის კომისიის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ეს იყო უმაგალითო კრიზისი, რომელიც თვით ცესვებით ლრმადაა შექმნილი თვით ამერიკული საზოგადოების ბუნებაში. კომისიამ დაგმო ამ წვავე პრობლემათა გადაჭრისათვის ძალდატანებითი ბრძოლის მეთოდები.

„სტუდენტები, რომლებიც იყენებენ ბომბებს და აჩენენ ხანძრებს,

ბოროტმოქმედი არიან. პოლიციელები და ნაციონალური გვარდიის ჯა-  
რისკაცები, რომლებიც საჭიროების გარეშე ესვრიან სტუდენტებს და  
კლავენ მათ, აგრეთვე ბოროტმოქმედი არიან. ყველა, ვინც მხარს  
უჭერს ამ ბოროტმოქმედებას, მათთან ერთად სჩადის დანაშაულს. ამის  
წინააღმდეგ ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ საერთონაციონალური ბრძოლა".

კომისია აქცევნებს გამოძიებათა ფედერალური ბიუროს დირექტო-  
რის ე. ჰუ ვერის ცნობას, რომ 1968/69 სასწავლო წელს დაპატიმ-  
რებული იყო 4 ათასი სტუდენტი; ხოლო 1969/70 წ. — 7,2 ათასი. სტუ-  
დენტთა გამოსვლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო რასობ-  
რივი პრობლემა. მრავალი მათგანი მოითხოვს სოციალურ სამართლია-  
ნობას, ზანგთა და სხვა ნაცუმცირესობათა ლიტების პატივისცემას.  
„შავი, ყვითელი და თეთრი სტუდენტების ეს მოთხოვნა დღეს მრისხა-  
ნეა", — ნათქვამია მოხსენებაში.

სკრენტონის კომისია საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ახალ-  
გაზრდობის „გაუცხოურებას" მივყავართ თაობათა შორის განხეთქილე-  
ბისაკენ და „თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება და კრიზისი გაიზრდება,  
მაშინ შეიძლება წარმოიშვას თვით ნაციის არსებობის საშიშროება".

ამერიკელ სოციოლოგს პროფ. კ. კენისტონს მიაჩნია, რომ ა. მ.  
მიუხედავად ზოგიერთი მათი შეხედულების არაპრაქტიკულობისა, ზოგ-  
ჯერ ისინი გამოიყურებიან როგორც „ერთადერთი საღად მოაზროვნე  
ადამიანები საზოგადოებაში, რომელიც თავის მასაში კიდევ უერ ამჩნევს  
ლრმად ფესვებგამდგარი განხეთქილების არსებობას, როგორც პირად  
(მორალურ პრინციპებსა და პრაქტიკას შორის), ასევე სახელმწიფოებ-  
რივ (ნაციონალურ იდეალებსა და პოლიტიკას შორის) ასპექტში". მათ  
ეყოფათ ის დამსახურება, რომ წამოაყენეს „ჩვენი დროის ცენტრალუ-  
რი პრობლემები და ეს პრობლემები ჩამოაყალიბეს უფრო გაბედულად  
და მკაფიოდ, ვინემ ჩვენს შორის უმრავლესობაში"!

თვით SDS-ს მიერ 1969 წ. გამოქვეყნებულ ბროშურაში ნათქვამია:  
„წავიდა ის დრო, როდესაც მჩაგრელებს ჰქონდათ ძალატანების მო-  
ნოპოლია. კარგა ხანი დასჭირდა, რომ მოძრაობა ამ დასკვნამდე მისუ-  
ლიყო. ჩვენ დიდხანს ვეწერდით დებატებს, მაშინ როდესაც ჩვენი საზო-  
გადოების რესპექტაბელური წევრები განაგრძობდნენ თვითნებობას. ამ  
დრომ გაიარა"<sup>2</sup>.

მემარცხენე ახალგაზრდობის ზოგიერთ ექსტრემისტულ ჯგუფში  
„რევოლუციური შემართება" გადაიზარდა ანარქიზმსა და ტერორიზმში.  
ასეთია, მაგალითად, უეზერმენების მცირერიცხვანი, მაგრამ ფრიად  
აქტიური ჯგუფი, რაც SDS-ს გამოეთიშა. მათი აზრით ბომბი და დინა-  
მიტი, ძალატანება უებარი საშუალებაა ინერტული საზოგადოების

<sup>1</sup> K. Keniston, Young Radicals, 1968, p. 239, 290.

<sup>2</sup> Investigation of SDS..., 1969, Washington, p. 204.

გამოსაფხიზლებლად (აღსანიშნავია, რომ 1970 წ. უეზერმენებმა ბოძენი ბი შეკარეს რიგ უმსხვილეს კორპორაციათა შენობაში). უნდა აღინიშნოს, ნოს ისიც, რომ SDS-ში იმთავითვე, 1967 წ., სტუდენტთა გაფიცვების დროს, იჩინა თავი ანარქიზმის ელემენტებმა, რაც ჩანდა, მაგალითად, ლოზუნგში „მოქმედება და არა ფიქრები“.

პიპები და უეზერმენები გარეგნულად დიდად განსხვავდებიან, თუმცა ორივეს ახასიათებს ანარქისტული მოუწესრიგებლობა და ალტერნატიული ამასთან ეს ანარქიზმი აშშ იმავდროულად არის თავისებური ტექნიკურ რევოლუციურ მოძრაობაში კონფორმიზმის, პასიურობის, ოპორტუნიზმის მიმართ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნეოფრეიდისტები სტუდენტთა მოძრაობაში ხედავენ „ოიდიპოსის კომპლექსის“ გამოხატულებას, ე. ი. შეკლების მხრივ მამებისა და მათი მრწამსისადმი სიძულვილს და დაუხარჯავი ემოციური ენერგიის გამოვლინებას.

პროფ. ს. ლიპსეტს (S. Lipset) ახალი თაობის უკმაყოფილების ძირითად წყაროდ მიაჩინა ოჯახის მსუბუქი ატმოსფეროს, მის ლიბერალურ ფასეულობათა და საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნ წესებში შორის კოლიზია! ხოლო კენისტონის რწმენით სტუდენტთა არეულობების საფუძველია არა განვითარებული ქვეყნების ნაკლოვანებანი, არა მედის, რომ მათმა წარმატებებმა რიგ სფეროში ყველა მოლოდინი გადააჭარბეს.

ახალგაზრდობის მოძრაობათა მიზეზების ბურჟუაზიული სოციოლოგების ეს შეფასება, როგორც ჩანს, სინამდვილის მეცნიერული ახსნისა გან დიდად დაშორებულია.

საქმე ისაა, რომ დღევანდელ დასავლეთის ქვეყნებში უნივერსიტეტები, რომელთაც ოდესალაც თავი მოპქონდათ თავიანთი აკადემიური თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით, სულ უფრო იქცევიან დიდი ბიზნესის ტიპურ ორგანიზაციებად, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან მონოპოლიებს და ბურჟუაზიულ სახელმწიფო პარატს, მათ სახელმროვლო მიზნებს.

სამი-ოთხი ათეული წლის წინათ აშშ-ში ის აზრი სუფევდა, რომ სტუდენტები არიან მომავალი კაპიტალისტები, ანდა მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა და სახელმწიფო პარატის ფუნქციონერები. დღეს გარემოება არსებითად შეცვლილია. სხვანაირია სტუდენტთა კლასობრივი შედგენილობაც: მათი 30 % მუშათა ოჯახებიდანაა. ამასთანავე მათი რაოდენობა ისე გამრავლდა, რომ მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს შეუძლია იქონიოს ბიზნესის სათავეში მოქცევის იმედი. სტუდენტთა სოციალური მდგომარეობა სულ უფრო უახლოვდება დაქირავებული მუშა-

<sup>1</sup> S. Lipset, American Student Activism in Comparative Perspective, 1969, Washington.

სას, ვინემ მენეჯერისა და შიო უფრო კაპიტალისტის სტატუსს. ბურუუა-ზიულ პროპაგანდას არ ძალუდს „ადამიანი მასალა“, „ადამიანი კაპიტალი“ გადაქციოს გაბატონებული ელიტის მორჩილ მანქანად.

აშშ-ის კომპარტიის ახალ პროგრამაში (1970 წ.) ნათქვამია: „ახალ-გაზრდობა აცხადებს თავისი ცხოვრების ძალას, თაოსნობას, გამბედა-ობას და მაღალი იდეალების ერთგულებას... ის, რასაც კაპიტალისტური საზოგადოება არ აძლევს ახალგაზრდობას, შეიძლება მოპოვებულ იქ-ნას მხოლოდ მუშათა კლასთან კავშირით მონოპოლიების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში“!

ბურუუაზიული იდეოლოგიის კირისუფალნი თავები მოდებით იბრძებიან ახალგაზრდობის რაც შეიძლება დიდი მასების მიმხრობისათვის, ე. ი. — რათა ჩამოაცილონ ისინი მათვების ესოდენ მიმზიდველი მარქ-სისტულ-ლენინური იდეებისაკენ მისწრაფებას. ამ მიზნით გამოიცემა აუარებელი წიგნი, უურნალი, გაზეთი, ეწყობა სატელევიზიო გადაცემები, გამოიყენება რადიო, კინო და, საერთოდ, კომუნიკაციის ყოველგვარი საშუალება, მუშაობენ სამეცნიერო ცენტრები, ინსტიტუტები, ცნობილი მეცნიერები.

ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობს, რომ მათი დებულებების პაიპარა განხილვა და განქიქება ანდა თვით ამ აზრების არასრული და არაზუსტი გადმოცემა და მერმე მათი კრიტიკის გაადვილება ვითომ მომვებიანი იყოს იდეოლოგიურ ბრძოლაში, რაც დღეს გაჩაღებულია მსოფლიოში ახალგაზრდობისათვის. ასეთი გავება და მიღობა მით უფრო გაუმართლებელია, რომ ზოგიერთ მეცნიერს ახალგაზრდობა წარმოდგენილი ჰყავს, როგორც პასიური კვარცხლბეკი, მაშინ როდესაც ამ ბრძოლაში ის თვითონ ღებულობს უაღრესად აქტიურ მონაწილეობას არა მხოლოდ როგორც მექანიკური, არამედ როგორც შემოქმედი ძალა...

ბურუუაზიულ სოციოლოგთა ერთ ნაწილს ტყუილად მიაჩნია, რომ ახალგაზრდობას თანამედროვე საზოგადოებაში არა აქვს თავისი მტკიცე ადგილი, გარკვეული როლი და მათში მხოლოდ სტუდენტობა წარმოადგენს ყველაზე რევოლუციურ და თანაც ყველაზე განათლებულ და დაჩაგრულ კლასს, რომელთანაც, და საერთოდ რევოლუციურ მოძრაობას-თან, ვითომ არავითარი კავშირი არა აქვს მუშა-ახალგაზრდობას<sup>2</sup>.

ცხადია, მცდარია პ. დიტცის „შეხედულებაც, რომ დღევანდელმა ახალგაზრდობამ (ძირითადად მხედველობაშია დას. გერმანელი ახალგაზრდობა) გული აიცრუა „უტოპიურ და იდეოლოგიურ შეხედულებებზე“ და თავისთვის ეძებს (აკეთებს) „იდეოლოგიისაგან თავისუფალ ნეიტრალურ ზონას, პოსტიდეოლოგიურ ვაკუუმს“ და უნდობლობით

<sup>1</sup> «США», 1974, № 1, стр. 83.

<sup>2</sup> об. Дж. Уолдис, Новые теории революции, 1975, М., Э. Баталов, Философия бунта, 1978, М.

შორდება, როგორც „მემარცხენეთა კალმხრივობას“, ისე „წითელ პროგრამაში“.

ზოგიერთი მარქსისტი სოციოლოგი ფიქრობს, რომ ძველ და ახალ თაობას, მამებსა და შვილებს შორის კონფლიქტს, წინააღმდეგობას აღ. გილი (საფუძველი) არა აქვს სოციალისტურ საზოგადოებაში. უკანასკნელ ხანებში მრავალი ბურუჟაზიული სოციოლოგი ამტკიცებს, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაქრა კონფლიქტი თაობათა შორის, რამდენადაც ეს იყო წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალის შორის, რომლებიც ამჟამად შეთანაწყობილად (რომ არა ვთქვათ შეს. მატებილებულად) არსებობენ. მაგალითად, დას. გერმანიაში მამებსა და შვილებს შორის, ერთგვარ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ვთომ ოჯახში წინააღმდეგობა, კონფლიქტი აღარაა და პარმონიულობა, სუფევს. გერმანელი დედები განსაკუთრებულ შემწყნარებლობას იჩენენ თავიანთი შვილებისადმი, ხოლო ოჯახში დედის გავლენა უფრო მეტია, ვინემ მამისათ და სხვ<sup>1</sup>.

დიდი დავაა — მაინც რა უნდა იყოს თაობათა (მამათა და შვილთა) შორის კონფლიქტის საფუძველი?

— გამომდინარეობს იგი ახალგაზრდობის განსაკუთრებულობიდან და, ამგვარად, ბიოფსიქიური ხასიათის ფენომენია, თუ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მოვლენებთან ერთად აქ დიდ როლს ასრულებს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

და, მაშასადამე, იმთავითვე მოსდგამს ადამიანთა საზოგადოებას თაობათა შორის კონფლიქტი, თუ ეს მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელი მოვლენაა?

ე. ფრიდენბურგი (E. Friedenburgh) და სხვები ფიქრობენ, რომ იგი მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების სენია, ხოლო ფ. ჰეერი (F. Heer) ამტკიცებს, რომ „კაცობრიობის მთელი ისტორია ესაა ბრძოლა თაობათა შორის“, თანაც ასეა ყველა ქვეყანაში, მისი სოციალური და პოლიტიკური წყობილების მიუხედავად. ამ შეხედულებასაც საქმოდ ბეჭრი მომხრე ჰყავს. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ქადაგებენ, რომ თაობათა შორის ბრძოლა ფიქტიურია, ილუზია, და რომ მამებსა და შვილებს შორის კონფლიქტზე ბევრად უფრო მწვავე ხასიათს ატარებს ბრძოლა თვით ახალგაზრდობას შიგნით, ახალგაზრდობას შორის<sup>2</sup>.

რამდენადმე განსხვავებულ შეხედულებას ავითარებს დ. ბელისა და სხვა ბურუჟაზიულ სოციოლოგთა ერთი ჯგუფი. ესენი არიან ე. წ. ახალგაზრდული „კონტრკულტურის“ თეორიის მიმღევრები. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩ. რეიჩი (Ch. Reich) ამტკიცებს, რომ ახალი შეგნება

<sup>1</sup> ი. ი. კოკ, Студенческие волнения и теория «конфликта поколений», 1977.

<sup>2</sup> Социологические исследования, 1977, № 3.

შეიძლება წარმოიშვას და ჩამოყალიბდეს მხოლოდ ახალ თაობაში, გხოლოდ ახალგაზრდობას, მისი გულშრფელობის, პიროვნებაზე ძალის განცხადის უოველგვარი ფორმის უარყოფისა და უკუგდების მეონებით, შეუძლია იყოს ისეთი სოციალური ფენა, რომელიც მთლიანად გადაახალისებს მთელი საზოგადოების ცნობიერებასო და სხვ.

ახალგაზრდობის სოციალური მნიშვნელობისა და პოლიტიკური როლის პრობლემა სულ უფრო მეტად ხდება მეცნიერების, საზოგადოებრიობის, სახელმწიფოებრივი მმართველობისა და სხვა დაკვირვებისა და მსჯელობის საგანი. 1971 წელს სოციოლოგთა VI სეირთაშორისო კონგრესზე (ვარნაში) ახალგაზრდობის, როგორც სოციალური ცვლილებების ფაქტორის საკითხი სპეციალური განხილვის საგანი იყო. სკკ XV ყრილობაზე (1976 წ.) ხაზგასმით აღინიშნა ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა ანტიმპერიალისტურ მოძრაობაში. ახალგაზრდობის საკითხს გეროვანი ყურადღება მიაქცია ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის (1976 წ.) კონფერენციამ.

საერთოდ ახალგაზრდობის მდგომარეობა შესამჩნევად შეიცვალა 1970-იანი წლების მეორე ნახევარში. ამერიკელი სოციოლოგები და პოლიტოლოგები ამტკიცებენ, რომ 60-იანი წლების მოვანეუნი „მოთვინიერდნენ“, უფრო ნაკლებად რადიკალურნი გახდნენ და მათ, ადრე თუ გვიან, „ისტებლიშმენტში მოიკალათეს“. ასე რომ უზრ. „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ (1978. მარტი) სარედაქციო მიმოხილვის მიხედვით, „ხმაურიანი ეპოქის შემდეგ, ამერიკა 20—30 წლის ასაკის ამერიკელები ძირითადად ამერიკული ცხოვრების კალაპოტში თავსდებიან“ და დემოკრატიული მოძრაობის ბევრი აქტივისტი რელიგიური სექტების საქმიანობასა თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაშია გართული.

სინამდვილეში მდგომარეობა მაინც სხვანაირია. 1970-იანი წლების მიწურულში ამერიკელი ახალგაზრდობა, „მიწითული ახალგაზრდობა“, აქტიურად მონაწილეობს მასობრივ მოძრაობაში — სამხედრო ხარჯების შემცირების, ნეიტრონული ბომბის აქტალივის, პროფიუროკრატიის ალაგმეისათვის და სხვ. ჩნდება ახალი მემარცხენე, პროგრესული ორგანიზაციები, მაგალითად, ისეთები, როგორიცაა „რადიკალ-პოლიტეკონომისტთა კავშირი“, „მარქსისტ-სოციოლოგთა კავშირი“ და სხვები, რომლებიც, ასე თუ ისე, ეწევიან თანამედროვე ამერიკული მონოპოლისტური კაპიტალიზმის კრიტიკას, თუმცა მათი კონცეპციები უფრო ხშირად არ სცილდებიან წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმის ფარგლებს!

<sup>1</sup> Массовые движения социального протеста в США в 70-е годы, 1978, М.; «США», 1979, № 5, стр. 104—106.



საბჭოთა და პოლონელ სოციოლოგთა შედარებითმა გამოკვლეულის ცხადყო, რომ საწარმოებში კადრების დენადობის ძირითადი მიზეზია 1. შრომის შინაარსით დაუკმაყოფილებლობა, ე. ი. ამა თუ იმ მუშა, შეუსაბამო პროფესიით (სპეციალობით) დასაქმება, ის გარემოება, რომ მოცემული სამუშაო მუშაკს არ იზიდავს, არ ახალისებს და 2. სამუშაო დროის სტრუქტურა ახალგაზრდა მუშებისათვის, მით უფრო მეტი ზომით, რაც მათ უფრო მეტი განათლება და, მაშასადამე, მოთხოვნილება აქვთ.

საქმე ისაა, რომ ამჟამად საშუალო სკოლა ახალგაზრდობას ორიენტაციას აძლევს უპირატესად გონიერივი შრომის პროფესიებზე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც 1967—1969 წწ. ჩეკის მიერ საქართველოს სსრ საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსახლეობა ანკეტურმა გამოკითხვამ უჩვენა, მოწაფეთა დიდი უმრავლესობა, სახელმობრ 81 პროცენტი, აპირებს განაგრძოს სწავლა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ე. ი. აირჩიოს გონიერივი შრომის პროფესიები<sup>1</sup>.

ამავე დროს უკვე 1974 წ. ჩეკინი რესპუბლიკის მთელი დასაქმებული მოსახლეობის საერთო რაოდენობის 74,4 % მუშაობდა მატერიალური წარმოების დარგებში, ხოლო არამატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგში — 25,6 %; იგივე მაჩვენებლები 1970 წელს, შესაბამისად, უღრიდა 75,7 და 23,8 %, ე. ი. ჩეკინს საზოგადოებაში მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულთა ხვედრითი წონა, მართალია, შესაჩეკვად მცირდება, მაგრამ, ზოგიერთ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანასთან შედარებით ჯერჯერობით მაინც მაღალია.

ასეთ პირობებში ზემოთ მოყვანილი მონაცემები საესპერიტო გარეუვით მოწმობს იმას, რომ თუ უკვე ჩემოყალიბებული ტენდენცია და, მაშასადამე, ახალი კადრების მომზადების სტრუქტურა არსებითად არ შეიცვალა თვით სახალხო მეურნეობაში, საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის დარგობრივი სტრუქტურის შესაბამისად, კიდევ უფრო გამრავლდება განათლების არაშესაბამისი სპეციალობის მიხედვით დასაქმებულთა და, მაშასადამე, თავისი საქმიანობით უკმაყოფილოთა რაოდენობა და, ცხადია, არ შემცირდება, ანდა ნაკლებად შემცირდება მუშახელის დენადობა.

ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციაში დიდ როლს ასრულებს ოჯახის სოციალური მდგომარეობა. მაინც ფიზიკური შრომის, კერძოდ, სოფლისმეურნეობრივი შრომის მასობრივი პროფესიები შედარებით ნაკლებად იზიდავს თვით სოფლის ახალგაზრდობას. სწორედ ამიტომაა,

<sup>1</sup> 3. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, ტ. II, გვ. 404—462.

რომ სოფლისმეურნეობრივი წარმოების მექანიზაციას, სასოფლო გზებისა და, საერთოდ, სოფლად შრომისა და ცხოვრების სხვა პირობათა გაუმჯობესების დღეს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. სოფლის ყმაწვილყაცობის არმიაში გაწვევა, ქალაქებში და სხვა რაიონებში მშენებლობაზე წასვლა, როგორც წესი, იწვევს იმას, რომ გოგონებიც მიღიან სოფლიდან და არა იმდენად თავიანთი ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესების, არამედ „პირადი ცხოვრების“ მოვარების მიზნით.

მაგრამ შრომისადმი დამოკიდებულებაში დიდ როლს ასრულებს და, გაშასადამე, დიდი გავლენა აქვს მასთან დაკავშირებულ ფასეულობრივ ორიენტაციას, — მისწრაფებას ახალგაზრდა მუშისა იმუშაოს, რათა მიიღოს უმაღლესი განათლება. საბჭოთა სოციოლოგების კ. იადოვისა და ა. ზდრავომისლოვის გამოკლევებმა უჩვენეს, რომ განათლებაზე ორიენტირებული მუშა, როგორც წესი, კარგი მეწარმოებეა, მაღალ შეფასებას აძლევს საზოგადოებრივ შრომას, თუმცა შედარებით ნაკლებადაა თავისი შრომით ქმაყოფილი. ანალოგიურ როლს ასრულებს მუშის ფასეულობრივი ორიენტაცია — იმუშაოს თავისი ოჯახის კეთილდღეობისათვის, წარმოების რაციონალიზაციის ინტერესებისათვის და სხვ.

რასაკირველია, „შრომის მიმზიდველობა“, როგორც ტერმინი, ასე ვთქვათ, მრავალგანზომილებიანია. აქ გასათვალისწინებელია, პროფესიის საზოგადოებრივი პრესტიჟი, შრომის სიფაქიზე, სიმსუბუქე, შემოქმედებითი ხასიათი, ხელფასის დონე, სპეციალობის შესწავლის სიადვილე, თვით შრომითი გამოცდილება, ტრადიცია და ა. შ., ასე რომ აქ მნიშვნელოვანია როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორები. სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ადამიანისათვის ძირითადი ორიენტირი სხვადასხვაგვარი მოტივი შეიძლება იყოს, როგორც მისი ინფორმირებულობის, საზოგადოებრივი გარემოცვის, ასევე პირადი გამოცდილების შესაბამისად. მოსწავლის პროფესიული ორიენტაცია, ყოველივე ამის მიხედვით, პირველ ხანებში შეიძლება ადვილად იცვლებოდეს.

ამავე დროს პროფესიის შეჩრჩევას საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ცხოვრებაში მრავალი სოციალური ასპექტის თვალსაზრისით. არასწორი და საერთოდ შეუსაბამო ორიენტაცია შეიძლება გახდეს მიზეზი ანტისოციალური მოვლენების (როგორიცაა ნარკომანია, ლოთობა, სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედება), მუშახელის დენადობისა და მიგრაციის გაძლიერების, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის შემცირებისა და ყოველივე ამათგან გამომდინარე რიგი ნეგატიური შედეგებისა.

ახლა თუ ვიკითხავთ: როგორი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდობის და, საერთოდ, მუშაკთა პროფესიული მომზადება?

უკანასკნელი ათეული წლების გამოცდილება უჩვენებს და „შესახური“. მისი სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ პროფესიულური მომსახურების მიერიცაც ამიერიდან სულ უფრო უნდა ემყარებოდეს არა კიშროსპერსური, არამედ ფართო ზოგადი განათლების საფუძვლის, რიგი მო. მიკნავე პროფესიების ზოგად საწყისთა ცოდნას. დღევანდელი ინგლისური ტრადიციით პროფესიული მომზადება უკვე გულისხმობს მონათესავე სპეციალობათა შესწავლას. საფრანგეთში, რამდენიმე წელი წინა ტექნიკური ნორმირების ინსტიტუტმა სპეციალურ საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილა მრეწველობის მუშათა შრომითი ფუნქციების გაფართოების საკითხები. ამ კონფერენციაში მონაწილე აშშ, ინგლისი, გფრ, იტალიის, პოლანდიის და სხვა წარმომადგენლებმა — ინჟინერებმა, ეკონომისტებმა, მეწარმეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას; ოლნდა საქმე ისაა, რომ პრობლემას ისინი იხილავდნენ შეზღუდული, კერძომეტარმეობრივი სარფიანობის თვალსაზრისით.

საერთოდ, ბურუუაზიული მეცნიერები და თეით საზოგადოება, ცხადია, ვერ გადაჭრიან ამ საკითხს. საქმარისია აღინიშნოს, რომ გამოჩენილი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჯორჯ ტომსონი თავის თხზულებაში „გასათვალისწინებელი მომავალი“ აღმიანებს ყოფს სამ ჯგუფად: 1. უნარიან, ნიჭიერ აღამიანებად, რაც სჭირდება ნაციას, 2. შეზღუდული ინტელექტუალური უნარისა და 3. -უმუდო უჭიროთა“, ბრიყვთა (სულელთა) ჯგუფებად. თანაც იგი შეწუხებულია იმის გამო, რომ ნიჭიერთა ხვედრი წონა მცირდება... რის გამოც ის ფიქრობს, ცხოვრება ისე უნდა ეწყოს, რათა კვალიფიციური მუშაბიური მეტ ბავშვებს აჩენდნენ, ვინემ უკვალიფიკაციონი, და წუხს, რომ სინამდვილეში პირიქით ხდება. ეს, ცხადია, ბურუუაზიული, იდეალისტური, ანტიმეცნიერული შეხედულებაა.

დასავლეთ ბერლინში მაქს პლანკის „განათლების ინსტიტუტში“ სამიოდე წლის წინათ ჩატარდა გამოკვლევა თემაზე: „მომავალში ევროპული განათლების შესაძლებელი ვარიანტები“. ესაა მხოლოდ ნაწილი დიდი სამუშაოსი, რასაც ეწოდება „ევროპა 2000 წელს“ და რასაც აფინანსებს „დას. ევროპის კულტურული ფონდი“. ამ პროექტით 2000 წლისათვის დაწყებითი და საშუალო განათლებას შორის საზღვარი აოზიდდება. საშუალო სკოლა მიიღებს „ერთიანი“ სასწავლებლის ხასიათს და სავალდებულო სასკოლო განათლებას მთელი ახალგაზრდობა გაიკლის 17—18 წლის ასაკამდე. მრეწველობა არ დაზიანებს სახსრებს განათლების გავრცელებაზე. ყველაზე უფრო სარფიანი და მიმზიდველი იქნება საუნივერსიტეტო განათლება. განათლება ხელს შეუწყობს აღამიანთა ბუნებრივი ნიჭიერების გამოვლინებას და განვითარებას ეკონომიკის მოთხოვნილებათა შესაბამისად. გაბატონებულ აღვილს დაპერს ბუნებათმცოდნეობა და ტექნიკა, რასაც განაპირობებს მომსახური.

რების განაწილებისა და მრეწველობის განვითარების ხასიათი. ტექნიკურ დისციპლინათა მასშავლებლების პრესტიჯი სხვებისაზე უფრო მაღლდება.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღლი ტემპები გამოიწვევს იმას, რომ ინდივიდის აქტიური შრომითი ცხოვრების მანძილზე არასაკმარისი გახდება სწავლის ერთი პერიოდი. საქმე ისე წავა, რომ ადამიანი, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს მუშავი, მთელი პროფესიული მოღვაწეობის განმავლობაში დროდადრო, „წარმოებისაგან მოუწყვეტლად“, კვლავ და კვლავ უნდა ჩაერთოს სწავლის პროცესში, რამდენადაც შრომითი საქმიანობის პერიოდში მეცნიერების ახალ მიღწევებთან მისი „კონტაქტები“ არასაკმარისი იქნება, რათა მხარი უბას ტექნოლოგიური განვითარების შეუნელებელ პროცესს. ეს პროცესი, იმასთანავე სულ უფრო ფართო მასშტაბით მოითხოვს ახალ-ახალ პროფესიულ ჩვევათა ათვისებას. პროფესიების ხშირი ცვლა (შრომის გამოცელა), ჩვეულებრივი მოვლენა გახდება ცალკე ინდივიდის ცხოვრებაში. ბოლოს თვით სახელმწიფოებრივი აპარატი ისეთ საგადასახალო პოლიტიკას გაატარებს, რომ რეალურად წააქეზებს პროფესიების გამოცელას, სტიმულს მისცემს, რათა ადამიანმა მიიღოს კიდევ ახალი, განათლება, კიდევ სხვა პროფესია. ეს უცილებელი იქნება როგორც მუშის, ასევე მოსამსახურისა და, საერთოდ, თვით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის, რამდენადაც განათლების უმთავრესი ამოცანა იქნება, რათა ადამიანი მოამზადოს წარმოებრივი მოღვაწეობისათვის. ხოლო თვით განათლება წარმოგვიდგება, როგორც ადამიანის თანაბარ შესაძლებლობათა ძირითადი უფლება. ამ მხრივ უთანასწორობა მარტონლენ ადამიანთა ინდივიდუალურ უნარიანობასა (შესაძლებლობას) და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური სისტემის ფუნქციურ მოთხოვნებზე იქნება დამოკიდებული!

ასეთია, მოკლედ, გარეგნულად ამ არცთუ იმდენად უტოპიური პროგნოზის არსი. თუმცა იგი საერთოდ უტოპიურია, რამდენადაც მთელ თავის ვარაუდებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა მარადიულობაზე ამყარებს.

საქმე ისაა, რომ განათლების აპარატის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის მიმართულების მიმცემი ფენომენის წარმოდგენას არაფერი აქვს საერთო რეალურ სინამდვილესთან. სკოლას, როგორც განათლების სისტემას, არასოდეს არ შეეძლება „შექმნას ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება“.

ფუტუროლოგიის, საერთოდ, თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის ერთერთი აზრი ისც არის, რათა ჩააქრონ,

<sup>1</sup> Т. Хюсон, Образование в 2000 году, М., 1977.

ანდა რამდენადმე მაინც შეანელონ ახალგაზრდობის ზრდადი ინტერესი ისტორიისადმი, მიაჩუქათონ (მიჩქმალონ) კაპიტალისტურ წარმოებრუ ურთიერთობათა წინააღმდეგობანი და წვრილბურეუაზიული, ნაწილობ. რაც კიდევ პრიმიტიული უტოპიური თვალსაზრისით დახატული იდილიური მომავლის სურათებით აყოლიონ ისინი. ფუტურისტული კონცეფციები უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ ისეთ „მომავლის მოდელებს“, რომლებიც მოწყვეტილი არიან როგორც ისტორიული წარსულისაგან, ასევე რეალური მყობადისაგანც<sup>1</sup>.

მათ ავიწყდებათ ყველაზე მთავარი. ახალგაზრდობა არა მხოლოდ შეჰქოურებს და ელის მომავალს, ის მეტ-ნაკლები ზომით ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს მის მშენებლობაში, რაც მას შესაძლებლობას აძლევს პრაქტიკული ცხოვრების პროცესში ამოწმებდეს ფუტუროლოგთა იდეების ვარგისიანობას. ხოლო რაც შეეხება სკოლას (სასწავლებელს), სადღაც ახალგაზრდობას ამ იდეებს აწვდიან, ის სავსებით განსაკუთრებული, თავიდან ბოლომდე მომავლისაკენ მისწრაფებული სოციალური ინსტიტუტია. სწორედ ამიტომ დიდ ხნით „სკოლის დაპყრიბა“ ბურუუაზიული პოლიტოლოგებისათვის ისევე შეუძლებელია, როგორც თვით „ისტორიის მსვლელობის“, ცხოვრების განვითარების შეჩერება.

1977 წ. ნოემბერს იუნესკომ ვენეციაში მოაწყო ევროპის ახალგაზრდობის ჩეგიონული თათბირი თემაზე: ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა ახალგაზრდობის მიერ განათლების, კულტურისა და სამუშაოს მიღებაზე. თათბირის ძირითადი დასკვნა ის იყო, რომ „ყოველ ახალგაზრდას ისეთივე ხელშეუვალი უფლება აქვს სამართლიანი ხელფასის საზღაურიან შემოქმედებით შრომაზე, როგორც ყველა სხვა ადამიანს“. თათბირზე სიტყვით გამოსულთა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო უმუშევრობა. სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ მათს სამშობლოში კონსტიტუციით რეალურად გარანტირებულია შრომის უფლება და, მაშასადამე, უმუშევრობის პრობლემა არ არსებობს. ამასთანავე აღინიშნა უმუშევრობის სხვა ასპექტებიც: უნარის (ნიჭის), განათლებისა (სპეციალობისა) და მისწრაფების შესაფერისი სამუშაოს შოვნის და თვით უმუშევრობისადმი უფრო ჰუმანური მიღვიმის აუცილებლობის სახით; — რომ შრომა განიხილებოდეს როგორც კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და რომ განათლების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ამ ვითარებას („კურიერ იუნესკო“, 1978, XII, 33).

ახალგაზრდობა, რომელიც ახლა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მეჩებს უზის, საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა დარ-

<sup>1</sup> Торстен Хюсен, Образование в 2000 году, М., 1977.

გში ჩაერთობა, სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საჩინოების დაიკავებს 20—25 წლის შემდეგ, ე. ი. მომავალი 21-ებრივი უკუნის დამდეგს, 2000 წლიდან. სწროვედ ამიტომ ახლანდელი სკოლები ისე უნდა ზრდიდნენ მათ, ისეთ რამეებს ასწავლიდნენ, რაც ცხოველ-გყოფელი და განვითარებადი იქნება იმ დროს, როდესაც ახლანდელი გათი მასწავლებლების უმრავლესობა, საპენსიო ასაკს მიტანებული, მწყობრიდან იქნება გასული.

ამ ახალ მომავალ საზოგადოებაში, სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური კროგრესის ეპოქაში, მეცნიერული ცნობიერებისა და, საერთოდ, ცოდნის მიღების, ე. ი. განუწყვეტელი შეხენის პროცესი სულ უფრო ყოველდღიურ ხასიათს მიიღებს. სწავლების პერიოდი არა თუ მხოლოდ ახალგაზრდობის პერიოდით, ვთქვათ 25 წლის ასაკამდე, გაგრძელდება, არამედ მთელი შრომაუნარიანობის პერიოდს მოიცავს. სწავლა სიკვდილამდეო, რომ იტყვიან, სწორედ ეგრე იქნება.

მაგრამ ერთია სწავლა და მეორე — რა უნდა ისწავლო, ცოდნის რომელი დარგი გახდება ყველაზე უფრო პერსპექტიული, საჭირო და, მაშასადამე, პრესტიუიანი? ეს კი დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორი იქნება ამ მხრივ ახალი საზოგადოება, არამედ იმაზედაც, თუ რა სახისა და შინაარსის იქნება ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზებსა და ფარგლებს, ტემპებსა და ფორმებს.

აშშ ზოგიერთი შტატის მოსწავლე ახალგაზრდობის ანკეტურმა გამოკითხვაშ (1972—1976) უჩვენა, რომ ას ახალგაზრდობის აზრით სკოლას ახლო კავშირი არა აქვს იმ დიდმნიშვნელოვან მოვლენებთან, რაც თანამედროვე მსოფლიოში ხდება, რომ სკოლა მათ უმაღავს რეალური ცხოვრების უკულმართობას. ამიტომაც მათ მიაჩნიათ, რომ ისინი სკოლაში არიან რაღაცნაირი „გადამუშავების ობიექტები“, ხოლო თვით სკოლა კი სხვა არაფერია, თუ არა „პროპაგანდისტული ორგანიზაცია“, სადაც ჩვენს გარდაქმნაზე მუშაობენ, როგორც ფაბრიკაში „ნედლეულის გადამუშავებაზე — ავტომატები“. რაც შეეხება სასკოლო სახელმძღვანელოთა დიდ ნაწილს, ძნელია დაჯერება იმისა, რომ ისინი მოსწავლეებს აწოდებენ ობიექტურ ცოლნას, ხოლო ზოგიერთი იმდენად მოსაწყენია და უგერგილო, რომ მოსწავლეს სწავლის ყოველგვარ ინტერესს უკარგავს. ამასთანავე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის აუხსნელ ამოცანად რჩება, თუ როგორ ხდება, რომ ისინი, ვინც სწავლის, ბეჭითობის, ცოდნის მხრივ სკოლებში არ განიტენილენ, კიდევ მეტი, სხვებზე უფრო ჩამორჩენილები იყვნენ, ცხოვრებაში, განსაკუთრებით პოლიტიკური და აღმინისტრაციული კარიერის მხრივ, ბევრად უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ...

სირაკუზის უნივერსიტეტის გრიფით გამოცემული წიგნის, „სკოლე-

ბი და იდგილობრივი ხელისუფალნი: გახედვა მომავალში” (1969). ტორი ტ. გრინი იმ აზრისაა, რომ სკოლისა და საზოგადოების მხრივ, როგორც ფასეულობათა სისტემის ერთიანობის და, მეორე მხრივ, მათ შორის შეუსაბამობათა და კონფლიქტის შესაძლებლობა იმაზეა და მოყიდებული, თუ როგორ მოქმედებს განათლების პარატი, როგორც „სოციალური სტრატიფიკაციის ინსტრუმენტი”, რაც, ცხადია, ე. წ. ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიით ნასახულოები უტოპიური შეხედულებაა.

აშშ შრომის სამინისტროს შრომის სტატისტიკური ბიურო ორ წელიწადში ერთხელ ბეჭდავს სქელტანიან წიგნს — პროფესიათა ცნობარს (Occupational outlook handbook). ამ გამოცემის მიზანია დაეხმაროს ახალგაზრდობას პროფესიის არჩევაში. პროფესიული ორიენტაცია აქ გულისხმობს ახალგაზრდის ნიჭის, მისწრაფების, ინდივიდუალური მიღრევის შესაბამისი სპეციალობის მონახვებს; ამასთანავე გათვალისწინებულია ის ცვლილებანი, რაც ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებას უნდა განიცადოს მომავალი 10—15 წლის განმავლობაში.

ეს ინფორმაცია შემუშავებულია სახელმწიფო თუ კერძო კომპანიებისა და დაწესებულებათა, პროფესიული მიღრებისა და სასწავლო თუ სხვა ორგანიზაციებიდან მიღებულ ცნობათა საფუძველზე. აქ (1974 წ. ცნობარში) მოცემულია საქმაოდ დეტალური ინფორმაცია სახალხო მეურნეობის 30 დარგის 800 პროფესიაზე: შრომის პირობების, განათლების დონის, მუშახელზე მოთხოვნის პერსპექტივის, ხელფასისა და სხვათა შესახებ. ამასთანავე მინიშნებულია, თუ როგორი იქნება წარმოების, გაცვლის, მომსახურების და სხვა დარგში დასაქმებულობის ტენდენცია, რომ მუშაძალის პროფესიული სტრუქტურა ათი წლის შემდეგ უფრო რთულ და სპეციალიზებულ ხასიათს მიიღებს: 1985 წ. უფრო გაიზრდება (37%) „თეთრსაყელოიანთა“ პროფესიები, შემცირდება „ლურჯსაყელოიანთა“ ზრდის (15%) ტემპი და გაიზრდება მოთხოვნა „ნაცრისფერსაყელოიანთა“ (მომსახურების სფეროს) მუშაკებზე. შემცირდება (ას-სოლუტურადაც) სოფლისმეურნეობრივი წარმოების მუშების რიცხოვნობა.

საერთოდ, მომიჯნავე პროფესიების ათვისება, შრომის გა-მოცვლა კაპიტალისტურ და სოციალისტურ წარმოებაში კარდინალურად განსხვავებული სოციალური პროცესია! ინდუსტრიული განვითარების შესაბამისად სულ მატულობს მაღალეეალიფიციურ მუშაკულებრითი წონა და შეფარდებით კლებულობს დაბალი კვალიფიკაციის მუშათა რიცხვი.

ამჟამად ინდუსტრიულ საწარმოში ავტომატური ხაზის მუშაობისას როდესაც აქ ჩართულია ათეულობით დაზგები, რომლებიც სხვადასხვა

<sup>1</sup> Д. Кайдалов, Закон перемены труда..., 1978, М.

ოპერაციის ასრულებენ, წარმოების პროცესს უნარიანად შეიძლება გაუძლევს მხოლოდ ისეთი მეავტომატე, რომელიც ფლობს რიგ პროფესიას: ხარატის, ამწყობის, მღარავის, გამკრიალებლის, მლესავის, ზეინკლისა და სხვ. ასე რომ, საბოლოოდ, როგორც კ. მარქსი აცხადებს: ურომა სავსებით კარგავს სპეციალობის ხასიათს, ვითარდება ინდივიდის ყოველმხრივი განვითარებისადმი მისწრაფება!

\* \* \*

მას მერმე, რაც ცოლ-ქმარი შეთანხმდა ბავშვის გაჩენაზე, ისინი თვლიან, რომ მეორე დიდმნიშვნელოვანი ფენომენია სკოლის დამთავრების შემდეგ შეიღლისთვის პროფესიის შერჩევა. ესაა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რაც იდამიანის ცხოვრების მრავალ მომენტს განსაზღვრავს.

წინათ, თუნდაც რაღაც ნახევარი საუკუნის ადრეც, ნაკლები სოციალური მობილურობის ვითარებაში (სხვა სოციალურ ჯგუფში გადასვლის სიძნელის მეოხებით) პროფესიის არჩევა ფრიად შეზღუდული და, ამდენადევე, მარტივი იყო.

ამებად, საერთოდ სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ინდუსტრიული რევოლუციისა და განსაკუთრებით ჩვენში, სოციალისტურ საზოგადოებაში, ანტაგონისტური წოდებრივი და კლასობრივი ბარიერების მოსპობის და თვით განათლების მიღების მატერიალური მხარის გაადვილების გამო უაღრესად ფართო გასაქანი აქვს სოციალურ მობილურობას.

\* \* \*

თუ ადრე გლეხის შევლი გლეხი ხდებოდა, ზეინკლისა — ზეინკალი, დურგლისა — დურგალი, მეჩექმისა — მეჩექმე, ვაჭრისა — ვაჭარი, მეთულუხისა — მეთულუხე, ნალბანდისა — ნალბანდი, მეეტლისა — მეეტლე; ექიმისა — ექიმი და ა. შ. ახლა გლეხის შევლი ხდება არა მხოლოდ გლეხი, არამედ — აგრონომი, ტრაქტორისტი, მექანიზატორი, ექიმი, იურისტი, ეკონომისტი, ზეინკალი, მეფოლადე, მონტიორი, მფრინავი, მეზღვაური, ინჟინერი, ქიმიკოსი, გეოგრაფი, გეოლოგი, ბიოლოგი, ფილოსოფოსი და ვინ მოთვლის კიდევ რა.

ანალოგიური პროფესიული მრავალფეროვნება მოელით ხელოსნის, დურგლის, მეჩექმის, ოფიციანტის, ვაჭრის, ხუცესის, მეეტლის, ნალბანდის, ხარაზის, თერძის, მეწულისა და სხვადასხვა ხელობის ადამიანთა შვილებსაც. ამის შესაძლებლობა დღეს არსებითად არაა არაა შეზღუდული კლასობრივი, წოდებრივი, კორპორაციული, კასტური, რელიგიური, ნაციონალური, რასობრივი და სხვა გადაულახავი ბარიერებით.

ამგვარად, სულ უფრო ქრება ე. წ. „სოციალური ინერცია“

<sup>1</sup> К. Маркен Ф. Энгельс, Соч., т. 4, стр. 160.

მშობლის კვალზე დარჩენის არქაული ვითარებისა, თუმცა, ცხვრისაფერი უარყოფილიც არაა. მოსახლეობის, ახლგაზრდობის სულ უფრო ნაკლები პროცენტი მაინც რჩება „თავის სოციალურ წრეში“, ე. ი. მშობლების პროფესიის ირჩევს.

სხვა პროფესიებზე გადასვლას სელს უწყობს არა მხოლოდ სოციალური ბარიერების სულ უფრო გაქრობა, არამედ, ამასთანავე, აუარებელი ახალი პროფესიის გაჩენა, შედეგად შრომის დანაწილების პროცესისა, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე სულ უფრო სწრაფი ხდება.

დაახლოებითი გამოანგარიშებით საშუალოსტატისტიკურ ახალგაზრდას XX ს. მეორე ნახევარში მის პაპასთან (ბაბუასთან) შედარებით პროფესიის (სპეციალობის) შერჩევის 150—250-ჯერ მეტი ვარიანტი გააჩნია და, ამგვარად, მით უფრო აღვილად, თავისუფლად, შეუძლია ახლა განათლებულ და უნარიან ახალგაზრდას „მონახოს თავისა თავის“.

ცხადია, პროფესიის დიფერენციაციის, როგორც წესი, მოსდევს არა მხოლოდ ნაკეთობის გაუმჯობესება, მოთხოვნილებათა ზრდა, გაცემის გაფართოება, არამედ ამასთანავე შრომის მწარმოებლურობისა და, მაშასადამე, დასაქმებულის, საერთოდ შეშავის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლება.

სამაგიეროდ, ახალგაზრდობას (მშობლებთან ერთად) ახლა ბევრიც უფრო მეტი დროისა და, ასე ვთქვათ, ნერვების ხარჯვი უდება პროფესიის შერჩევაზე, ვინემ მის წინაპრებს.

არის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი მომენტიც — ზოგიერთი პროფესიის პრესტიჟი, სპეციალობის ფასეულობითი მხარე იწვევს იმას, რომ მოდიდან, მოწონებიდან, პატივისცემიდან გამოსულ პროფესიებში ძნელდება მუშაյთა მოზიდვა, მობილიზაცია, შონა.

პროფესიული პრესტიჟის ფაქტორი იმასაც იწვევს, რომ საშუალო თუ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ნივთიერად უზრუნველყოფილი ზოგიერთი გოგონა და ჭაბუკი არჩევს დროებით სულაც არ იმუშაოს... უცადოს სასურველ პროფესიაში დასაქმებას.

არსებულ ვითარებაში განათლების პრესტიჟი სულ უფრო იზრდება, განსაკუთრებით სოციალისტურ ქვეყნებში. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტისა და სოციოლოგის ჯონ გელბრეითის (Galbraith) კლასიფიკაციით (1969 წ.), რაც არც თუ ისე დიდადაა სინამდვილეს დაცილებული, ისტორიული განვითარების პროცესში იცვლება წარმოების ფალკე ფაქტორთა როლი.

1. ადრე უპირატესი ადგილი ეჭირა მიწას (მიწა იყო ყველაზე დეფიციტური და ძვირფასი სიმდიდრე და მიწათმფლობელი საზოგადოებაში გაბატონებული).

2. მერმე უპირატესი ადგილი დაიჭირა კაპიტალის (ის განვითარებაზე დეფიციტური) და „პირველი ვოლინოც“ კაპიტალის მისამართის (მოძრავი, ხელიდან ხელში გარდამავალი ქონების მფლობელის) ხელშია.

3. იხლა უპირატესი ადგილი უკავია ცოდნას და ის გახდა ყველაზე დეფიციტური და ყველაზე საჭიროც. იხლა ძალუფლება ნელნელა გადადის სოციაციურმა გარეთანებულ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ხელში, რომლებიც ფლობენ თეორიულ ცოდნას. გამოცდილებას და სხვა ტალანტებს, რაც აუცილებელია თანამედროვე მაღალგანვითარებული და მაღალტექნიკური ეკონომიკის გასაძლოლად.

განათლების, ცოდნის წარმოების, როგორც თანამდედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების უდიდესი ფაქტორის, შესახებ მეტამად შეერს წერენ და ლაპარაკობენ ისეთი ბურჟუაზიული მეცნიერები, როგორებიც არიან, მაგალითად, პროფესიონალი ტეოდორ შულცი, უ. ვანსენი და სხვ.

პოლონელმა სოციოლოგმა ა. სარაპატაშ საგანგებოდ შეისწავლა „პროფესიული დაწინაურების პრობლემა“. აღსანიშნავია, რომ მუშის ასაკის, პროფესიისა და განათლების დონის მიხედვით, თვით დაწინაურება გამოკითხულებს სხვადასხვაგარად ესმით: უფრო მაღალი თანამდებობა, მეტი ხელფისი, უფრო სინკრეტუსო სამუშაო, უფრო მშეიდი, მუდმივი, ადგილი სამუშაო, საზოგადოებისათვის უფრო ეფექტური სამსახური.

ამასთანავე, ა. სარაპატას აზრით, დაწინაურებისაკენ მისწრაფება უმრავლეს შემთხვევაში ნიშნავს მუშაკის მზადყოფნას უფრო მწარმებლური, ნაყოფიერი და საპასუხისმგებლო მუშაობისათვის, — წადილს არა მხოლოდ „მიიღოს“, არამედ „მისცეც“ კიდევაც.

შეშაკთა მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. სურს პროფესიული დაწინაურება, მაგრამ აქვს კია თავის საწარმოში ამის პირობები და იძლევა თუ არა სამუშაო, რომელსაც ის ასრულებს, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას? გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა. მკვლევარის აზრით, დაწინაურების დროს უმთავრესად გასათვალისწინებელია განათლების დონე. მუშაკთა დიდი ნაწილი მაინც აღნიშნავს, რომ განათლების დონეს „მცრავ“ ან „თითქმის არავითარი“ გავლენა არა აქვს პროფესიულ თანამდებობაზე, მაღალი განაკვეთის მიღების საჭმეში. ა. სარაპატა, იხილავს რა დაწინაურების სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებს, ასკვნის, რომ კადრების დენალობა მნიშვნელოვანი ზომით არის იმის შედეგი, რომ მოცემულ საწარმოში მუშაკებს არა აქვთ დაწინაურების შესაძლებლობის იმედი.



ჩვენ ეპოქის, თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების, უნდა-ლი აღამიანის ფორმირებისა და სხვადასხვა თაობათა შორის ურთიერთ-დამოკიდებულების ასპექტში ახლა იქ ერთი საესებით თავისებური და, მაშასადამე, ახალი სოციალური ფენომენი უნდა განვიხილოთ.

სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების განვლილი მრავალსაუკუნოვანი სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივი ყოფიერებისა და აზრის ისტორია იცნობს ორი თაობის, — მამებისა და შვილების თაობის ურთიერთმიმართებათა, მათ შორის მეგობრობის, ბრძოლებისა და დაპირისპირებათა მოვლენებს.

მეოცე საუკუნის შუა წლებიდან, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში გარკვეულად იჩინა თავი ახალმა მოვლენამ, რასაც „დემოგრაფიულ მოხუცებულობას“ უწოდებენ. გაიზარდა 60 წელს გადაცილებულთა (ხანდაზმულთა, ჭარმაგთა) და 80 წელს გადაცილებულთა (დაბერებულთა, მხცივანთა, მრავალწლოვანთა) ხევდრითი წონა. ამეამად ამ ქვეყნებში 60 წელს გადაცილებული შეადგენენ 15%-ზე მეტს და ვარაუდობენ, რომ 2000 წლისათვის 22% მიაღწევენ.

ეკონომიკური და სოციოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მწარმოებლურობამდელი, მწარმოებლური და მწარმოებლურობის შემდგომი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების შეფარდებას. ამეამად ამ ჯგუფთა შორის საზოგადოებრივ უფრო შესამჩნევია, ვიღრე თდესმე. ამასთანავე ინდუსტრიულ ქვეყნებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებულობის დაწყებისა და მიტივების ასაკი სულ მაღლდება.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირში შრომაუნარიანობის ასაკი იურიდიულად იწყება 16 წლიდან, ხოლო თავდება ქალთათვის 55 და ვაჟთათვის — 60 წლის შესრულებით. ნამდვილად კი საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმულთა მუშაობის დაწყების საშუალო ასაკია 19 წელი, ამასთანავე ვაჟთა და ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი კარგა ხანს განაგრძობს მუშაობას საპენსიო ასაკის შემდეგაც.

ვ. პერევედენცევის განვითარიშებამ (1975 წ.) გვიჩვენა, რომ სსრკ მოსახლეობის სამი უკანასკნელი აღწერის (1939, 1959, 1970 წ.წ.) პერიოდში სამუშაო ასაკის (პირობითად 20—59 წლის) მოსახლეობის ხელითი წონა შეადგენდა მოსახლეობის საერთო რიცხვნობის 48,7% — 1939 წელს, 53,2% — 1959 წელს და 50,2% — 1970 წელს. ხოლო 60 და მეტი წლის ასაკისანი შეადგენდნენ თანამიმდევრობით: 6,8; 9,4, და 11,8 პროცენტს!

<sup>1</sup> Соревнование двух систем, 1975, стр. 403—404.

ეს მონაცემები მოწმობენ, რომ სსრ კავშირის მოსახლეობაში იზრდება ხანდაზმულთა და დაბერებულთა ხევედრითი წონა. ამავე დროს შროვაუნარიანი მოსახლეობის ხევედრითი წონა ნაკლებად იცვლება, ხოლო ბავშვობისა მცირდება. ეს იმის მომასწავებელია, რომ შრომაუნარიანი, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დატვირთვა იზრდება. ე. როსერი წერს, რომ „დაბერებულის მოთხოვნილებები აღემატება ბავშვის მოთხოვნილებებს“<sup>1</sup>.

დაბერების შესაბამისად დასაქმებული მოსახლეობის შრომის შრარმებულურობა კლებულობს, განსაკუთრებით 60 წლის ასაკს გადაცილებულთა შორის, კლებულობს მათი მობილურობა როგორც მიგრაციის, ასევე პროფესიული კვალიფიკაციურობის შერიც. მით უფრო, რომ ინდუსტრიული რევოლუციის ვითარებაში მთლიანად ან ნაწილობრივ ისპობა, ქრება, იზღუდება რიგი ძველი პროფესიებისა და იმავდროულად ჩნდება ახალი პროფესიები, რომელთა შნიშვნელოვანი ნაწილი წარმოების ფართო მექანიზაციის, ტექნიკური რევოლუციის პირობებში მოითხოვს უფრო მაღალ ფსიქო-ფიზიოლოგიურ დაძაბულობას, სწრაფ რეაგირებას. ალსანიშნავია ისიც, რომ მეწარმოებეს ახლა მოეთხოვება უფრო მეტი როგორც საერთო, ისე სპეციალური, პროფესიული ცოდნა.

ამასთანავე სპეციალურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის თანამედროვე მიღწევათა სრული რეალიზაციის ვითარებაში ფიზიკურ შრომაუნარიანობას ადამიანი დიდხანს ინარჩუნებს, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობებში კი უფრო მეტი დროის განმავლობაში, ხოლო გონებრივ, შემოქმედებით შრომაუნარიანობას (ცენტრალური ნერვული სისტემის ჯანმრთელობისას) ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ინარჩუნებს.

მაგრამ ჩვენი მსჯელობის ცენტრშია არა იმდენად ეს უფროსი თაობა, არამედ საერთოდ მოსახლეობის სიცოცხლის განაგრძლივების მეთხებით გამოყოფილი ახალი თაობის, ახალგაზრდობის ახალი ადგილი თაობათა უკვე სამსაფეხური სტრუქტურაში.

თანამედროვე, განსაკუთრებით ინდუსტრიული ქვეყნების, საზოგადოებაში, სადაც ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ფრიად გაიზარდა და დაახლოებით 70 წ. უდრის, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე უკვე გამოვიდა შვილი-შვილთა თაობა, ახალი ახალგაზრდობა, რომელთა ხევედრითი წონა მოსახლეობის საერთო მასაში ახლა უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე იყო, მაგრამ ახლა მათი როლი და მნიშვნელობა მხოლოდ ახალგაზრდული ასაკობრივი მდგომარეობითა და რაოდენობრივი მაჩვენებლებით როდი გაიზომება.

<sup>1</sup> Э. Россет, Процесс старения населения, 1968, стр. 340.

თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ეს პირველი თაობა, შეიძლიშვილთა თაობა, გაიზარდა ტექნიკური და მეცნიერული რეკულებული ციის, მიმღებლისა და კავშირგაბმულობის, კომუნიკაციებისა და ინფორმაციის მიღების (ათვისების) ისეთ საშუალებათა პირობებში, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ნივთიერ და სულიერ სიმდიდრეთა ისეთი სიუხვის ვითარებაში, რომ ის არა მხოლოდ ადგე მომწიფება ფიზიკურად, არამედ აღრევე განვითარდა ცნობიერების თვალსაზრისით და, მაშასადამ, სახელდობრ არა მამების, არამედ თვით გაბუების (პაპების) გვერდით აღრევე გამოიდა საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი თუ მეურნეობრივი მოღვაწეობის სარბიელზე.

უკველივე ეს უკვე იმის მომასწავებელიცა, რომ დღეს ერთდროულად სარბიელზე გამოდის სამი თაობა — ისეთი სამი თაობა, რომელმაც მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების სხეადასხვა დონეზე შემუშავებული სხვადასხვავარი საკულტო განათლება მიიღო, როდესაც სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდევო სოციალურ და პოლიტიკურ იდეებს ეზიარა და ზოგიერთი ადრე სათავეანებელ ფენომენთა გაუფასურების მეტად თუ ნაკლებად ღრმა გავლენა სხვადასხვანაირად განიცადა.

ამგვარად, ჩვენ წინაშე სამოქმედო სარბიელზეა სამი თაობა: I. ახალგაზრდობა — 15—25 წწ. ასაკის (ახალი თაობის სტატუსი), II. მოწიფულთა თაობა — 26—55 წწ. ასაკის (საშუალო თაობის სტატუსი) და III. ჭარბაზო — 56—75 წწ. და მეტი ასაკის (უფროსი თაობის სტატუსი). ამათ შემდეგ მოღის მსცოდვანთა თაობა — 80 წელს გადაცილებული მოსახლეობა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოსახლეობის ასაკმრივი სტრუქტურის საფუძველზე გაკეთებული შეფასებით პლანეტის მოსახლეობის შრომაუნარიანი ასაკის  $3/4$  ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შეადგენს, ხოლო მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის მიხედვით ეკონომიკურად აქტიურია ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობის დაახლოებით 45% და განვითარებადი ქვეყნების 42%. პროგნოზის მიხედვით 1985 წელს მსოფლიოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წონა დაიკლებს და მიუასლოვდება 40%, მ. მ. ქალები — 27%, ვაჟები — 53%.

ჩვენ მხედველობაში გვყავს სხვადასხვა თაობა ინდივიდუებისა, რომელთაც თავიანთი ახალგაზრდობა — 15—25 წწ. ასაკი — განვლეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა სტადიაში, სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა წყობაშიც კი.

აქ ლაპარაკია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების არა მხოლოდ ქრონოლოგიურად სხვადასხვა ეტაპზე, არამედ სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და თვით წარმოებრივ ურთიერთობათა თვალ-

საჭრისით განსხვაებულ ეტაპებზე, ისეთ პერიოდებზე, როგორიც იყო:  
1. მსოფლიო ომის, რევოლუციის, სამოქალაქო ომის, სახალხო მე-  
ურნეობის აღდგენის პერიოდი, რაც მოიცავს დაახლოებით 1914—  
1925 წწ.;

2. სოციალიზმის მშენებლობის, II მსოფლიო ომის და მერმინდელი  
ოთხი ხუთწლედი — 25—55 წწ.;

3. უკანასკნელი 25 წელიწადი, ახალი ინდუსტრიული რევოლუციის  
და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დასაწყისი პერი-  
ოდი — 56—80 წწ.

ამჟამად აქტიური მოსახლეობის რიგებშია, ე. ი. პოლიტიკური თუ  
მეურნეობრივი ცხოვრების სფეროში მნიშვნელოვანი ზომით მონაწილე-  
ობს ის „ახალგაზრდობა“, რომელიც 1915—1925 წლების ახალ თაობას  
წარმოადგენდა, ხოლო ახლა უფროსთა (მესამე) თაობას ეკუთვნის და  
რომელმაც გაიარა ყველა ზემოხსენებული პერიოდი ჩვენი ქვეყნის  
ცხოვრებაში — ესაა 56—80 წწ. და კიდევ უფროსი ასაკის მოსახლეობა,  
რომელსაც, კაპიტალისტური და ფეოდალურ-პატრიარქალურ ურთიერ-  
თობათა წილიდან გამოსულს, წილად ხედა საბჭოთა სახელმწიფოებრი-  
ვი წყობილების ყველა საფეხურისა და თვით განვითარებული სოცი-  
ალისტური საზოგადოების მშენებლობაშიც თვისი წვლილი შეეტანა.  
(ანტიკური დროის ადამიანთა წარმოადგენით ასეთ თაობას აღმართ  
„ტიტანების თაობას“ უწოდებდნენ).

ამ თაობის გვერდით თანამედროვეობის უკვე ძირითად წამყვან ძა-  
ლას წარმოადგენს საშუალო თაობა, რომელიც 1926—1955 წწ. მოწი-  
ფულთა თაობა იყო და, ამგვარად, ახლა 56—80 წლის ასაკის მოსახ-  
ლეობაა...

საშუალო და უფროსი თაობის მხრებზეა ამაღლებული ახალი ახალ-  
გაზრდობის თაობა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1950—  
1960 წწ. არიან დაბადებულნი და რომელთა ასაკი ამჟამად 20—30  
წლებს შეადგენს. ეს თაობა თანამედროვე მსოფლიოს მეცნიერული და  
ტექნიკური პროგრესის, ინდუსტრიული რევოლუციის ყველა მონაპო-  
ვართა საფუძველზე, ცოდნის წარმოებისა და ათვისების ყველა საშუ-  
ალებათა გამოყენების საფუძველზე მათი ასაკის ყველა ეპოქის წინა  
თაობებზე უფრო მეტად განათლებული და გათვითუნობიერებუ-  
ლია.

ეს თაობა, მართალია, მხოლოდ 20—30 წლის ასაკისაა, მაგრამ მათ  
უფროსწლოვანთა უმრავლესობას უკვე მიღებული აქვს საშუალო, სა-  
შუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლება და აქტიურად მონაწი-  
ლეობს არა მხოლოდ მეურნეობრივ ცხოვრებაში, ფიზიკური შრომის  
დარგებში (სადაც, მატერიალური წარმოების სფეროებში, როგორც  
ცნობილია, აგრარულ საზოგადოებათა ახალგაზრდობა უფრო აღრეც  
მონაწილეობს), არამედ მიისწრაფვის სულ ფართო და ქმედითი მონაწი-

ლეობა მიიღოს წარმოებისა და თვით ქვეყნის მართვის, მაშასადაც, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საქმეებში.

ჩვენ აღვნიშნეთ ამ სამი თაობის მიერ განათლების მიღების მეთო-დისა და თვით შინაარსის განსხვავებულობა, რაც განსაკუთრებით დი-დია საერთო განათლების დონეზე. აღრინდელ თაობათა ეს განათლება უპირატესად წიგნური ხასიათისა იყო, ხოლო ახალი თაობის ახალგაზრ-დობის განათლებაში დიდი ზომით შეიძრა ინფორმაციის ახალი საშუა-ლებები — რადიო, ტელევიზია, რითაც ცოდნა უპირატესად სმენითა და მხედველობით, ამასთანავე დიდი ზომითა და მასშტაბით, თანაც ბევრად უფრო სწრაფად და წინაუკმოდ, უსისტემოდ მიიღება. ამ გარემოება, არ შეუძლია სხვადასხვანაირი გავლენა არ მოახდინოს ადამიანის აზროვ-ნების აპარატზე, მის ფსიქიკასა და საერთოდ სულიერ და იქნებ ფიზი-კურ ცხოვრებაზეც.

ეს ნათელი უნდა იყოს უბრალო შედარებიდან. რადიოსა და ტელე-ვიზიის გადაცემები მეტ-ნაკლები ზომით პირუტყვებზედაც ახდენს გაუ-ლენას, ტელევიზორის ძალიც კი უყურებს; ხოლო პომეროსის, სოფოკ-ლეს, სტრაბონის, ტაციტუსის, დანტეს, რუსთაველის, შექსპირის, გო-თეს, ბალზაკის, მარქსის, დოსტოევსკის, პემინგუეის წაკითხვა და გავ-ბა მხოლოდ ადამიანს შეუძლია.

სენებულ და მრავალ სხვა მიზეზთა გამო ამ სამი თაობის ადამიანთა შორის არ შეიძლება ერთგვარი დაპირისპირებულობა და თვით წინააღ-მდეგობაც არ იყოს, რაც სოციალისტურ საზოგადოებაში, ცხადია, არ ატარებს ანტაგონისტურ ხასიათს და უმთავრესად მიიმართება მართვისა და წარმოების განვითარების უკეთესი გზების ძიებისათვის ბრძოლის (შეჯიბრების) ფარვატერში, ხოლო ბურჟუაზიულ წარმოებრივ ურთიერ-თობათა პირობებში მას შეუძლია თაობათა შორის მწვავე და შეურიგე-ბელი ბრძოლის ხასიათი მიიღოს.

\* \* \*

ამ ასპექტში აუცილებელია კიდევ ორიოდე საკითხს შევეხოთ.

ცნობილია ბიბლიური გამონათქვამი: „უწინარეს იყო სიტყვა“, რაც დოქტორმა ფაუსტმა შეასწორა: „უწინარეს იყო საქმე“... ბავშვისათვის კი უჰქველია, რომ „უწინარეს იყო მოქმედება“ და ეს „მოქმედება“ დაახლოებით ექვემდებარება ბავშვისათვის, როგორც მრავალმხრივი დაკვირვება მოწმობს, უპირატესად თამაშია და სხვა არაფერი. მაგრამ ეს ბავშვები „თავიანთ თავს“ არ თამაშობენ. მათ უყვართ ითამა-შონ უფროსები: „დედა“, „მამა“, „მამიდა“, „პაპა“, „ბებია“... მათი თა-მაში ასახვეს უფროსთა თაობის ყოფიერებას. ისინი უფროსების რო-ლებში გამოდიან და მათი ცხოვრების ინსცენირებას დგამენ თავიანთ სცენაზე (თამაშში).

მაინც ყველაზე მთავარი მათს თამაშში ესაა — თავისუფლება<sup>1</sup> გა, — აკეთონ ისე, როგორც ეპრიანებათ და ეს თავისუფლება მათია-<sup>2</sup> სიხარული და ორივე: თავისუფლებაცა და სიხარულიც ერთია-<sup>3</sup> ნობაშია. ხოლო ეს ერთიანობა მათს მოქმედება<sup>4</sup> გა ასახება, რო-<sup>5</sup> გორც აკეთებენ და აკეთებენ იმას და ისე, რასაც (როგორც) ხედავენ, თუ როგორ (რას) აკეთებენ უფროსები, რომელთა როლებში თავისუფ-<sup>6</sup> ლად, სიხარულით (თამაშ-თამაშით) მოქმედებენ ისე, როგორც მათ ეს-<sup>7</sup> მით და ახარებთ.

ამ თამაშში (დაუწერელ პიესაში, ბავშვები რომ დგამენ) არა მხო-<sup>8</sup> ლოდ ფუნქციებია შეცელილი, შეცელილია და საოცარ წარმოსახვაშია წარმოდგენილი თვით ნივთები, საგნები... 5 წლის ბიჭუნა „მამაა“, 4 წლის გოგონა „ბებიაა“, პაპის ჯოხი „ცხენია“, მაგიდა „სახლია“, ფან-<sup>9</sup> ქარი „თერმომეტრია“, სავარელი „ავტომობილია“... ასე, რომ ლოგი-<sup>10</sup> კური მეთოდებისგან თავისუფალი ბავშვთა მიერ წარმოდგენილი პიე-<sup>11</sup> სები არა თუ წარმოსახვითაა უფრო რთული და მაღალი, არამედ შეიძ-<sup>12</sup> ლება ბევრად უფრო პარადოქსული, პიპერბოლური იყოს და, მაშასადა-<sup>13</sup> მე, ემოციური და ფანტასტიკური, ვინემ უფროსებისა.

ამ ვითარებიდან იწყება ბავშვის, როგორც ახალგაზრდის, ინდივი-<sup>14</sup> დუალიზაციის პროცესი...

\* \* \*

ადამიანის, ახალგაზრდის ინდივიდუალიზაციის, პერსონალიზაციის პროცესი ისეა ჩართული საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურული ევოლუციის დიდ მდინარებაში, რომ „მისი ფორმირება წარმოგვიდგება არა როგორც რაღაც დამოუკიდებელი ფენომენი, არამედ როგორც მოვლენათა ბუნებრივი პროცესი... ასე იყო უხსოვარი დროიდან მოყო-<sup>15</sup> ლებული, როდესაც იგი პრიმიტიულ, ნატურალურ ურთიერთობათა პი-<sup>16</sup> რობებში მოძრაობდა და ასეა დღესაც, თანამედროვე კომუნიკაციების, მაშინიზაციის, ინდუსტრიული რევოლუციის, მსოფლიო მეურნეობისა და ყოველდღიურად ცვალებად საერთაშორისო კავშირების ვითარება-<sup>17</sup> ში, როდესაც მეტ-ნაკლები ვარიაციით ცხოვრება იქითევ მიემართება, რომ „ყოველი ადამიანის თავისუფალი განვითარება წარმოადგენს ყვე-<sup>18</sup> ლას თავისუფალი განვითარების პირობას!“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, საბოლოოდ, თავისი საზოგადოებ-<sup>19</sup> რივი ეპოქის პროდუქტია და განიცდის ყველა ცვლილებას, რასაც გა-<sup>20</sup> დის დაუსრულებლად ცვალებადი ევოლუციის ბუნებრივ-ისტორიული პროცესი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 4, стр. 447.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, стр. 440.

მაგრამ ყოველივე ეს, ცხადია, არ გამორიცხავს ადამიანთა ინტენსუაციას მრავალფეროვნობას, სხვადასხვაგვარობას, რაც თვით მუწერს კანონია, დაახლოებით ისეთივე, როგორც, მაგალითად, მინდვრად ათას-გვარი და ათასფერი ფლორა და ფაუნა, კერძოდ, ცვავილები, რომელ-ბიც ქმნიან მთელი ველის მთლიან ხავერდოვან ფრადოვნებას, რაც არათუ მხოლოდ ბუნების კანონზომიერებას, არამედ, ამასთანავე, თვალ-შეუდგამ მარადიულ მშვენიერებასა და იგავმიუწვდომელ პარმონიულობასაც წარმოადგენს.

საქმე ისაა, რომ, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, ის, ენც სწავლობს ადამიანთა გარევეულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, სწორედ ამითვე უკვე სწავლობს რეალურ პიროვნებებსაც, რომელთა მოქმედებიდან შედგება კიდევაც ეს ურთიერთობანი<sup>1</sup>... ეს გარემოება სრულებითაც არ გამორიცხავს ადამიანის კონკრეტულ-ისტორიულ სახეს, რაც ამასთანავე შესაბამისი ეთნიკური კულტურის განუმეორებელი ინდივიდუალური სპეციფიკურობებით ხასიათდება და რაც თვით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად განიცდის მარადიულ ცვალებადობას<sup>2</sup>...

\* \* \*

ცნობილია, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იუნესკოს, რომლის გენერალური დირექტორი რენე მაიო „მსოფლიოს ყველა ახალგაზრდა ადამიანისადმი“ მიმართვაში მოუწოდებდა: საერთაშორისო თანამშრომლობა ეს არის აუცილებლობაცა და იდეალიც... ეს აუცილებლობა თანამედროვე ცივილიზაციისათვის, რამდენდაც შესაძლებლობა განვითარებისა... და განვითარების პრობლემათა გადაჭრა მიღწევა მხოლოდ ცოდნათა გაზიარებით, აზრთა დაპირისპირებით და ორნისძებათა გაერთიანებით — სულ უფრო ფართ და რთულ სფეროებში, რაც შორს სცილდება ცალკეული ქვეყნების შესაძლებლობას, როგორც გინდ ვრცელი და ძლიერები არ იყვნენ ისინი...

ეს იდეალია..., რამდენადაც ყოველი ადამიანი სულ უფრო გრძნობს, რომ იგი შეუძლებელია სავსებით ბედნიერი იყოს, როდესაც სხვები მონობასა და სიღატავეში იტანჯებიან, რომ იგი არ შეიძლება ტებებოდეს მშვიდობიანობით, თუ მსოფლიოში სადმე ომია გაჩაღებული; სხვა სიტყვებით, ის არ შეიძლება თავის თავს გრძნობდეს ადამია-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 1, გვ. 424.

<sup>2</sup> ვრცლავ იხ. И. Кон, Социология личности, 1967; его же, Открытие «Я», 1978; К. Тарасов, Е. Черненко, Социальная детерминированность биологии человека, 1979.

ნად, ამ სიტყვის სრული გავებით, თუ უსამართლობა და უპედურება ყოველ ადამიანს — ყველას გამოსაქლის გარეშე — ორ აძლევს შესაძლებლობას მიაღწიოს მის თანაბარ მდგომარეობას. მე ვამზობ „ყველას“, ვინაიდან ჩვენ ჩვენს ფიქრებსა და ან საქმეებში თუ დაუშვებთ, რომ ვინმე დარჩა კაცობრიობის დიდი ოჯახის გარეთ, დავკარგავთ ჩვენი საკუთარი ადამიანობის ნაწილს.

...და მე თქვენ მოგიწოდებთ ენთუზიაზმითა და დიდსულოვნებით, რაც ახალგაზრდობას ახასიათებს, ამიერიდან თქვენი თავი მიუძლვენით ამ საქმეს... გამოიგეთ მე სწორად. — მე თქვენ არ მოგიწოდებთ ხელი აიღოთ იმ ამოცანებზე, რომელთაც თქვენს წინაშე აყენებს თქვენი ოჯახი, პროფესია, სამშობლო. — მე მხოლოდ გთხოვთ, რათა ასრულებდეთ რა ამ ამოცანებს, თქვენ მტკიცედ გახსოვდეთ, რომ ხართ კიდევ ნაწილი სხვა ოჯახის, სხვა სიცოცხლის, სხვა საზოგადოების, რომლის სახელია — კაცობრიობა.

თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ აზრი და ფასი თქვენი სიცოცხლისა სცილდება თქვენი პირადი ცხოვრების (ბედის) საზღვრებს, რომ თქვენ მონაწილეობას ღებულობთ მთელი კაცობრიობის უდიდეს მოლვაწეობაში, რომლის აღსრულება ყველა ადამიანის გაერთიანებულ ძალაზეა დამოკიდებული.

— დასასრულ, მე თქვენ მოგიწოდებთ ყოველი ადამიანი მიიჩნიოთ თქვენს ძმად, ე. ი. ისეთად, რომელსაც მისი რასის, ეროვნებისა და ენისაგან, სახოგადოებრივი და რელიგიური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, აქვს ისეთივე ღირსება, მისწავლებანი და სურვილები, როგორიც თქვენ გახასიათებთ.

თქვენ ვაჟკაცდებით აქამდე არყოფილი ტექნიკური პროგრესის ეპოქაში. თქვენი თაობა მიაღწევს ვარსკვლავებს, მაგრამ თქვენი მთავარი შიზანია — ადამიანი, და ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ თქვენ პატივს სცემდეთ და ზრდიდეთ მას — თავისთავშიც და სხეულშიც („კ. იუნესკო“, 1976, XI, გვ. 30).

\* \* \*

ამავე ასპექტში რამდენადმე უფრო ვრცლად უნდა შევეხოთ ეიჯიზმის საკითხს.

ადამიანურ ურთიერთობათა, ადამიანის უფლებათა პრობლემების შესწავლამ გამოიწვია ახალი ცნების (ტერმინის) შემუშავება და გაერცელება. ესაა ეკიზიზმი (ინგლ. age — ასაკი).

მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მდგომარეობისა და ურთიერთობის შესწავლამ გამოიწვია ახალი ცნების (ტერმინის) შემუშავება და გაერცელება. ესაა ეკიზიზმი (ინგლ. age — ასაკი).

იუნესკოს მიერ „ახალგაზრდობის უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“ 1972 წ. შემუშავებულ მოხსენებით ბარათში ნათქვამია:

„...ამ თვალსაზრისით განხილული ახალგაზრდა ადამიანთა შესტენი მგებლობა, ნაცვლად იმისა, რომ ნიშნავდეს ახალგაზრდობისათვის შესაძლებლობას თვითონ გამოვიდნენ ინიციატორებად იმ საკითხებში რაც მათ შეეხება და რაც, ბოლოს და ბოლოს, შეეხება მთლიანად საზოგადოებას, უწინარეს გამოიყერება, როგორც ვალდებულება, რაც მთეკისრებათ სრულასაკოვანთა (მოწიფულთა) საზოგადოებისაგან — ვალდებულება დაემორჩილონ ოჯახის, თემის ანუ სახელმწიფოს ხელისულებას; ვალდებულება მიიღონ განათლება, რაც ძირითადად განსაზღვრულია მოწიფულთაგან, ანდა არ მიიღონ იგი, თუ მხედვებლობაში უფლებო სოციალური ჯგუფები; ვალდებულება იშრომონ, არაიშესათად ადრეულ ასაჟი და მძიმე პირობებში, ანდა, პირიქით, პირეელთა განნი დაზარალდნენ უმუშევრობისაგან; და, დასასრულ, ვალდებულება აღიარონ (სცნონ) მსოფლიო წესრიგი, რაც დამყარებულია მთვან და მოუკიდებლად და რაც მათვის სულ უფრო უცხო ხდება“.

ეიჯიზმი გულისხმობს მისწრაფებას გაბატონებისა და დანარჩენოდამორჩილებისაკენ... ეს ვითარება აისახება სქემით. „მშობლები — ბავშვები“, „მოწიფულნი — ხანდაზმულნი“. აქ წინა პლანზე გამოიყო ავტორიტეტი, რისი მეოხებითაც, როგორც ელიზა ბოულდინგი (აშშ-1979 წ.) წერს, საშუალო ასაკისანი აიძულებენ ბავშვებსა და ხანდაზმულთ აქეთონ ესა თუ ის..., ძალდატანების გამოყენების გარეშე. აქ ასებობს სხვაგვარი დამკიდებულებაც, თუმცა არც ისე ყოველდღიური იგი: ურთიერთპატივისცემა და ურთიერთმხარდაჭერა მთელი სიცოცლის მანძილზე მარადი განვითარების მიზნით.

მოწიფულთა უმრავლესობა არასოდეს არ გაბედავს (არ იყადრებს) თავისი თანატოლს ელაპარაკოს ისე, იმ ტონით, როგორითაც იგი ელაპარაკება ბავშვებს... ისინი უფროსები, მასწავლებლები არიან, მათ აუნდათ, რომ შეაწყვეტინონ ლაპარაკი და მით უფრო — გაუსწორონ... იმათ, რომელთა მასწავლებლები არიან.

მაგრამ არის ახალი ვითარება... ამჟამად ბავშვები შეადგენენ პლანეტის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს და ისინი მთლიანად გამორიცხული არიან მოწიფულთა საზოგადოებაში ისეთი პროცესებისაგან, რასაც ეწოდება ინფორმაციის, შეფასებისა და გადაწყვეტილებათა მიღება...

თვისი დაინტერესებულობის გამოთქმაუნარიანი მთელი ახალგაზრდობისათვის, მათი ასაკისაგან დამოუკიდებლად, ამ პროცესებში მონაწილეობის მიღება, ელიზა ბოულდინგის უფრო ემოციური ვინემ მეცნიერული მსჯელობით, აქამდე უნახავი გაქანების რევოლუციის გამოიწვევდა ყველა ქვეყანაში („კურიერ იუნესკო“, 1979 წ., თებერვალ).

გავრამ რამდენად მართებულია ის მოსაზრება, რომ ბავშვებს, სანამ ისინი სრულასაყოვანი შეიქმნებიან, შეუძლიათ გამოიმუშავონ უნარის რათა მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, მაშასადამე, ოჯახისა თუ საზოგადოებრივი საქმეების თაობაზე მიიღონ თავიანთი ინტერესებისა და უნარის შესაბამისი გადაწყვეტილებანი?!

1979 წელს, ბავშვთა საერთაშორისო წელს, მრავალი ანალოგიური საკითხი წამოიჭრა მოაზროვნე საზოგადოებათა წრეებში... ყველასათვის ნათელია, რომ ბავშვთა ისევე, როგორც ახალგაზრდობა და მოწიფულობა უნივერსალური და საყოველთაო ხსიათის ფენომენია აღამიანის სოციალურ მდგომარეობაში (ვითარებაში).

ბავშვები (ახალგაზრდები), მოწიფული და მხცოვანნი — ყველა ეპოქისა და ყოველი საზოგადოებრივი წყობილების, ყველა წოდებისა და ყველა კლასის, ყოველგვარი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის ვითარებაში ერთი და იგივე ფიზიკური (ასაკობრივი) ნიშნებით (მაჩვენებლებით) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ესაა თაობათა უნივერსალური განსხვავება და მსგავსება, რაც მათ თიშავს ერთმანეთისაგან და რაც მათ აკავშირებს (აერთიანებს) ერთმანეთთან.

ისინი, სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში, დაახლოებით ერთგვარად განიცდიან სიხარულსა და მწუხარებას, ავადმყოფობასა და შიმშილს. იღუპებიან ომების ვითარებაში. მაგრამ საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცნობიერების „ცენტრში“ ყოველთვის და ყველგან საშუალო ასაკის (მოწიფული) დგანან, ხოლო ახალგაზრდები და მხცოვანნი ქმნიან თავისებურ „პერიოდერიებს“, რომელიც ჩვეულებრივ პირების არიან იმათ რიცხვში, რომელთაც „ემუქრებათ შიმშილი, განსაკუთრებით თუ ისინი ლარიბნი არიან, ხოლო ყველაზე ლარიბთა ჭვეფებს მსოფლიოში მიეკუთვნებიან როგორც ყველაზე ახალგაზრდანი, ასევე ყველაზე მოხუცებული...“

ბავშვის ასაკში შესვლის გზა უალრესად რთული ბიოლოგიური და სოციალური პროცესია. ჩვენი მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პროცესის საფეხურები, რომელსაც იგი მიჰყავს თავისი ინდივიდუალობის თვითშეგნების, თვითშეცნობის აღმავალი მიმართულებით.

პროფ. ი. მეიერსონმა (საფრ.) სპეციალურად შეისწავლა პრობლემა, თუ რა როლს ასრულებს „სახელი“ ბავშვის ცნობიერების ევოლუციაში...: „ბავშვი არ არსებობს, სანამ იგი სახელს არ მიიღებს“.

სახელი არა მხოლოდ წარმოადგენს მის ვინაობას, არამედ ქმნის მის ინდივიდუალობასაც, გამოყოფს მას ადამიანთა ჭვეფისაგან. სახელი მას ანიჭებს იდენტიფიკაციის განსაკუთრებულ სახეობას... მას პაპის სახელი ჰქვია და ამით იგი ღებულობს და აგრძელებს წინაპართა გვარსა და საქმეს; იგი... ხელს აწერს, აწერს თავის სახელს და ამით კისრულობს პასუხისმგებლობას, ღებულობს ვალდებულებას როგორც წარსულის,

ასევე მომავლის ასპექტში... სახელი შეიძლება გავლენას ახდენოდას პატარა შვის პიროვნების, „მეს“, ფორმირებაზე და მ პროცესის ემზროვნება როგორც უახლესი დაკვირვებებით იჩკვევა. აღრე იწყება. — უკავ 2-3 წლის ასაკიდან.

მაგრამ ისიც ხდება, რომ თავის „სამუშაოთა და დღეთა“ ვითარებაში ადამიანს შეიძლება დასჭირდეს ბავშვობიდანვე ნატარები და ნალოლიავები ნამდვილი სახელის დამალვა, სხვა სახელის მიღება და, მაშასადამე, ფსევდონიშს ამოფარებული ცხოვრება და მოლვაზეობა თავის უცხო ქვეყანაში.

ცნობილმა ფსიქოლოგმა და ფილოსოფოსმა კან პიაუერმ და ანნ-მარტ ვეილმა დააღვინეს, რომ სამშობლოს იდეის შემცენების თვალსაზრისით ბავშვი დაახლოებით 6-7 წლამდე ჯერ კიდევ ვერ ანცალკევებს თვის თავს იმ ადამიანთა წრისაგან, რომელშიც ცხოვრობს. მაგრამ 10—12 წლისა რომ გახდება, მასში უკვე იბადება წარმოლგენა თავისი ნაცონალობის თაობაზე, ასევე როგორც უჩნდება „მიცემისა და მიღების“ კოცეფციის, ვითარცა ადამიანური ურთიერთობის ელემენტების, გავება და ასეთ ბავშვს უკვე აქვს (უნდა ჰქონდეს!) სამშობლოს უფლება. ე. ი. უფლება იმის თქმისა, რომ იგი წარმოშობით ამა და ამ ნაციის ეკუთვნის, ამა და ამ ქვეყნიდანაა და იმის უფლებაც, რომ სურვილისამებრ დაბრუნდეს თავის სამშობლოში, რაც შეიძლება მას არასოდეს არც უნახავს...

საშუალო ასაკის მოსახლეობა ქმნის პირობებს, რომელშიც ყალბლებიან ბავშვები (ახალგაზრდები), აკეთებს მათთვის სათამაშოებს (რაშიც ჩაქსოვილია არა მხოლოდ სიმბოლოები და იდეები, არამედ იდეოლოგიაც), თვით სასწავლო პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, სკოლებს... და ასე ქმნის მათთვის შესაძლებლობას“ თავისუფლად განვითარდნენ თავისუფალ საზოგადოებაში...

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ყოველთვის აღიარებდნენ, რომ ყოველივე ეს მაინც არ არის საკმარისი „ბედნიერი ახალი თაობის თავისუფალი აღზრდის“ ორგანიზაციისათვის. — ისინი სულ უფრო ამჩნევენ, თუ როგორ ქმნიან თამაშის პროცესში მათი ბავშვები თავიანთ ახალ, განსხვავებულ სამყაროს,... ამჩნევენ და უფრო ხშირად არ იმჩნევენ, რომ ამჩნევენ...

როგორც ვიცით, ინდუსტრიულამდელ დასავლეთ ევროპაში და ასელაც განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში 10—12 წელს გადაცელებული ადამიანი უკვე მოწიფელად ითვლება. რომელსაც თავის შრომით საკუთარი წვლილი შეაქვს ოჯახისა თუ თემის კეთილდღეობაში. სოფელში კი ბავშვები კიდევ უფრო აღრე, 5—6 წლიდან, ებმებან შრომითს საქმიანობაში და ეს ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა თანამედროვე ურბანიზაციის პროცესში, რაც სულ უფრო საყოველოა ხა-

სიათს ღებულობს, და კომუნიკაციების უახლესმა საშეალებებმა. გრაფიკული მართებულია პროფ. კაძხევით ვოტოს (ტოკიოს უნივერსიტეტის ვერსიტეტი) მიერ იაპონიის მაგალითზე მიღებული დასკვნა, რომ „ახლა ბავშვები ცხოვრობენ არა მხოლოდ ბუნებრივ გარემოსა და სხვა ადამიანთა გარემოცეაში, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშეალებებით შექმნილ ხელოვნურ წრეშიც“, ხოლო თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებათა შორის იაპონიური — „ტელევიზიაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო ორიენტირებული საზოგადოებაა“ („კურიერი იუნისი“, 1979, IV; ვვ. 10).

ღღღ დასავლეთის ინდუსტრიულ საზოგადოებაში შეძლებული მოსახლეობის ბავშვებს მოუწოდებენ სასაორტო მოედნებისაკენ, თამაშისა და გალრმავებული სწავლისაკენ, ხოლო ღარიბები დაეხეტებიან ქუჩებში, იქნებ რამე სამუშაო იშოვნონ. მაინც თითქმის ყველა ესენი — სკოლებში, სპორტულ მოედნებსა თუ ქუჩებში — ერთი პროგრესული ამერიკელი სოციოლოგის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავს გრძნობენ საპატიმროში გამოწყვდებულებად და არჩევდნენ პქონოდათ თვითი საკუთარი სამუშაო....

ბავშვთა, მცირეწლოვანთა შრომის საყითხი დიდი ხანია, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მტკიცნეული პრობლემაა. მასთანავე არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ეპოქაში არასოდეს არ ყოფილა არმიაში ახალგაზრდობის გაწვევა დავის საგანი და ქვეყნის თვედაცვის სიმძიმის უდიდესი ნაწილი ყოველთვის ეკისრება 20—21 წლისაზე უფრო ნაკლებ ასაკიანებს.

იმ გარემოებამ, რომ მაღალი ინდუსტრიული ქვეყნების სკოლებში გადიდდა სწავლების დრო, ასე თუ ისე, გამოიწვია ბავშვობის პერიოდისა და, მაშასადამე, თვით ბავშვის მშობლებისადმი დამოკიდებული მდგომარეობის გაგრძელება, რამაც ახალი ელფერი შეიტანა არა მხოლოდ შეილისა და მშობლების, არამედ საერთოდ შეიღების (ახალი თაობის) საზოგადოებრივ მდგომარეობაში — ისინი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე უფრო გვიან და უფრო მომზადებულნი გამოდიან.

მაგრამ ჩვენ ახლა გავკრით მაინც უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მოვლენას თანამედროვე ბავშვთა და ახალგაზრდობის ცხოვრებაში. ეს გახლავთ ის უაღრესად დამაფიქრებელი ფაქტი, რომ, მაგალითად, 60 მილიონი ქალიდან, რომლებიც დედები გახდნენ 1975 წელს, მცირეწლოვანი იყო თითქმის 13 მილიონი. დასავლეთის ქვეყნების სპეციალისტთა მიერ 1976 წ. აშშ მოწყობილი ნააღრევი დედობისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალებიდან ჩანს, რომ ეს მოვლენა სულ უფრო ვრცელდება და ზოგიერთ ქვეყანაში სერიოზული პრობლემა ხდება, რამდენადაც იწვევს სამედიცინო მომსახურებისა და თვით დემოგრა-

ფიულ მოვლენათა შემდგომ გართულებას, განსაკუთრებით ახალგაზისტება და დედებისა და მათი შვილების სოციალური უზრუნველყოფის ასპექტში.

ელიზა ბოულდინგი წერს, რომ ადამიანთა არც ერთ საზოგადოებაში არ შეიძლება მოისპოს „არასრულწლოვანთა სქესობრივი აქტიურობა, როგორიც არ უნდა იყოს ამ მხრივ ოფიციალური ნორმები... სქესობრივი სიმწიფე იწყება 10—15 წლის ასაკში. მოზარდი გოგონების ერთ-ერთი ტრაგედია ისაა, რომ, თუმცა მათი უმრავლესობა ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც არსებობს ოჯახის დაგეგმვის სამსახური და სადაც გარკვეულ პირობებში დაშვებულია აბორტი, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ 10—15 წლის ასაკის გოგონებს, რომლებიც ეჭვემდებარებიან დაორსულების რისკს, თითქმის არა აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ამ მოსახურებით.

მაგრამ პასუხისმგებლობა, რაც ეკისრებათ ქმრიან მცირეწლოვან დედებს, ბევრად უფრო აღვილია იმასთან შედარებით, რაც ეკისრებათ მათ თანატოლ უქმრო დედებს, რომელთა უმრავლესობა იძულებულია ბავშვებ თვითონ უპატრონოს და ამასთანავე იმუშაოს (იმსახუროს), რათა იშოვნოს ფული საკუთარი თავისა და თავისი შვილის სარჩინა-თვის და შეეძლოს იყოს მისი ერთადერთი მშობელი....

უკანონო შეილის მცირეწლოვანი მარტოხელა დედა ქმნის ოჯახს, — რომელსაც ყველაზე მძიმე განსაკლელი, ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი ცხოვრება და ყველაზე მეტად ფათერაკანი გზა ელის დასავლეთის ცივილიზაციულ მდიდარ ქვეყნებშიც კი, რომ არა ვთქვათ რა განვითარებადი ქვეყნების თაობაზე („კურიერ იუნესკო“, 1979, II, 34).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის  
მიერ მოწოდებულ (1959 წ.) „ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში“ ნათ-  
ქვამია: „ბავშვი არ უნდა იქნას მიღებული სამუშაოზე, სანამ ის არ  
მიაღწევს სათანადო ასაკობრივ მინიმუმს; მას არავითარ შემთხვევაში  
არ უნდა დაევალოს, არც ნებართვა მიეცეს შეასრულოს ისეთი სამუშაო-  
ანუ საქმიანობა, რომელიც მავნე იქნება მისი ჯანმრთელობისათვის ანუ  
განათლებისათვის ან ხელს შეუშლის მის ფიზიკურ, გონებრივ ანუ ზნე-  
ობრივ განვითარებას“ (მეცხრე პრინციპი).

როგორც ვხედავთ, ჰეშმარიტად ოქროს სიტყვებია, რაც ცხადია, მსგავსად მრავალი სხვა ასეთი ღეკლარაციისა, დასავლეთის საზოგადოებებში, რომელთაც თავი მოაქვთ ანალოგიური მილუებით. ფრან

<sup>1</sup> „ბაკეშვის სფულებები“ პირველად მიღებული იყო ჭერ კიდევ 1924 წელს კევაში. 1979 წელს აღინიშნა ამ დეკლარაციის დამტკიცების (1959 წ.) 20 წლისთვის და ამასვე დაემთხვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1979 წელს ბაკეშვის საერთაშორისო წელიწადად გამოცხაობა.

დიდი ზომით რჩება „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. საკითხავია, გაგალითად, როგორ დაეხმარება დეკლარაციის ზემოდმოყვანილი „პრინციპი“ 10—15 წლის ასაკის გოგონებს, რომლებმაც მოასწრეს და უკვე გახდნენ დედები, თანაც უქმრო დედები. რომელთაც საკუთარი შრომით უნდა შეინახონ თავიანთი ოჯახები?...

ანდა, გაგალითად, იმავე დეკლარაციის მეოთხე პრინციპი, რომელიც ღალადებს: „ბავშვი უნდა სარგებლობდეს სოციალური უზრუნველყოფის სიკეთით. მას უნდა პქონდეს ჯანმრთელი ზრდისა და განვითარების უფლება; ამ მიზნით უზრუნველყოფილი უნდა პქონდეს სპეციალური მოვლა-პატრონობა და ცვა-ფარვა, როგორც მას აგრეთვე მის დედასაც, გშობიარობამდელი და მშობიარობის მერმინდელი მოვლის ჩათვლით. ბავშვს უნდა ეკუთვნოდეს ჯეროვანი ცების, ბინის, გართობისა და სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება“.

ეხება რა ბავშვის უფლების დეკლარაციის მიღების ოცი წლისთავს, ჩვენს მიერ ზემოთ ამოწერილი დეკლარაციის მეცხრე პრინციპი რომ მოჰყავს, ცნობილი პედიატრი პროფ. ფერნანდო მონკებერგ ბაროსი (ჩილი) წერს:

„...უნდა ვალიაროთ, რომ ბავშვთა უფლებები დიალაც რომ არაა მთლიანად დაცული და რომ ბავშვთა ფრიად დიდი რიცხვისათვის ისინი რჩებიან მარტოოდენ დეკლარირებულ პრინციპად... უშეველებელი დემოგრაფიული აფეთქების შედეგად, რასაც ვაკვირდებით მე-20 საუკუნეში, არასოდეს ადრე მსოფლიოში არ ყოფილა ესოდენ მრავალი ბავშვი, რომლებიც იტანჯებიან სიღარიბისა და ნაკლებებისაგან. არსებული გამოანგარიშებით ამჟამად მსოფლიოში 500 მილიონი ადამიანი, რომელთა უმრავლესობა ბავშვები არიან, შიმშილობს და კიდევ 2 მილიარდი მოკლებულია საკმაო საკვებს... შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დღეს მთელ მსოფლიოში ექვს წლამდე ასაკის ბავშვთა ნახევარი ამა თუ იმ ზომით იტანჯება ნაკლებებისაგან და საბოლოოდ საფრთხე ემუქრება მათს ჯანმრთელობასა და მთელი მათი გენეტიკური პოტენციალის განვითარებას. ეს ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ დეკლარაცია ბავშვების უფლებათა შესახებ მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში არსებითად ფარატინა ქალალდად რჩება“...

\* \* \*

ასეა თუ ისე, უახლესი მსოფლიო საზოგადოებრივობის ვითარებაში, როგორც ახალგაზრდობის, ბავშვების, ასევე საშუალო (მოწიფულთა) და ხანდაზმულთა თაობების სამი თაობის მდგრამარეობასა და ურთიერთმიმართებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნება.

ახალგაზრდობის პრობლემა ქართველი „სამოციანელების“ (თერგ-დალეულების) ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი ცენტრალური საგანი იყო. ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული მეთაური ილია ჭავჭავაძე ქვეყნის განვითარება-გარდაქმნის საქმეში უდიდეს როლს ანიჭებდა ახალგაზრდობას, იმ ახალგაზრდობას, რომელსაც შესწავლილი ჰქონდა სამშობლოს წარსული და თანამედროვე ცხოვრება, ე. ი. იკოდა საიდან მოდიოდა, სად იყო (რა კუთარებაში ცხოვრობდა) და, მაშასადამე, შეეძლო ცოდნოდა, თუ საით, რა მიმართულებით უნდა წასულიყო, წასძლოლოდა თავის ხალხს.

საქართველოში ლიტერატურული ხასიათის პირველი დიდი დიაპაზონის ბრძოლა ახალ და ძველ თაობას, მამებსა და შვილებს შორის გაიმართა ილია ჭავჭავაძის მიერ 1863 წელს უურნალ „საქართველოს მომბის“ გამოცემის დროიდან... ნ. ნიკოლაძე 1872 წ. წერდა: „...ვის არ ახსოვს ეს წელიწადი... როცა ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობასა — ე. ი. ახალი ცხოვრებისა და ძველი კაცობის, ე. ი. ძველ წესს და სჯულს შუა?...“ და იგი განაცრობდა: „...რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილ. ჭავჭავაძეს, ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“ და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მომბესა“ და „ცისკარს“ შუა, სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდულდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში!“<sup>1</sup>.

1860-იანი წლების შუაში საზღვარგარეთ მყოფმა ნიკო ნიკოლაძემ სპეციალური წიგნი უძღვნა რუსეთის ახალგაზრდობას: „მთავრობა და ახალი თაობა“<sup>2</sup>. ნ. ნიკოლაძე ახალგაზრდობაში ხედავდა რუსეთის საუკეთესო მომავალს, მიუხედავად იმისა, რომ „შინაური აღზრდის დამჩა-ლუნგებელი სისტემა და ამაზე არა ნაკლებ გამომაყეყნებელი სისტემა სასწავლებლებში გამეფებული აღზრდისა — ძალიან აღრე, ჩანასახშივე ჰკლავს თავისუფალი აზროვნების ყოველგვარ გამოსახულებას“<sup>3</sup>. — მიუხედავად იმისა, რომ „მთავრობამ გონიერი საზოგადოებრივი

<sup>1</sup> „კრებული“, 1872, № 10—12, ვრცელ იხ. პ. გუგუშვილი, ქართული ურნალისტიკა, 1941, ტ. I, გვ. 201—353.

<sup>2</sup> Правительство и молодое поколение, 1866, Женева. ცხადია, ეს იყ ცარისმის ცენტრულის გარეშე გამოცემა; იგი დაიბეჭდა აეტორის ფსევდონიმით: რომელი.

<sup>3</sup> ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, I, 1962, გვ. 323.

მოღვაწეობისათვის ახალგაზრდობას გზას მოუკრა<sup>1</sup>. მაინც. ნ. ნიკოლა-ძეს სწამდა რომ ის ახალგაზრდობა, „რომელსაც საშუალება ჰქონდა წაკითხა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერები“<sup>2</sup>, ქვეყნის მომავალი ცხოვრების სწორ გზს აიღებდა.

კიდევ უფრო ფართო ინტერესს იხენდა შემდგომი წლების, განსაკუთრებით 1880-90 წლების, ქართული პუბლიცისტიკა და მეცნიერება ახალგაზრდობის საკითხისადმი. ჩვენ აქ აღილი არ გვაქვს მისი ვრცელი განხილვისათვის, მაგრამ სანიმუშოდ, ვფიქრობ, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ ერთი სპეციალური ნაშრომის აზრს. მხედველობაში მაქვს მ. საღარაძის წიგნი ახალი თაობის შესახებ<sup>3</sup>. რამდენადაც მკითხველისათვის ეს ავტორი უცნობია, უნდა ითქვას, რომ მას ეკუთვნის ისეთი ნაშრომები, როგორიცაა, «Краткий очерк греческой философии», „უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა“ და სხვ.

მ. ი. საღარაძის მსჯელობის საგანია ის ახალი თაობა, „რომელთაც რაიმე მოღვაწეობით მიიქციეს ჩვენი საზოგადოების ყურადღება ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში“<sup>4</sup>. იგი უმთავრესად ეხება იმათ, „რომელნიც მოღვაწეობენ სალიტერატურო ანუ სამეცნიერო ასპარეზზე“. ესენია უმაღლეს სასწავლებლებში „ქურსდამთავრებული ახალგაზრდა კაცები, რომელთაც იურიდიულადაც და ზნეობრივადაც სრული უფლება აქვთ მიითვისონ ინიციატივა და მიმართვა ცხოვრების ყოველმხრივი მიმდინარეობისა“<sup>4</sup>.

დასახელებულ წიგნში იგი გადმოცემს შინაარსს თვეის სტატიისას, რომელიც 1890 წ. დაუბეჭდავს „ივერიაში“ (№ 257) და რომლის აზრი ისაა, რომ „საქართველოს საზოგადო მოძრაობა მეტად დაქვეითებულია“ და „უველანი: ვუჩივით ჩვენს ბედს, სასოწარკვეთილებაში ვართ ჩვენი მომავლის შესახებ“<sup>5</sup>. ხოლო ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობა ჩვენს იმედებს ვერ ამართლებს. „ჩვენი ცხოვრება მეტად უფერულია, მოკლებულია მხნეობასა და ძალას,... კერძო კაცით ნაყოფიერ მოქმედებას“... მაინც „მეტი რომ არა ვსთქვათ, ყველა რუსეთის უნივერსიტეტში ასამდე ქართველი სტუდენტი იქნება, რომელთა შორის ყოველწლობით ოც-ოცი კაცი მაინც ასრულებს კურსს. მართლაც და სახუმარო არ არის ეგ რიცხვი. ჩვენს პატარა ქვეყანას ოცის განათლებულის კაცის მიმატება ყოველს წელიწადში უეჭველად უნდა დაეტყოს. მაგრამ... ნასწავლი ახალგაზრდები ცხოვრებაში შესვლისთანავე ივიწყებენ თა-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, თხ. ტ. I, გვ. 365.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 323—324.

<sup>3</sup> მ. ი. საღარაძე, ჩვენი ახალი თაობა. კრიტიკული მიმოხილვა, 1897, ქუთაისი.

<sup>4</sup> მ. საღარაძე. ჩვენი ახალი თაობა, გვ. 7—8.

ვიანთ ზნეობრივ მოვალეობას და... ეძლევიან მდორე და უაზრო ცხოველებას. გათვის არ ასებობს... არც საზოგადო მოღვაწეობა“ და=სხვა

ამის მიზეზი ისაა, რომ „ახლანდელი სტუდენტობა დიდათ დაცემული და დაქვეითებულია“, ხოლო „სამოციანი წლების სტუდენტობა ბევრად წარჩინებული იყო ეხლანდელზე“, ისინი „დიდის ხალისითა და სიხარულით ეძლეოდნენ გონების განვითარებას, ტვინის ვარჯიშობას... სამოციანმა წლებმა ნათელი მოპონინა მთელს რუსეთს, ყოველი მხარე შინაგანი ცხოვრებისა განახლდა... მოისპონ ბატონყმობა, გავრცელდა სწავლა, დაარსდა უთვალავი უურნალ-გაზეთი, დამკვიდრდა ახალი მიმართულება მწერლობისა“... „სამოციანი წლებიდან იწყება ნამდვილი ცნობიერი ცხოვრება რუსეთის ერისა“<sup>2</sup>.

და რუსეთის უნივერსიტეტებში განათლებული ქართველი ახალგაზრდობა „სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გულმხურვალედ და წრდფელის სურვილით ეკიდებოდა ხალხის განათლების საქმეს, .... რაც შეადგენდა მაშინდელ უმთავრესს იდეალს“.

1890-იან წლებში, მდგომარეობა შეიცვალა. სამოციანი წლების სიხალე და სიხალისე უკვე დაცველდა განვლილ 30 წლის მანძილზე: „მაშინ სტუდენტი ცხოვრების ყოველმხრივის განახლების მოწმე იყო“; — „ეხლა კი სტუდენტი მაღალ აზრებს თავს ანებებს ... ჩევნი ცხოვრება ჯერ ფრთამოქვეცილი და დაქვეითებულია“... ამისთვის დაბადა ახლანდელ სტუდენტობაში რაღაც კრიტიკული შეხედულობა, იდეალების შედარება ნამდვილ ცხოვრებასთან...“. მაგრამ მაინც „აღარ არის სტუდენტთა შორის ერთობა, ამხანაგური თანხმობა, საზოგადო ინტერესების დაცვა... ჩევნი ქართველი სტუდენტობაც ასეთს მდგომარეობაშია“. გულსრულად არ ეტანებიან მეცნიერული ცოდნის შეძენას... არა ურთიერთისითვის აზრთა გაზიარება. „ყველა ერთი მეორეს ერიდება, თანდათან შორდება, რაღაც შურით შეჰყურებს, — ერთმანეთის დაცინვა და გაყიცხვა... საზოგადო მოვლენაა“, რასაც თან სდევს პარტიკულარიზმი, ინტრიგანობა<sup>3</sup>.

შემდეგ, იხილავს რა არსებულ მდგომარეობას, ავტორს მიაჩინია, რომ ქვეყნის მოწინავე ინტელიგენციამ, რაც იმდროინდელ საქართველოში უწინარეს ყოვლისა მწერლებისა და პუბლიცისტების სახით იყო წარმოდგენილი, „უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ახლანდელი სტუდენტობის მდგომარეობას, „გამოურკვიონ“ მათ „მომავალი ცხოვრების აზრი“ და ცხადია დაანახონ მათი როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში.

<sup>1</sup> მ. სალარაძე, დასახ. თხზ., გვ. 10—11.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 12—13.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 15—16.

ეს წერილი, როგორც ითქვა, გამოქვეყნდა 1890 წ., ხოლო ექვსი წლის შემდეგ დაბეჭდილ წიგნში, ეხება რა იმავე საკითხებს, მ. საღარმაულებელის მიაჩნია, რომ მას მერმე არავითარი განსაკუთრებული რამ ცვლილება არ შეიმჩნევა ჩვენს სტუდენტობაში. მერმე ეხება 1896 წ. იენისს ქუთაისში ჩატარებულ ინტელიგენციის კრებას, რომელსაც „თითქმის მთელი ეხლანდელი ჩვენი სტუდენტობა დაესწრო“ და რომლის მიზანი იყო ახალი გაზეთის გამოცემის ორგანიზაცია. სწორედ აქ გამოირკვა, ავტორის აზრით, რომ ამ „სტუდენტობის უმთავრეს მიმართულებას ისევ ძველი (1880-იანი წლების — 3. გ). პრინციპები შეადგენდა“<sup>1</sup>.

ქვემოთ იგი აღნიშნავს, რომ „ჩვენი ქვეყანა... მეტად დაქვეითებულია... ის, რაც სხვაგან დიდი ხნიდგან მოპოვებული და განხორციელებულია, ჩვენთვის მხოლოდ სანატრელია, — რაც სხვაგან მოძველებულია, ... ის ჩვენთვის უმთავრესი მისწრაფების საგანს შეადგენს...“ ჩვენთვის აუცილებელია ისეთი მოღვაწეობა, „რომელსაც შეუძლია მისცეს ცხოვრების მიმდინარეობას უფრო მართალი გზა“ (გვ. 23)... ასეთს ვითარებაში, მისი აზრით, პროგრესულია, რომ ახლა „ჩვენი სტუდენტობა შეუდგა ისტორიისა, ფილოსოფიისა, სოციოლოგიისა, პოლიტიკური ეკონომიკისა და სხვა ამგვარი საგნების შესწავლას, რომელთაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ გონიერების განვითარებაში“ (გვ. 25).

იმისათვის, რათა ვეზიაროთ ევროპის ცივილიზაციას, რაც ნელ-ნელა შემოდის ჩვენში, საჭიროა ცოდნა. „ჩვენ გვაკლია უწინარეს ყოვლისა ცოდნა, სწავლა-განათლება, რომელიც შეადგენს საფუძველს ყოველი რიგიანი მდგომარეობისა“ (გვ. 43) ცოდნა აუცილებელია კულტურის შესაძნად და ორივე ერთად — „ჩვენი მძლავრი და მდიდარი ბუნების დამორჩილებისათვის“, მაშასაღამე სილარიბისაგან თავის დაწევეისათვის.

შემდეგ (გვ. 49—126) ის იხილავს მე-19 ს. რეფორმისმერმინდელი ქართული მწერლობის, მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, პირველი დასის (სამოციანელების), მეორე დასის (ხალხოსნებისა) და მესამე დასის (მარქსისტების) მოღვაწეობის ზოგიერთ ძირითად მომენტს<sup>2</sup>, ეხება მათი გამოჩენილი წარმომადგენლების ნაწარმოებებს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მომენტებს, რაც სცილდება ჩვენი მსჯელობის საგანს. მისი სიმპათიები აშკარად ახალი თაობის, ე. ი. მესამე დასისკენაა მიმართული, რადგან მესამე დასის მწერლები „ნამდვილი პროგრესისტებია, ისინი ჩვენი ახლანდელი აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელნი არიან“ (გვ. 127) და ამასთანავე აკრიტიკებს

<sup>1</sup> გ. საღარაძე, დასახ. თხ., გვ. 19—20.

<sup>2</sup> შეადარე პ. გუგუშვილი, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივობაში, 1971, IV გამოცემა, გვ. 187—258.

ზოგიერთ დიპლომიან ახალგაზრდას, რომელთაგან ათვალისწიუნებულია მესამე დასელები, რადგან „ესენი უდიპლომო კაცები არიან“, და რომ დენადაც უმაღლესი განათლება არა აქვთ, ამიტომაც „ვითომისა უფლებაც არა აქვთ ბასი და მსჯელობა იქონიონ მაღალ აზრებზე და მეცნიერულ საგნებზე“ და დასკვნის, რომ „დიპლომი მარტო არ არის ახალდეს ნამდვილი ცოდნისა და კეშმარიტი განვითარების დამატების ბელი“<sup>1</sup>.

საერთოდ, მ. სალარაძის წიგნის, „ჩვენი ახალი თაობა“, აზრი ისაა, რომ ყოველი ახალი თაობა და, მაშასადამე, ახალი მოძრაობა, ახალი იდეები (ცოდნა) მე-19 საუკუნეში ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში ძეველდებოდა და უკვე ძველი იდეების მატარებლებს არ შეეძლოთ საზოგადოება, ქვეყანა წაეყვანათ პროგრესის გზით და რამდენადაც ისინი მაინც სათავეში რჩებოდნენ, ეს იწვევდა განვითარების დაბრკოლებასა და, მაშასადამე, ცხოვრების ჩამორჩენას, რომლის წინსვლისათვის აუცილებელია გზა გაეხსნას ახალ თაობას, ახალ ახალგაზრდობას, ახალ ცოდნას, ახალ მოძრაობას, ახალ იდეებს.

მ. ი. სალარაძის ამ ნაშრომის საერთო შეფასებისას მხედველობაში უნდა ეიქონიოთ, რომ იგი იხილავს და აფასებს კულტურულ და სოციალურ პირობებს და, კერძოდ, ახალგაზრდობის როლსა და მნიშვნელობას იმ დონეზე, იმ ვითარებაში, როდესაც მთელი საქართველოსათვის რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ასი სტუდენტი თვალსაჩინო მოვლენად ითვლებოდა, რამდენადაც ამ გზით ქვეყანა ყოველ წლიურად უმაღლესი განათლების მქონე 20 კაცს ღებულობდა!

#### 10. მიზანისა და ურგენტულობის გეზვნელობა

მიგრაცია მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ფენაზე უფრო მეტად ახალგაზრდობის „სენია“. ეს ყველაზე მკაფიოდ შეიმჩნევა იტალიაში, სადაც სამუშაო აღვილთა ზრდა დიდი ხნის მანძილზე და სისტემატურად ჩამორჩება შრომითი რესურსების აღწარმოების პროცესს. საგარეო ემიგრაციის მხრივ იტალია შეიძლება კლასიკურ ქვეყნად მივიჩნიოთ. იტალიელი ეკონომისტის პ. ჩინანის (P. Cinanni, 1973) ვარაუდით 1870—1970 წწ. სამუშაოს საძებნელად საშუალოწლიურად იტალიიდან გადიოდა 270 000 კაცი, ხოლო სულ ასი წლის მანძილზე, დაახლო-

<sup>1</sup> მ. სალარაძე, დასახ. წიგნი, გვ. 125—126. ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერებულაკეთა კეთილშობილური ვალია დაწერონ გამოკვლევები, მაგალითად, თემაზე: ქართული პუბლიცისტია, ანუ ქართული საზოგადოებრივი აზრი ახალგაზრდობის შესახებ, რასაც ჩვენ აქ მხოლოდ მის ამოსავალ საწყისებში და საკითხის დასმის წესით ვეხებით.

ებით — 27 000 000 წავილა. ამასთანავე 1972 წელს საზოგადოგარეთ კხოვრობდა 6,5 მლნ. იტალიელი. ემიგრაციის გამო იტალია კარგად მუშაბალის საუკეთესო ნაწილს, დიდ „მწარმოებლურ სიმდიდრეს“, რამდენადაც ემიგრაციაში მიღიან უმთავრესად ახალგაზრდა ვაჟები და საერთოდ 16—45 წლის ასაკისანი, რაც, ამასთანავე, იწვევს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დაძაბუნებას. ქვეყანაში რჩებიან და ჭარბობენ ქალები, მოხუცები, ბავშვები — ეკონომიკურად არააქტიური და ნაკლებად აქტიური მოსახლეობა.

მიგრაცია არა მხოლოდ დემოგრაფიული და ეკონომიკური, არამედ ამასთანავე უაღრესად პოლიტიკური და სოციოლოგიური მოვლენაა, რაც მასობრივი ხასიათის მიღებისას გავლენას ახდენს საზოგადოების მდგომარეობის თითქმის ყველა მხარეზე.

მიგრაციის რაციონალური და გეგმაზომიერი მოწესრიგება მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების სინამდვილეში შეიძლება.

სსრკ შრომითი რესურსების ფორმირებასა და რაციონალურ გამოყენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიგრაცია. ა. ტომილინის გამოკვლევით სსრ კავშირში 1959—1972 წწ. საშუალოწლიურად აღგილს იცვლის დაახლოებით 12 000 000 კაცი, მთელი მოსახლეობის დაახლოებით 5 %. მათ შორის 9 მილიონის მიმართულებაა: ქალაქიდან — ქალაქში (4,4 მლნ.), სოფლიდან — ქალაქში (3,1 მლნ.) და ქალაქიდან — სოფელში (1,5 მლნ.), ხოლო 3 მილიონისა სოფლიდან — სოფელში. ამასთანავე სხვადასხვა რესპუბლიკაში მიგრაციის ინტენსივობა სხვადასხვანაირია (ყაზახეთში — 5,7 %, ხოლო სომხეთში კი — 1,6 %)! მიგრაცია მოსახლეობის მატებაში მაინც გარევეულ როლს ასრულებს ისეთ რესპუბლიკებში, როგორიცაა მოლდავეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი, სადაც შრომითი რესურსებისა და შობადობის მაღალი ინტესივობის მიხედვით — ანდა საქართველოში, სადაც შრომის რესურსების მიხედვით არ საჭიროებენ ანდა ნაკლებად საჭიროებენ შემოსულ მუშახელს; ამ რაიონებში გარედან მუშახელის შემოსვლა აძნელებს აღგილობრივ მკვიდრათა შრომამოწყობას, რაც მიუთითებს ამ მხრივ სახელმწიფოებრივი მოწესრიგების აუცილებლობაზე<sup>2</sup>.

საერთოდ, ჩვენს სოფლის მეურნეობას კიდევ გააჩნია მუშაბალის რეზერვები, რომელთა გამოყენება შეიძლება საზოგადოებრივი წარმოების სხვა დარგებში, მაგრამ ამჟამად მიზანშეწონილია სოფლიად დარჩეს, მაგალითად, ახალგაზრდა მექანიზატორთა კადრები, რომელთაც შეეძლებათ წარმატებით აითვისონ სოფლის მეურნეობრივი წარმოებისათვის გამოყოფილი უახლესი ტექნიკა და, მაშასადამე, მკვეთრად გააღიდონ

<sup>1</sup> А. Топилин, Территориальное перераспределение трудовых ресурсов в СССР, 1975, стр. 34—41.

<sup>2</sup> Журн. «Плановое хозяйство», 1975, № 12, стр. 136.

ესოდენ საჭირო პროდუქციის წარმოება. ეს თუცილებელია სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებისთვისაც. ცნობილია, რომ 1959 წ. ოლწერით 20—29 წლის ახალგაზრდობა სსრ კუშის შეადგენდა 16,7 %, ხოლო 1970 წლის ოლწერით კი მისი ხედროთი წონა შეცმირდა 9,6 %-მდე.

მიგრაცია, როგორც გეოგრაფიულ სიერცეში ადამიანთა მდგომარეობის შეცვლა, მოცემული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ერთობლიობიდან სამუდამო ან დროებითი ადგილგადანაცვლება სხვა ვითარებაში — უკეთესი ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის მიზნით, მართალია, საერთოდ მოსახლეობის, მაგრამ უპირატესად სოფლიდან ქალაქი-საკენ მისწრაფებული მობილური ახალგაზრდობის დამახასიათებელი მოვლენაა.

ანკეტური მონაცემებით აქ უმთავრესად ხუთი ძირითადი მოტივია გამოიყოფა: 1. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების წაიდილი; 2. პროფესიის შეძენის სურვილი; 3. შრომის პირობების შეცვლის საჭიროება; 4. სწავლის გაგრძელებისა და 5. კულტურულ-ყოფიერებითი პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა<sup>1</sup>.

ამასთანავე მიგრაცია, შეიძლება ისჭვას, თაობათა ურთიერთდამოყიდებულების ერთ-ერთი შემანელებელი ფაქტორიც არის.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ურბანიზაციის პროცესის ისეთი დაჩქარება, რასაც ზოგიერთი ბურჟუაზიული დემოგრაფი „ურბანისტულ აფეთქებას“, ანუ „ურბანიზაციულ აფეთქებას“ („The urban explosion“) უწოდებს; ტ. ელკინსის (T. Elkins) დახასიათებით თანამედროვე მსხვილი ქალაქის მცხოვრებნი, სარგებლობენ რა უმეტესი ნივთიერი და კულტურული დოვლათით, ცხოვრობენ დაძაბულ ვითარებაში და გარესამყაროც მათზე დეპრესიულ გავლენას ახდენს. კერძოდ, დას. ევროპის („ქალაქების მიწაზე“), აშშ და იაპონიის მსხვილი ქალაქები წარმოიქმნენ, როგორც ქალაქური აგლომერაციის ცენტრები, რაც მოსახლეობის დიდ ნაწილს, 80—90 %, ქალაქური ცხოვრების შესაძლებლობას აძლევს.

ასეთ ვითარებაში, ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის ახალ პირზებში, ტრანსპორტის უახლესი საშუალებები (ელექტრონის საგარეუბნო რკინიგზები, ავტომობილიზაცია და სხვ.) შესაძლებლობას იძლევა ქალაქის მუშა-მოსამსახურე დარჩეს თავის სოფელში, რომელიც თანდათან მუშათა დასახლებად იქცევა. დიდი ქალაქები თავის ყაიდაზე აწყობენ (აორგანიზებენ) მთელ რიგ გარეუბნებს, რომლებიც სულ უფრო ქალაქური ხდებიან.

თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის დარგებში დასაქმებულობათა

<sup>1</sup> Староверов, Социально-демографические проблемы деревни, М., 1976.

შემცირებაც ხელს უწყობს ქალაქური ყოფიერების გავრცელებას სოფ-  
ლებში.

ამასთანავე ბავშვთა მოკვდაობის შემცირება, ჯანდაცვის პირობათა  
გაუმჯობესება, მიგრაცია და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპის  
გაძლიერება იწვევს ქალაქის მოსახლეობის გაახალგაზრდავების ტენ-  
დენციის გაძლიერებას და ეს მაშინ, როდესაც ქალაქებში ცხოვრობს  
მთელი კაცობრიობის დაახლოებით ორი მესამედი.

პერსპექტიულ ასპექტებში აქ გასათვალისწინებელია ის გარემოე-  
ბაც, რომ შრომაუნარიან, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერ-  
თო რიცხვში თანდათანობით იზრდება დაქირავებული შრომით დასაქ-  
მებულთა ხვედრითი წონა. დაქირავებით დასაქმებულთა შორის შემ-  
ცირდება გონებრივი დარგის იმ მუშავთა ხვედრითი წონა, რომლებიც  
აღრიცხვისა და კონტროლის სფეროში მუშაობენ, — იმ ზომით, რა ზო-  
მითაც განვითარდება ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, კომპი-  
უტერთა, გამოყენება!. ასევე გადამუშავებითს მრეწველობაში დასაქმე-  
ბულთა ხვედრითი წონაც შემცირდება წარმოების მექანიზაციისა და  
ავტომატიზაციის შესაბამისად. მაგრამ ყველაზე მეტი ზომით მოსალოდ-  
ნელია სოფლისმეურნეობრივი წარმოების დარგებში დასაქმებულთა  
ხვედრითი წონის შემცირება — შრომის მწარმოებლურობის გადიდები-  
სა და, მაშასადამე, მექანიზაციის გაფართოების, სასუქების გამოყენების  
გაძლიერებისა და იმ ღონისძიებათა გატარების შედეგად, რასაც ერთობ-  
ლივად „მწვანე რევოლუციას“ უწოდებენ. ყველაზე მეტად გაიზრდება  
მომსახურების დარგებში დასაქმებულთა რიცხვი და მოთხოვნილება  
უმაღლესი განათლების სპეციალისტებზე, რაც, თავის მხრივ, გა-  
მოიწვევს უმაღლესი განათლების მიღების ადმინისტრაციას ან-  
ალგაზრდობის მისწრაფების შემდგომ გაძლიე-  
რებას. ეს მოვლენები კი უშუალო კავშირშია მუშაობა პროფესიული  
და გეოგრაფიული მობილურობის ზრდასა და, მაშასადამე, შრომის  
გამოცვლის მასშტაბის გაფართოებასთან.

მაგრამ ურბანიზაცია მარტოდენ სოციოლოგიური და გეოგრაფი-  
ული მოვლენა როდია. ის ამასთანავე არის პოლიტიკური ცხოვრების  
გააქტიურების და ეკონომიკური ზრდის დაქარგების მომასწავებელი  
დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რაც სიღრმისეულ ცვლილებებს იწვევს  
წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროებში. საქმე

<sup>1</sup> ბელგიელი მეცნიერი (ლუვენის კათ. უნივერსიტეტი) ამტუიცებს, რომ ეკმ, საერთოდ ინფორმაციის გადამუშავების ახალი ტექნიკა სულ მაღლე გამოიწვევს მთელ რევოლუციას მართვისა და გეგმიანობის სფეროში დასაქმებულ ადამიანთა საზო-  
გადოებრივი სტატურის, კვალიფიკაციის, ხელფასის, შრომის ხასიათის და თვით  
მართვისა და გეგმიანობის აუთენტურობისა და, მაშასადამე, სოციალური ფასეულო-  
ბის თვალსაზრისით.

ისაა, რომ, რაც უფრო ვითარდება და ფართოვდება ქალაქური ცხოვრება, მით უფრო იცვლება გადამუშავებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქტებზე მოთხოვნილების თანაფარდობა. მაგალითად, სულ უფრო მცირდება ხორბლის, სიმინდისა და, საერთოდ, მარცვლეულის, როგორც მასობრივი მოთხოვნილების საქონლის (მიწათმოქმედების პირველადი პროდუქტების) მყიდველთა რაოდენობა და იზრდება ფქვილეულის (მეორადი) და კიდევ უფრო მეტად გამომცხარი პურეულის (მესამეული პროდუქტების) მყიდველთა რიცხოვნობა.

მაგრამ ზოგიერთი ბურუჟაზიული მეცნიერის აზრით, რაც უფრო უახლოვდება საზოგადოება ნივთიერ დოვლათა სიუხვით გაჯერების წერტილს, მით უფრო ის, რაც „წინათ ფუფუნებად ითვლებოდა, ახლა აუცილებლობად იქცევა“ და, მაშასდამე, კიდევ ახალი გზა გაიხსნება მომსახურების სფეროს გაფართოებისათვის, რაც უპირატესად ახალგაზრდობის დასაქმებულობის სარბილს წარმოადგენს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეოხებით ხელს უწყობს ახალ ნიუთებზე მოთხოვნათა ხელოვნურ გაძლიერებას.

სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობას შორის კავშირის გაძლიერების საფუძველია კავშირგაბმულობის საშუალებათა, მაგალითად, ავტომობილის მრეწველობის საოცარი განვითარება. ცნობილი გერმანელი ეკონომისტი ჰორსტ ვაგნენფიური (H. Wagenführ) გთქ ეკონომიკის 2000 წლამდე განვითარების პროგნოზისადმი მიძღვნილ ნაშრომში უჩვენებს, რომ ამჟამად გფრ-ში, ამა თუ იმ სახით, ავტომობილის მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა უფრო მეტია, ვინემ სოფლის მეურნეობის წარმოებაში მომუშავეთა რიცხოვნობა. გოეთე ამბობდა: „თუ გლეხს აქვს ფული — იგი აქვს მთელ ქვეყანასაო“; პ. ვაგენფიური ამბობს: „თუ ადამიანებს აქვთ ავტომობილი — მთელ ქვეყანას აქვს ფული“. ავტომობილიზაცია, როგორც ყველაფრიდან ჩანს, კიდევ უფრო განვითარდება და მასობრივი განვითარება, რასაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არასამუშაო (თავისუფალი) დროის გადიდება. იგივე ავტორი ვარაუდობს: თუ გფრ-ში 1968 წ. სამუშაო კერძა 48 საათს უდრიდა, 1985 წ. მისი ხანგრძლივობა იქნება 30 საათი — რეა საათიანი ოთხი სამუშაო დღემეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და დასაქმებულობის ყველა სფეროში შრომის მწარმოებლურობის ზრდა და თვით ამ ზრდის აუცილებლობა გადალახავს საწარმოთა ბიუროკრატიული მართვის არსებულ სისტემას და, თვით მუშათა ინიციატივის სულ უფრო გაძლიერების ვითარებაში, გადიდდება თავისუფალი და მოცალეობის დროის საერთო ბიუტი.

ამერიკულ სოციოლოგიაში დიდი ხანია რაც მიდის დისკუსია ურბანიზმის, ქალაქური ცხოვრების თავისებურებათა შესახებ. ბურჟუაზიული მეცნიერები გ. ზიმელი, პ. პარკი, ლ. ვირტი და სხვები ქალაქებში

მოსახლეობის კონცენტრაციის უკავშირებენ მცხოვრებთა შორის უცხოურობის, დეზორგანიზაციის, ანომიის, ნორმებიდან გადახვევის მოვლენებს. მოპირდაპირენი კი ფიქრობენ, რომ ეკოლოგიური ფაქტორები (მოსახლეობის სიდიდე და სიმჭიდროვე) თავისთავად არა თუ არ იწვევენ ხსნებულ მოვლენებს, არამედ პირიქით, განამტკიცებენ პირად ფავშირებს.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფ. კლოდ ფიშერი (C. Fischer) ურბანიზმის თეორიის შესახებ თავის ახალ ნაშრომში (1975 წ.) ცდილობს მთარიგოს სხენებულ დაპირისპირებულ შეხედულებათა ავტორები, რამდენადაც იგი აღიარებს როგორც ეკოლოგიური, ასევე არაეკოლოგიური ფაქტორების როლსა და მნიშვნელობას: რაც უფრო მეტი მოსახლეობაა თავმოყრილი მოცემულ პუნქტში, მით უფრო ქალაქურია იგი და მით უფრო მეტი რაოდენობითა და ზომითაა იქ ნაკლებად ურბანიზებულ საზოგადოებაში დადგენილ „ნორმებიდან“ გადახვევები და უცხოურობანი ზნე-ჩეულებებში, კანონებში, მანერებში, მოდებში.

კ. ფიშერი ამტკიცებს: 1. რაც უფრო შორს მიდის ურბანიზაცია, მით უფრო ძლიერია სუბკულტურების, როგორც საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამახასიათებელი ნორმების, წეს-ჩვეულებათა და წარმოდგენების ერთობლიობის ურთიერთგავლენა. ეკოლოგიური ფაქტორი, როგორიცაა მოსახლეობის ზრდა, იწვევს მოცემული დასახლების სტრუქტურულ დიფერენციაციას, რაც აძლიერებს მის ურბანიზებულობას და სწორედ ამით იგი ხდება სხვა დასახლებათა მიზიდულობისა და, მაშასა-დამე, მიგრანტთა მისწრაფების ცენტრი; 2. ურბანიზაცია აძლიერებს სუბკულტურებს — ეს ანტიანომური ეფექტია; 3. რაც უფრო ძლიერია ურბანიზაცია, მით უფრო ინტენსიურია დიფუზია სხეადასხვა კულტურათა შორის, რასაც შეუძლია განმაახლებლის როლი შეასრულოს; 4. მაშასადამე, რაც უფრო მაღალია ურბანიზებულობა, მით უფრო მეტია გადახვევები საერთოდ მიღებული ნორმებიდან. ქალაქებს სწორედ ის უნდა, რათა „განსხვავდებოდნენ საშუალო სტანდარტისაგან“; 5. ამის გამოა, რომ პიროვნებათა დონეზე ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება არ ისპობა. ქალაქებს ყოველთვის შემოაქვთ ახალი ნიმუშები, ხოლო სოფელები (პერიფერია) მოგვიანებით ღებულობს მას. ასე იყო, ასე იქნება.

კ. ფიშერს, სხვა რომ არა ვთქვათ, ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტო-  
რი სულ გამორჩა: ახალგაზრდობის მობილურობის ზრდადი ტემპი და,  
მაშინადამე, მიგრაცია სულ უფრო აჩქარებს კონტაქტებს და, ამგვარად,  
ამოკლებს დაგვიანების ფენომენს.



ჭერ კიდევ არის ტოტელი წერდა: ახალგაზრდობის უკველებელი შეცდომა იქიდან გამომდინარებს, რომ ცველაფერს, რასაც ისინი აკონტებენ, აკეთებენ უზომოდ, გადამეტებულად და ვნებიანად. ცველა მათ მოქმედება აღინიშნება ამ გადამეტებულობით — მათ ფრიად გადამეტებით უყვართ, ფრიად გადამეტებით სძულთ და ასეა სხვა ცველა-ფერში“.

ახალგაზრდობის ემოციური „გადამეტებულობის“ ეს დახასიათება ხშირად და არსებითად ახლაც ძალაშია. შავი — ახალგაზრდობისათვის „ყველაზე შავია“, თეთრი — „ყველაზე თეთრი“. ასეთი გადამეტებულობის მიმართულია არა მხოლოდ არსებული საზოგადოებისა, არამედ აგრეთვე თვით ახალი თაობისადმი.

კითხვაზე „მოგწონთ თუ არა ოქვენი თაობა“, საბჭოთა ახალგაზრდობის სოციოლოგთა მიერ შესწავლილი ჯგუფების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უარყოფითი პასუხი გასცა, ე. ი., უნდა ვიფიქროთ, რომ განათლებულობა ზრდის კრიტიკული მიდგომის ხარისხს.

ქალაქელი საბჭოთა ახალგაზრდობის 60—80%-ს საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიზნად აქვს უმაღლესში შესვლა. რამდენადაც ზოგიერთ ფაკულტეტში 1 ადგილზე 10—15 მსურველია, ცხადია, დანარჩენში ამა თუ იმ ზომით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა იბუდებს. მათი ნაწილი შემდეგი წლისათვის ემზადება, ნაწილი სხვა სპეციალობაზე მიდის ან სულ ემშეცდობება ამ წადილს... ამიტომა, რომ სტუდენტთა გარკვეული პროცენტის პროფესიული ორიენტაცია არამყარია, საკმაოდ მერყევია.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოცნებობს მეცნიერულ კარიერზე, რომელთაგან მხოლოდ მცირენი ახერხებენ ამას, ხოლო დანარჩენის რეაქცია არსებული ვითარებისადმი ნეგატიურ ხასიათს ლებულობს.

პროფესიული ორიენტაციის მესაჭისათვის აუცილებელია ცხოვრებისა და მეცნიერების უახლეს მიღწევათა გათვალისწინება, კიდევ მეტი, — პროგნოზისტული და გეგმურობის მიხვედრილობანი და განკვერტანი. მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკურმა (ინდუსტრიულმა) რევოლუციამ გამოიწვია არა მხოლოდ მეცნიერული ცოდნის მასშტაბის დიდი ზრდა, არამედ, ამასთანავე, მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეიტანა თეოთ სტილში მეცნიერული აზროვნებისა, რომელშიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ — მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური ფაქტორები.

მეცნიერების განვითარების დღევანდელ კითარებაში აუცილებელია საზოგადოებრივი შემეცნების სტრუქტურაში სულ უფრო ინტენსიურო ყურადღება მიექცეს ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ პრობლემებს, ხოლო სოციალური შემეცნების აზრი ისაა, რომ იგი უნდა სწავლობდეს ადამიანთა პროფესიულ საქმიანობას (მოღვაწეობას), რაც სოციალური რეალურობის (სინამდვილის) არსებობის წესში ელინდება.

პროფესიული ორიენტაცია მომავლის კონკრეტული ხედების (დასახვის, წარმოდგენის) რეალიზაციის სახით ხორციელდება და მისი დაგეგმვა და პროგნოზი არსებითად კადრების მომზადების ღონისძიებათა სისტემაშია მოქცეული. პროგნოზი, ამ შემთხვევაშიც, როგორც ზოგადი ხასიათის გამოცხადება — ისაა, რაც, განსაზღვრული სივრცისა და დროის ფარგლებში, შეიძლება მოხდეს მომავალში, ხოლო გეგმა — რაც უნდა მოხდეს (გაკეთდეს), — მაგრამ ის, რაც უნდა მოხდეს, წარმოდგენილია არა ფატალური აუცილებლობის, არამედ როგორც საზოგადოების მიერ შეგნებულად დასახული, მეცნიერულად დასაბუთებული მიზნის რეალიზაცია... ადამიანის პირადი (კერძო) მიზანი მით უფრო განხორციელებადია, რაც უფრო მეტადაა იგი კორდინირებული საზოგადოებრივ (სახელმწიფოებრივ) ინტერესებთან.

ცხადია, ახალგაზრდობის მოძრაობაზე, სადაც არ უნდა იყოს ის, გარკვეულ გავლენას ახდენს მოცემული ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა. ქვეყნის ხელმძღვანელობა ყოველთვის ცდილობს მას მისცეს სასურველი მიმართულება და ამიტომ, გასაგებია, რომ ამ მოძრაობის ნამდვილი მიმართულებისა და მექანიზმის გამოკვლევა და, ბოლოს, თვით ამ გამოკვლევათა ობიექტურობა სხვადასხვა ქვეყანაში, დემოკრატიული თუ პოლიციური სახელმწიფოს ვითარებაში, სხვადასხვანაირია.

ზოგიერთი ქვეყნის ახალგაზრდობა უარყოფითად აფასებს საერთოდ არსებულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სისტემას და თავიანთი მშობლების ყოფიერების ნორმებს თვლის „მოხუცებულთა დაწინავეობად“, ხოლო თავის თავს — ახალ და მაღალ ფასეულობათა შემქმნელად და მატარებლად.

ახალგაზრდობა ხედავს, რომ თითქმის ყოველი მთავრობა, ყოველი სახელმწიფო, ყოველი საერთაშორისო ორგანიზაცია აშკარად გამოდის ომის წინააღმდეგ, საყველოთა მშვიდობის სასაჩვენებლოდ და მაინც არაა გამოჩიტული ომები. სწორედ ამიტომ ახალგაზრდობა სკეპტიკურად უყურებს „არქაული“ ცხოვრების ნორმათა დამცველების ამ განცხადებას და ბრალს სდებს მათ ცბიერებასა და ორპირობაში.

მაღალინდუსტრიული ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც, ბურჟუაზიულ სოციოლოგთა აზრით, ხასიათდება კაპიტალისა და ტექნიკის ორგანიზებული გამოყენებით, ახალგაზრდობისათვის ვერ ქმნის

იმ „ესთეტიკურ საწყისებს“ (როგორც ამას აცხადებს მერიკული კულტურული ნომისტი ჯონ გელ ბრეითი), რომელსაც შეუძლია აღამიანერი მოღვაწეობის სხვადასხვა სახეობის გაკეთილშობილება.

ესთეტიკა — ეს ხომ მეცნიერებაა მშვენიერებასა და იმ გრძნობის შესახებ, რასაც ის იწვევს აღამიანში. ესთეტიკურ საწყისს წარმოადგენს ყოველივე ის, რაც მექანიზებული ცხოვრების ჩარჩოებში არ ეშევა, ყოველივე მოულოდნელი, საოცარი, საკირველი და არაჩვეულებრივი (ფილოსოფიური გაგებით), რაც ამჟამად მსხვერპლად ეწირება „მომხმარებლობის ტექნოლოგიის“ საჭიროებას. ამჟამად ცხოვრების ყველა მხარე უნდა დაემორჩილოს ტექნოლოგიას, რომელიც ყველას და ყველაფერს ანიჭელირებს ერთი შაბლონის მიხედვით და ქმნის თავის „კონფორმისტულ მშვენიერებას“.

მაგალითად, ჰიპები (Hippy) ელოლიავებიან ყვავილებს, ბუნებასა და სიყვარულს, აცხადებენ ადამიანურ ურთიერთობათა თავისუფლებას და ქცევათა უანგარობას, მხარს უჭერენ თემობრივ (ჯუფურ) ცხოვრებას და გამოდიან ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალდატანების წინააღმდეგ. ისინი უარყოფენ ყველაფერს, რაც ვლინდება დაქვემდებარების ნორმების სახით: მუშაობას, კარიერას, ტანისამოსის სტანდარტს და სხვ. ეს ჰიპები, ფიქრობენ, შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყოფილ წრეებში.

ერთ-ერთი მიზეზი ახალგაზრდობის მოძრაობის ზემოხსენებული სახით გამოვლინებისა შესაძლოა იყოს ის, რომ თანამედროვეობა, ტექნიკისა და საერთოდ ბუნებათმეცნიერების განვითარების ფრიად დიდ ღონისძიებათა ასპექტში, ნაკლებ ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივ მეცნიერებებს და შეუსწავლელი რჩება სილრმისეული სოციალური მოვლენები, რომლებიც წარმოიშობიან და ვითარდებიან ინდუსტრიული რევოლუციისა და სწრაფი ტექნიკური პროგრესის პირობებში.

ახლანდელ მშრომელ მოსახლეობას, საერთოდ, და საკუთრად ახალგაზრდობას ბევრად უფრო მეტი თავისუფალი და, კერძოდ, მეტი მოცალეობის დრო აქვს, ვინემ წინააღმდელს.

ახლა, თუ ამასთანავე ინფორმაციისა და, მაშასადამე, ცნობიერების განვითარების უახლეს საშუალებებს გავითვალისწინებთ, აშეარა გახდება, რომ ახალგაზრდობას დიდი დრო აქვს თავისუფალი ფიქრისა და ოცნებისა, განსხისა და კრიტიკისათვის.

ასეთ ვითარებაში ხდება სულიერი კულტურის ფასეულობათა გადაფასება და ეს პროცესები მიმდინარეობს მსოფლიო შეურნეობის, მსოფლიო კომუნიკაციებისა და, საერთოდ, ცნობათა გავრცელების უახლეს საშუალებათა პირობებში, რაც, თავის მხრივ, არ შეიძლება ხელს აზურპობდეს მსოფლიო ახალგაზრდობის ურთიერთგაგების, ცნობათა გაზიარებისა და სოლიდარობის ჩასახვასა და განმტკიცებას მიუხედავად.

იმ სოციალურ-პოლიტიკური განსხვავებებისა და სასაზღვრო კორდონებისა, რაც სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის არსებობს.

ახლა საჭიროა რამდენიმე კონკრეტული მაგალითი მოვიყვანოთ, კერძოდ, საქართველოს სსრ ახალგაზრდობის პროფესიული ორენტაციის საკითხებზე.

საჭუალო სკოლა ამჟამად დასაცლეთისა და აღმოსავლეთის თითქმის ყველა ინდუსტრიულ, ე. ი. მაღალი ცივილიზაციის ქვეყანაში, იძლევა არსებითად ნედლ მასალას, რისგანაც მზადდება სახალხო მეურნეობისათვის მაღალი კვალიფიკაციის კადრები, რომელთა ხვედრითი წონა ყოველდღიურად იზრდება და, შესაბამისად ამისა, მცირდება დაბალი კვალიფიკაციისა და არაკვალიფიციურ მუშაյთა რაოდენობა, პროფესიული განათლების არამქონეთა რიცხოვნობა.

ასე, მაგალითად, მუშა-მოსამსახურეთა საშუალოწლიური რიცხოვნობა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უდრიდა: 1940 წელს 494.000, და სამი ათეული წლის შემდეგ, სახელ-დობრ, 1969 წ. — 1.432.000;

მათ შორის უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტთა რიცხვი შეადგინდა 1940 წელს 67.000 და 1970 წ. კი — 322.000.

აღებული პერიოდის 30 წლის მანძილზე რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა (1939 წ.—3. 540.000 და 1969 წ.—4.640.000) გაიზარდა დაახლოებით 30%-ით, ე. ი. 1/3-ით, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა სახალხო მეურნეობაში თითქმის — 300%, ე. ი. 3-ჯერ, უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მუშაյთა რიცხოვნობა — თითქმის 500%-ით, ე. ი. 5-ჯერ.

მათ შორის უმაღლესი განათლების სპეციალისტთა რიცხოვნობა (1940 წ. 33,9 ათასი, 1969 წ. — 184, 5 ათასი) თითქმის — 600%-ით, ანუ 6-ჯერ.

ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებენ კულტურული განვითარების როგორც მაღალი ტემპის, ისე ხარისხის შესახებაც.

მაუხედავად იმისა, რომ ზოგადი საშუალო განათლების სკოლა იძლევა, ასე ვთქვათ, არასაესებით მზა პროდუქციის, იგი საბოლოოდ მაინც განსაზღვრავს (უნდა განსაზღვრავდეს!) სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების მიმართულებას.

საქმე ისაა, რომ სკოლა უშუალოდ პასუხისმგებელია ბავშვისათვის იმ ცოდნათა და წარმოდგენათა წინასწარი გადაცემა-გაზიარებისათვის, რაც ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მოწიფულთა შრომითი მოვაწეობისა და მორალური, ზნეობრივი, ფიზიონომიის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

დაწყებითი და საშუალო სკოლა — ესაა, ოჯახის შემდეგ, პირველადი სოციალური და ამასთანავე სპეციალური გარემოცვა ფორ-

მირების ორბიტაში შეშვებული ბავშვისათვის — მომავალი ადამიანისა და მოქალაქისათვის, — ოოგორც მატერიალური, ასევე ზენებრივი, სულიერი ცხოვრების სფეროში ყველა სოციალური ინსტიტუტის მომავალი მშენებლისათვის.

მოვიყვანთ კიდევ ზოგიერთ საილუსტრაციო მასალას სახალხო განათლებისა და მეცნიერების განვითარების ტემპების შესახებ.

მოსწავლეთა რიცხოვნობა ყველა სახის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მილიონობით უდრიდა<sup>1</sup>:

	1940/41	1979/80 წწ.	მატება % -ით
საქართველოს სსრ	0,8	1,0	25,0
აზერბაიჯანის სსრ	0,7	1,6	128,6
სომხეთის სსრ	0,3	0,6	100,0
მაგრამ კიდევ უფრო საყურადლებოა მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ მოსახლეობის 10 000 სულზე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხოვნობის დინამიკას: 1940/41 წწ. 1979/80 წწ. მატება % -ით			
საქართველოს სსრ	77	170	121
აზერბაიჯანის სსრ	44	172	291
სომხეთის სსრ	82	178	120

არანაკლებ მნიშვნელოვანია მონაცემები მეცნიერმუშავთა რიცხოვრიობის დინამიკისა (ათასობით):

	1940 წ.	1979 წ.	მატება
საქართველოს სსრ	3,5	25	7-ჯერ
აზერბაიჯანის სსრ	1,9	22	11-ჯერ
სომხეთის სსრ	1,1	18	17-ჯერ

საქართველოს სსრ საშუალო სკოლებში სასწავლო წლის დასაწყისისათვის ირისცებოდა (ათასობით):<sup>2</sup>

წლები	მოსწავლეთა რიცხვი	მატება ჯერადობით	მოსახლეობის რიცხოვნობა	მატება პროცენტობით
1914/15	19,1	—	2601(1914)	00,0
1940/41	388,9	20-ჯერ	3540(1939)	36,1
1970/71	783,3	41-ჯერ	4686(1970)	80,2
1975/76	799,8	42-ჯერ	4965(1976)	90,9
1979/80	776,3	41-ჯერ	5042(1980)	96,0

<sup>1</sup> ХХ СССР в 1979 г., 1980, М., 498.

<sup>2</sup> ХХ ГССР за 60 лет, 1980, Тб., стр. 237.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, აღებულ პერიოდში, მოსახლეობის საერთო რიცხვოვნობის ზრდასთან შედარებით განცხომლად უფრო სწრამია. ფირ მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის ტემპი. თუ 65 წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხვოვნობა გაიზარდა 96 პროცენტით, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განხორციელებული კულტურული რევოლუციის შედეგად მოსწავლეთა რაოდენობა გადიდა 41-ჯერ და დიდი ხანია, რაც რესპუბლიკა მთლიანად წიგნიერების ქვეყნად იქცა.

ჩვენი სახელმწიფო, როგორც ცნობილია, აუარებელ ხარჯებს ეწევა როგორც საერთოდ სასწავლებლების, ისე კერძოდ უმაღლესი სასწავლებლების, მ. შ. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და, მაშასადამე, პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის, საერთოდ პროფესიული განთლების გავრცელებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთოდ წიგნიერების, კულტურის განვითარებაში მიღწეული უდიდესი წარმატებების ვითარებაში, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, უკვე წავიდა ის დრო, როდესაც კულტურის გავრცელების საქმეში მთავარ როლს მასწავლებელი ასრულებდა (განსაკუთრებით სოფლად). მოწაფეებშიც, განსაკუთრებით უფროსი კლასებისა, ფრიად ამაღლდა კრიტიკული აზროვნების დონე და, მაშასადამე, შესაბამისად გაიზარდა (უნდა გაიზარდოს) მასწავლებლის პრესტიჟი, რისთვისაც აუცილებელია მისი განათლებულობის შეუნელებელი განახლება, რათა არ ჩამორჩეს იმ მოთხოვნებს, რასაც კომუნიზმის მშენებელი საზოგადოებრიობა უყენებს თავისი ახალი თაობის — შვილებისა და შეილიშვილთა აღმზრდელებს როგორც მოქალაქის მორალურ, ასევე პედაგოგის პროფესიული მოღვაწეობის სფეროში.

ეს მოთხოვნები მით უფრო მაღლდება, რაც უფრო იზრდება სოციალური მოთხოვნილება და მისწრაფება უმაღლესი განათლებისაკენ. ამ ასევეტში აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირში საშუალო სასწავლებელთა კურსდამთავრებული ახალგაზრდობის 70—80 პროცენტი მოწადინებულია სწავლა განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში, სადაც, მაგალითად, 1970 წელს მიიღეს სკოლადამთავრებულთა მხოლოდ 18,2 პროცენტი.

საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ მომავალ ათეულ წელს შობაღობის შემცირების შედეგად შესამჩნევად დაიკლებს უფროსკლასელთა რიცხვოვნობა. მაგრამ ამ მხრივ საყურადღებოა, რომ დღესაც, და აქ მიგრაციაც დიდმნიშვნელოვან როლს თამაშობს, უკვე შესამჩნევად შეცვლილია სკოლების დაკომპლექტების ვითარება. ურბანიზაციის მეოხებით მოსწავლეთა სიჭარბეა ქალაქის სკოლებში, ხოლო სოფლებისა ზოგან არასრულადაა დაკომპლექტებული.

დაკვირვებებმა ცხადყვეს, რომ სოფლის სკოლებში მოსწავლეთა მომზადების დონე მასწავლებელთა მუშაობის რთული პირობებისა და

სხვათა გამო ჩამორჩება ქალაქისას და ამასთანავე პატარა, მოსწავლეთა მცირებულიცხოვან სკოლებში. ერთ მოსწავლეზე გაშეული ხარჯები დაკარგდება. რად უფრო მაღალია.

ერთი მოწაფის მომზადება 1 წელიწადში სსრ კავშირში საშუალოდ ჯდება 140 მან. დიდ, მრავალრიცხოვან სკოლებში, სადაც პარალელური კლასებია, ეს ხარჯი 50 მან. შეადგენს, ხოლო პატარა სკოლებში, სადაც ოციოდე მოწაფეა, 540 მან. აღემატება<sup>1</sup>.

\* \* \*

არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებ საუბარი მით უფრო აუცილებელია, რაც უფრო ძნელია აქ შესაფერის კონტექსტში მისი ჩას-მა, მისთვის ადგილის მონახვა. ესაა ახალგაზრდობის სექსუალური ცხოვრების საკითხი, რომლის ერთ-ერთ მომენტს ჩენ უნდა შევეხოთ.

1968 წ. მოყოლებული, ყოველწლიურად, თსუ ეკონომიკური ფა-კულტეტის მეოთხე კურსის დაახლოებით 150—200 სტუდენტისაგან აგრეთვე, ეპიზოდურად, რიგ სხვა უმაღლესი სასწავლებლების უკანას-კნელი კურსის სტუდენტთაგან როგორც ანკეტური გამოკითხვის, ასევე სემინარული (პრაქტიკული-სადიპლომო) ხასიათის ნაშრომთა და კიდევ რესპუბლიკის რაიონებში დემოგრაფიული ექსპედიციების მასალათა სახით ვლებულობ (ვაგროვებ) მონაცემებს.

მიღებულია ორმოც ათასზე მეტი პასუხი: ოჯახის, ქორწინების, სქესობრივი სიყვარულის, შეიღების გაჩენისა და აღზრდის, ახალგაზრ-დობის ყოფიერების, მამებისა და შეიღების (თაობათა) ურთიერთდამო-კიდებულების, განათლების, პროფესიული ორიენტაციისა და სხვათ შესახებ.

გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ ახალგაზრ-დობას შორის „პირველი სექსუალური კავშირები მიმდინარეობს (ხდე-ბა) პარტნიორებისათვის არახელსაყრელ ვითარებაში“. — აქ აღნიშნავენ: არსებულისა და მართებულის დაშორიშორებას; შიშისა და გამბე-დაობის უთანაბრობას; მოკრძალებისა და მიძალების დაპირისპირებას; მიმზიდველობისა და უარყოფის (უკუგდების) ძალთა შეურიგებლობას; სიყვარულისა და სიძულვილის ნებისმიერობას; ინტერესისა და ინერტი-ულობის გამთიშველობას; აქსელერაციისა და ინფანტილიზმის შეუწყ-ნარებლობას; მორალის (ზნეობის) არტახებით შებოჭილობისა და თავ-აშვებულობის შეუთავსებლობას... და სხვა მრავალ ამგვარ მოვლენათა რთულ ერთობლიობაში ორიენტაციის სიძნელეებს და განსაკუთრებით იმას, რომ ასეთ ვითარებაში, რასაც ძალიან ხშირად უაღრესია არასა-სიამონო, უარყოფითი, ზოგჯერ კიდევ პირდაპირ საბედისწერო შედეგი

<sup>1</sup> Образовательная и социально-профессиональная структура населения СССР, сб. статей, 1975.

ეოსდევს, ახალგაზრდას, ყმაშვილს, მოზარდ თაობას ფაქტობრივად ასასად — არც ოჯახში, არც სკოლაში და არც საღმე სპეციალური დანიშნულების ადგილებში არ აძლევენ კვალიფიციურ ჩევრა-დარიგებას, აუცილებელ განმარტებას, არ უწევენ კონსულტაციებს. თვით სქესობრივი პიგიენის უაღრესად საჭირობორო საკითხიც, როგორც იტყვიან, გარტოოდენ თვითდინებაზეა მინდობილი და ასეთ ვითარებაში კდემა-მოსილი ახალგაზრდა მისდაუნებურად საჭირო ინფორმაციას ლებულობს ქუჩაში, თავის „ტოლ-სწორთაგან“, შემთხვევით შეხვედრებისას, თუნდაც ხშირად ფრიად უხეში, უტაქტო და უგნური ფორმითა და ხერხებით, თვით გარეუნილი და ლოთი ადამიანებისგანაც-კი... და, აი, ჩემს მიერ გამოკითხული ახალგაზრდობა დაუინებით მოითხოვს ამ საკითხის მოგვარებას და ზოგჯერ ისეთ ვითარებაში, როდესაც ასეთი საკითხი სრულებითაც არ უნდა გამხდარიყო მისი მსჯელობის საგანი, ე. ი. მას (გამოსაკითხს) პასუხი უნდა გაეცა სხვა, ვთქვათ, პროფესიული ორიენტაციის, განათლების, სპორტისა და სხვ. მღვმარეობის თაობაზე. ისინი თვითონ და თანაც დაუინებით სვამენ ამ საკითხს და მოითხოვენ მის რაციონალურ, თანამედროვე საზოგადოებისათვის შესაბამის მეცნიერულ დონეზე მოგვარებას.

ისინი პირდაპირ აცხადებენ: „ახალგაზრდობის მომზადება სიყვარულის, სექსუალური ურთიერთობის, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უნდა განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სწავლისა და აღზრდისა სოციალისტურ საზოგადოებაში“.

მათ ასეთი მოთხოვნის წამოყენების სრული უფლება აქვთ, ხოლო ჩვენი შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებები, ვფიქრობთ, მოვალენი არიან სპეციალური მზრუნველობის საგნად გაიხადონ ამ საკითხის ქეროვან დონეზე მოგვარება.

\* \* \*

სავსებით ჩამოყალიბებული ჰედაგოგის პროფესია სარგებლობს საყოველთაო პატივისცემითა და მაღალი პრესტიჟით. მაგრამ მან, მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მაინც ვერ მიაღწია პროფესიონალიზაციის ისეთ მაღალ სტადიას, რასაც მიაღწია, მაგალითად, ექიმთა (მედიცინისთა) პროფესიამ.

ჩვენ ვერ დავასახელებთ ფაქტს, რომ ექიმის თანამდებობაზე მუშაობდეს ადამიანი, რომელსაც არა აქვს სათანადო სამეცნიერო უმაღლესი განათლება. კიდევ შეტიც, გულის ტკივილების მკურნალობისათვის იწვევენ სახელდობრ კარდიოლოგს, ქალური ავადმყოფობისათვის — გინეკოლოგს, თვალისათვის — ოკულისტს, ბავშვისათვის — პედიატს და ა. შ. და არა საერთოდ ექიმს, ვთქვათ ქირურგს, როდესაც აღამიანი თვალის ჩინის დაკლებას უჩივის.

ამავე დროს, სრულებით არ გაგვიჭირდება მაგალითის მოყვანა, —

პედაგოგის თანამდებობაზე რომ მუშაობს კაცი, რომელსაც არა აქვს პედაგოგიური განათლება, ისევე როგორც, მაგალითად, ეკონომისტის თანამდებობაზე არიან ეკონომიკური განათლების არამქონე ადამიანები.

სამედიცინო განათლების არამქონე კაცს არ დაუშეებენ, რომ იმუშაოს ექიმის თანამდებობაზე, ხოლო პედაგოგად, თითქოს და, შეუძლია იმუშაოს თითქმის ყოველგვარი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანს, რომ არა ვთქვათ ჩა სხვა გარემოებათა შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგის პროფესიის არჩევა იმის მიხედვით, თუ ვინ შედის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ან ვის იწვევენ დაიკავოს პედაგოგის თანამდებობა, ჭერჩერობით ყოველთვის არ არის მთლიანად მიმართული ისე, რომ მომავალი პედაგოგების შეჩრევა ხდებოდეს, ვთქვათ, ადამიანის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური შესწავლის საფუძველზე. აქვს თუ არა ამ ადამიანს სათანადო მონაცემები: მისწრაფება, ნიჭი, უნარი, სურვილი და სხვა, რომ გახდეს ნამდვილი პედაგოგი, ახალი თაობის ღირსეული აღმზრდელი.

შეიძლება ადამიანი იყოს კარგი მათემატიკოსი, ლიტერატურათ-მცოდნე და სხვა, მაგრამ ამ საგნების მასწავლებლად არ ვარგოდეს არა მხოლოდ საგნის ცოდნის სხვისთვის გადაცემის, ახსნის, გაზიარების უნარის უქონლობის გამო, არამედ მისი კიდევ სხვა, ვთქვათ, ზნეობრივი, მორალური ხსიათის მიზეზების გამოც.

ჩვენ სავსებით ახალ საზოგადოებას, კომუნისტურ საზოგადოებას ვაშენებთ, ახალ ადამიანებს ვზრდით. ამ ასპექტში, გასაგებია, რომ სკოლას აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

სახალხო განათლების საბჭოთა პოლიტიკა და სისტემა საყოველთაო მოწონებას იმსახურებს. მაინც ჩვენთან სპეციალურად არავინ არ სწავლობს ისეთ საყითხებს, როგორიცაა დამოკიდებულება:

1. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის;
2. მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის;
3. მოწაფეების ქცევა გზაზე, ქუჩაში — ოჯახიდან სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე.

4. მოწაფეები და თვით მასწავლებლები გამოსასვლელ და უქმედლებში, არდადეგების პერიოდში და ა. შ.

აღნიშნულ და სხვა საყითხებზე ჩვენ გვაქვს გარკვეული წარმოდგენები, მზამზარეული რეცეპტებიც კი, მაგრამ უდავოა, რომ ეს არ არის საყითხის, სახელდობრი ჩვენს ცხოვრებაში მიმღინარე უახლეს მოვლენათა, სპეციალური, კონკრეტული შესწავლისა და განზოგადების მეონებით მიღებული დასკვნები.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ მოვლენათა მეცნიერული შესწავლა მხოლოდ გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას, გამოცდილებას განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი განათლების სისტემის ახლანდელი განვითარების მაღალ საფეხურზე ყველა პირობა არსებობს ამ სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დავიწყოთ დეტალური შესწავლა პროცესის შერჩევის საკითხებისა, ე. ი. როგორც პედაგოგიური კადრების, ასევე საერთოდ ჩვენი განვითარებადი სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საკითხებისა.

მე პედაგოგის პროცესი პროცესი და ან დავიწყე მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი მსჯელობის საგანია ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები, რაც იმავდროულად პროცესი სიული ორიენტაციის საკითხიც არის და რაშიც სკოლაში, ასე ვთქვათ, პირველი სიტყვა მასწავლებელს, პედაგოგებს ეკუთვნით და ისევ პედაგოგები არიან ახალგაზრდობისათვის ამ მხრივ პირველი მისაბაძი მაგალითიც.

სწორედ ამიტომ უნდა შევისწავლოთ, მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორიცაა:

1. ფაქტორები, რაც გავლენას ახდენენ ამა თუ იმ ადამიანის გადაწყვეტილებაზე, რომ მან იმუშაოს სახელდობრ განათლების სფეროში, როგორც პედაგოგმა;

2. პედაგოგური მოღვაწეობისადმი მიმზიდველი ფაქტორები;

3. მოღვაწეობის ამ სფეროდან ადამიანთა წასვლის მიზეზები და სხვ.

4. უნდა შევისწავლოთ მასწავლებლების მორალური სტატუსი მოსწავლეთა აღქმაში, ისეთ სიტუაციაშიც, როგორიცაა, მაგალითად, ლოთობა, არააურატულობა, მექრთამეობა, ოჯახური ცხოვრება (განჯორწინება...), დაუდევრობა და სხვ.

საფუძველი მოსაზრებათა, რაც აქ პედაგოგთა კადრების თაობაზე აღვნიშნეთ, მომცა 1965—1968 წლები. სოფლის რაიონების საშუალო სკოლების დამამთავრებელი (IX—XI) კლასების მოწავლეთა ანკეტური გამოკითხვის მასალამ, რაც ამ მხრივ, ვთქვით, ფრიად ანგარიშგასაჭირებია.

ახლა საერთოდ პროცესი სიული თრიენტაციისათვის.

ჩვენ უცხოვრობთ უაღრესად მობილურ ეპოქაში. მიმდინარეობს უძლიერესი მეცნიერულ-ტექნიკური, ინდუსტრიული რევოლუცია, რასაც მეტ-ნაკლები ზომით განიცდის მთელი ცივილიზებული მსოფლიოს საზოგადოებრივობა.

მიმდინარე ინდუსტრიულმა რევოლუციამ მთელი გადატრიალება გამოიწვია, კერძოდ, პროფესიული ორიენტაციის სფეროში, რამდენადაც ფრიად დაჩქარდა სულ ახალ-ახალი პროფესიების (სპეციალობათა) გაჩენა და, შესაბამისად, ძველი პროფესიების, ასე ვთქვათ, აორთქლება.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ საშუალო სკოლა ბავშვებს, მოზარდებს უნდა ამზადებდეს კვალიფიციური შრომისათვის, რათა მოსწავ-

ლეებმა მიიღონ „ფართო საერთო განათლება... რათა შათ შეითვისონ პოლიტექნიკური განათლების საფუძვლები“<sup>1</sup>.

ეს აუცილებელია და ისევე საჭირო დღესაც, ჩვენს პირობებშიც, რამდენადაც, როდესაც სათანადო დრო დადგება, დღევანდელმა მოსწავლეებმა, ე. ი. ახალგაზრდობამ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შენებაში.

კომკავშირის XVI ყრილობაზე (26.V.70) ამხანაგი ლ. ი. ბრეუნე ვი ამბობდა:

„ყოველი თაობისათვის დგება ისეთი დრო, როდესაც იგი წინაურდება საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვან პოზიციებზე“.

ამ დროისათვის ეს თაობა ყოველმხრივ მომზადებული უნდა იყოს.

ცხადია, პროფესიის, სპეციალობის შერჩევას, აქ საკუთარი თავის მონახვას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში.

ამასთანავე პროფესიის შერჩევა ახალგაზრდობისათვის მრავალ სისწელესთანაა დაკავშირებული. ის იწყება ე. წ. პროფესიული რომანტიკით. მოზარდს სურს გახდეს გამოჩენილი და სახელმწიფო ადამიანი... ეს წადილი ჯერ კიდევ ზღაპრებიდან მოდის და თანამედროვე გარემოში ახალი პერიოდული გრძნობებით გამდიდრებული თანდათანობით სულ უფრო კონკრეტულ ხასიათს ღებულობს ბავშვის მოწიფეულობისაკენ ზრდის პროცესში.

მოზარდი ოცნებობს გახდეს უძლეველი მოჭიდავე, ვირტუოზული ტანმოვარჯიშე, სახელმწიფო ფეხბურთელი, თავი გამოიჩინოს საერთოდ ფიზიკური კულტურის, სპორტის რომელსამე სახეობაში; მოზარდს სურს გახდეს პოეტი, მწერალი, მფრინავი, კოსმონავტი, თეატრისა თუ კინოს მსახიობი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, მოგზაური, ქიმიკოსი, გეოლოგი, ფიზიკოსი, მათემატიკოსი, იურისტი, ეკონომისტი, ინჟინერი, აგრონომი, პედაგოგი, მომღერალი, მოცეკვავე, ექიმი, კონსტრუქტორი, მშენებელი...

არიან ისეთები, ოლონდ უფრო მოწიფეულ თუ რამდენადმე გადამწიფიულ ასაქში, რომელთაც სურთ იყვნენ: მზარეული, ოფიციანტი, ფოსტალიონი, მოანგარიშე, გამყიდველი, წიგნის მკინძავი, ბიბლიოთეკარი, სტატისტიკოსი, სანიტარი, რეგისტრატორი, რადისტი... ანდა კიდევ დურგალი, ზეინკალი, მესაათე, კალატოზი, მეჩექმე, მექუდე, მკერავი, მეფოლადე, მემაღაროე... მებათქაშე, მებაგირე, მეაგურე, მეპაპიროსე, მეპურე, მესახურავე, მექუდე, მებეტონე, მელვინე, ფოტოგრაფი, რადიომიმღებისა და ტელევიზორის შემკეთებელი, სტენოგრაფისტი... და ბოლოს: მევენახე, მეაბრეშუმე, მეჩაიე, მეციტრუსე, მექათმე, ტრაქტორისტი, მელორე, ვეტერინი, მებოსტნე, მებალე, მეცვაირე, მესიმინდე, მეფუტკრე...

<sup>1</sup> В. И. Ленин, ПСС, т. 42, стр. 229—30.

მაგრამ აქ, ამ უკანასკნელ სფეროში, პროფესიის საკითხის სულ სხვა სიბრტყეშია განსახილველი. მიწათმოქმედებაში, საერთოდ სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში პროფესიული სპეციალობების დიფერენციაციის საქმე დღესაც უაღრესად რთული და მრავალწახნავოვანი პრობლემაა (აქ, მაგალითად, მებრეშუმე იმადროულად არის მესიმინდე, მეჩაიე, მებოსტნე და ა. შ.) — ფრიად განსხვავებული, მაგალითად, მრეწველობის დარგთა პროფესიების სოციალური და ტექნიკური სტატუსისა და პრესტიჯის ვითარებისაგან. მაგრამ ამ საკითხზე, ცხადია, ჩვენ ახლა არ შევჩერდებით.

მოზარდის, მოსწავლის შეგნებაში საერთოდ გარევეული პროფესიისაქნ მისწრაფების, პროფესიათა დიფერენციული ხილვის და, მერმე, ამ პროფესიებში საკუთარი თავის მონახვის პროცესი ახალგაზრდის მოწიფულობაში შესვლის საფეხურებზე დიდ გარდატეხებს განიცდის.

სწავლის პროცესში, უფროსთა გარემოცვის, წიგნების, უურნალ-გაზეთების კითხვის, რადიოს, თეატრის, ტელევიზიის და კომუნიკაციის, სხვა გარემოებათა მეობებით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის, ვაჭრობისა და განაწილების საწარმოთა გაცნობის, გამოფენების დათვალიერების, მოგზაურობის და სხვა სიტუაციაში.

— მოზარდი თავისთვის შეიმუშავებს წარმოდგენას გარევეულ პროფესიაზე და მასში თანდათანობით ყალიბდება ამ სპეციალობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ პროფესიისადმი პატივისცემის გრძნობა და მიღრეკილება, რაც ბოლოს ამ სპეციალობის... შესწავლის ინტერესს იწვევს და, მაშასადამე, მთავრდება მოზარდის პროფესიული ორიენტაციის დადგენით, ე. ი. სასურველი სპეციალობის შეჩრჩევით, ანუ პროფესიებში საკუთარი როლის, ანდა კიდევ, როგორც იტყვიან, თავის თავის მონახვით.

საერთოდ, მაინც, როგორც ჩანს, ინდუსტრიულ და მშენებლობის საწარმოების მუშავთა პროფესიებისადმი მისწრაფება, ამ პროფესიების პრესტიჯი ახალგაზრდობაში, კერძოდ, სოფლის სკოლების მოსწავლეთა შორის მაღალი არაა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მომსახურების სფეროს რიგი პროფესიაც, ჯერჯერობით არ სარგებლობს სათანადო პატივისცემით. ასეთებია, მაგალითად, ფოსტალიონი, ოფიციანტი, სანიტარი, პარიკმახერი...

ახალგაზრდის მოწიფულობაში ხდება მისი ყმაწვილური იდეალების, ასე ვთქვათ, ჩამოხურდავება და ის, რომელიც იცნებით უნდა ყოფილიყო:

მფრინავი — ხდება... ფოსტალიონი;

შეცნიერი — მოანგარიშე, კალეულატორი;

მსახიობი — სტატისტის როლში გამოდის;

ექიმი — სანიტრის, მოწყალების დის თანამდებობაზე რჩება და ა. შ.

ზოგიერთს, და ეს „ზოგიერთები“ არც ისე ცოტაა, ისე ერთენება, რომ ეს არის იმათი გზა, რომელთაც ცხოვრებაში „წარმატებას ურ მიაღწიეს“, — ამათ თითქოსდა „შესაფერისი ქუდი არ ახურიათ...“

ჩვენ აქამდე სკოლების მუშაობის შესახებ ვმსჯელობდით იმის მიხედვით, თუ სკოლადამთავრებულთაგან რამდენი შევიდა უმაღლესში, მაგრამ, როგორც ჩანს, ყურადღებისა და აღრიცხვის ღირსია ისიც, თუ მათგან რამდენი გახდა სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და წარმოების სხვა დარგთა მოწინავე მუშაკი... ცხადია, ამ მაჩვენებლებითაც უნდა ამაყობდეს სკოლა, საერთოდ, და მისი აღმინისტრაცია, კერძოდ.

აუცილებელია და დღევანდელი ვითარებაც ამას გვკარნახობს, რომ ამაღლდეს საშუალო სკოლის როლი მოსწავლეთა შორის პროფესიული ორიენტაციის პროპაგანდაში.

აღსანიშნავია, რომ საშუალო სკოლის დამთავრების მერმე ისინიც კი, რომლებიც უმაღლესში შედიან (ახლა უფრო ხშირად ამბობენ: მოეწყო უმაღლესში და ეს სიტყვაც გარკვეულ აზრს ატარებს), ყოველთვის როდი არიან პროფესიული ორიენტაციის მხრივ სიტუაციაში გარკვეულნი.

ფრიად მრავალია იმათი რიცხვი, რომლებიც ამა თუ იმ ფაკულტეტზე, სპეციალობაზე, შემთხვევით მოხედნენ... მაგალითად, შევიდა პედაგოგიურ ინსტიტუტში, ან ეკონომიკურ ფაკულტეტზე იმიტომ, რომ სამედიცინოზე, იურიდიულზე ვერ მოეწყო.

ეს საკითხი უშუალო კავშირშია უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა დენცადობის პროცესთანაც. ამასთანავე ეს მომენტი, რასაც საერთოდ გარკვეულ სპეციალობათა და პროფესიული ცოდნის პერსონაჟის გაუფასურება ეწოდება, თავის გაგრძელებას პოულობს ადამიანის პროფესიული ფორმირების შემდგომ საფეხურებზე.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო ადამიანთა არასპეციალობის მიხედვით დასაქმებულობის უარყოფითი მნიშვნელობა. ქიმიკოსია და — ხილის მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს; აგრონომია — ავეჯის მაღაზიის დირექტორის თანამდებობა უჭირავს; ინჟინერია — ეკონომისტად მუშაობს; ეკონომისტია — ფსიქოლოგიას ასწავლის; იურისტია — ბუღალტრად მოწყო; ფსიქოლოგია — წიგნების გამყიდველად დამდგარა და ა. შ.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი. სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოეწყო სხვა ფაკულტეტზე, ვინემ თავდაპირველად ჰქონდა განზრახული, სწავლის პროცესში თანდათანობით ურიგდება და ღებულობს, ითვისებს იმ პროფესიას (სპეციალობას), რასაც მოცემულ ფაკულტეტზე სწავლობს. საერთოდ მიაჩინათ, რომ

სწავლისა და პროფესიის იდენტიტეიაცია ერთ-ერთი არსებითი ინდიკატორია სტუდენტის პიროვნების შესწავლისათვის.

ასე რომ, საბოლოოდ, სპეციალური ცოდნის მიღების ინტერესი უმრავლეს შემთხვევაში იტაცებს, იყრობს იმ სტუდენტსაც, რომელსაც ადრე სხვა სპეციალობის მიღება სურდა. მაინც ჩიგი სპეციალობა, მაგალითად, მედიკოსისა ისეთია, რომ შეიძლება შედარებით უფრო მეტად იყოს პროფესიული თავისთავადობისა და გამოცალკევების მანიშნებელი. ამასთანავე უდავოა, რომ მისწრაფება, იმუშაოს განათლებით მიღებული სპეციალობის მიხედვით გამოხატავს ახალგაზრდის პროფესიულ მიღრევილებასა და სიყვარულს, შინაგან ინიციატივას და რწმენას, რომ გას საზოგადოებისათვის და, ცხადია, თავისთვისაც, შეუძლია უფრო სასარგებლო და საჭირო იყოს სახელდობრ ამ პროფესიაში.

ისიც უნდა ითქვას, რომ წინათ, შეა საუკუნეებში და ხშირად თვით XX საუკუნემდეც, სპეციალური ცოდნის მიღებას შეგირდობის გზით, მაგალითად, ამჟრული ხელოსნობის ეთარებაში დიდი დრო სჭირდებოდა. მეოცე საუკუნიდან, განსაკუთრებით კი 40-იანი წლებიდან, ეს პროცესი შესამჩნევად დაჩქარდა — ფიზიკური შრომის სპეციალობათა დარგებში. ის, ვინც პროფესიული თვალსაზრისით მაღლ მწიფდება, აღრევე უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და, ამგვარად, არ შეიძლება ადრე თუ გვიან არ დაიწყოს ბრძოლა პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი მონაწილეობის გაფართოებისათვის, თანამდებობრივი დაწინაურებისათვის და ა. შ.

თუ ვინ სად და როგორ ეწყობა სამუშაოზე, რასაც უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ისეთ ეთარებაში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა, ხალხი, პარტია იბრძვის ნაკეთობათა და საერთოდ მუშაობის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, შრომის მწარმოებლურობის შემდგომი ამაღლებისათვის, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის, — არსებითად, სიმართლე უნდა ითქვას, ეს ჯეროვან დონეზე მოგვარებული არა გვაქვს და ზოგჯერ კი საესებით თვითდინებაზეა მიშვებული.

ასეთ ეთარებაში აბა რა გასაკირია, რომ სულ უფრო ხშირდება, ერთი შეხედვით, საოცარი შემთხვევები: უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დიპლომები არ მიაქვთ; — მარტო თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ასობით გამოწერილი დიპლომი აწყვია. პატრონი არ აქითხავს, არ მიაქვს ეს დიპლომი კურსდამთავრებულს, რომელმაც ვინ უწყის ჩამდენი ენერგია, დრო და კიდევ რა არ დახარგა, რათა როგორმე მოწყობილიყო უმაღლესში, რომელიც ახლა მან უკვე დამთავრა და ისე მოეწყო სამსახურში, სადაც მისი დიპლომი საჭირო იღარაა: ის ბოტანიკისია და ეკონომისტად მოწყობილა, ვეტერინარია და პედაგოგად მოღვაწეობს...

შაგრამ პროფესიული ორიენტაციის პრობლემის მთელი სერიოზულობა თავს იჩენს განსაკუთრებით იმ ახალგაზრდობას შორის, რომლებიც მუშაობას იწყებენ მშენებლობის, ინდუსტრიული წარმოებისა და მომსახურების სფეროებში, და იმათ შორის, რომლებიც უმაღლესში ჯერჯერობით ვერ მოეწყვნენ და დროებით ქარხნებში, მშენებლობაზე წავიდნენ...

ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი კინოფილმებისა და რომანების მთავარ გმირთა უმრავლესობაა მეცნიერები, გამომგონებლები, კონსტრუქტორები, ექიმები, ინჟინერები, მწერლები, უურნალისტები — საერთოდ, გონიერი შრომის ადამიანები.

გაზეთ „პრავდა“-ში (14.10.1979, № 287) გამოქვეყნდა ერთი საინტერესო ფელეტონი: „ვინ უნდა იყოს ოფიციანტი?“...

სწორედ ამ სფეროში სპეირო წარმატებათა დროულად მოპოვების მიზნით კომკავშირმა გამოაცხადა ნახევარი მილიონი ყმაწვილის — ვაჟებისა და გოგონების მობილიზაცია, მომსახურების სფეროებში მუშაობისა და, მაშასადამე, შესაბამისი პროფესიების ათვისებისათვის.

ეს უდავოდ დიდმიუნიშვნელოვანი ღონისძიება და ჩვენი ეპოქის მიერ გამართლებული მოვლენა გახლდათ.

საქმე ისაა, რომ სახალხო მეურნეობას სჭირდება არა მხოლოდ მაღალებრივი ციური სპეციალისტები, არა მხოლოდ ისეთი ახალი ადამიანები, რომელთა ნამუშევარი, ე. ი. მუშაობის ხარისხი კარგია, არამედ ისეთი მუშაკებიც, რომლებიც ამასთანავე მუშაობენ გულმოლგინედ, ხალისიანად, კეთილსინდისიერად, ეწევიან ზრდილობიან, თავაზიან, გემოვნებით აღსავსე მომსახურებას...

პარტიის XXIV ყრილობაზე აღინიშნა, რომ საჭიროა საბჭოთა საზოგადოებაში შეიქმნას ისეთი მორალური განწყობილება, რაც ხელს შეუწყობს შრომაში, ყოფიერებაში, საერთოდ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ადამიანისადმი გულისხმიერებისა და პატივისცემის გრძნობის განმტკიცებას.

ამ გრძნობის აღზრდა ახალგაზრდობაში, უწინარეს ყოვლისა, ევალება ოჯახს, სკოლას, კომკავშირს, მასწავლებელს. ამ გრძნობის აღზრდა და ჩანერგვა კი გულისხმობის ყველა პროფესიის პატივისცემას და პრესტიჟის ამაღლებას, რაც საჭიროა სოციალისტური წარმოების, გაცვლის, განაწილების, მომსახურებისა და მოხმარების ყველა სფეროში.

მეთერთმეტე ხუთწლედში, როგორც ცნობილია, კიდევ უფრო გაფართოება, კერძოდ, ყოფიერებითი მომსახურების სფეროც, სადაც ყოველდღიურად ჩნდება ახალ-ახალი პროფესიები.



პროფესიის რაობის (ცნების) მრავალი განმარტება არსებობს იმის მიხედვით, თუ რას — ნივთიერ თუ სულიერ ღოვლას (ფასეულობას) — აქეთებს (ქმნის), თუ რაგვარი (როგორი) მოქმედებით აქეთებს, თუ რა იარაღ-მანქანებით, რა მასალაზე მუშაობს და ა. შ., იძლევიან პროფესიის ცნების განმარტებას. ასეთი განმარტებების ჩამოთვლაც კი დიდ ადგილს დაიკურდა. ჩვენ არ ვეხებით საკითხს, თუ როგორ აფასებს და განმარტავს თავის საკუთარ პროფესიას ადამიანი, რომელსაც საერთოდ შეუძლია იმსჯელოს საკითხის თეორიულ ასკექტებზე.

ცნობილია, რომ ძველ დროსა და ამქრული ხელოსნობის ეპოქაში წარმოების პრაქტიკა და თეორია ჯერ კიდევ განუყოფელი იყო. ოსტატი თავის შეგირდისათვის ხელობის (სპეციალობის, პროფესიის) სწავლებას ჩვეულებრივ იწყებდა არა ახსნა-განმარტებათა მიცემით, ე. ი. არა თეორიის გაცნობით, არამედ, როგორც იტყვიან, პირდაპირ აყურებინებდა, აჩვენებდა მას შრომის (წარმოების) პროცესს, იარაღებს, ნედლეულს, თავისი ხელებისა და ფეხების მოძრაობას და ასე, მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შეგირდს შრომის პროცესზე სისტემატური უშუალო დაკავშირების გზით უნდა აეთვისებინა ხელობა, პროფესია!

თანდათანობით, წარმოების, შრომის იარაღების დიფერენციალისა და გართულების პროცესში, შედარებით მაღალ საფეხურზე ნელ-ნელა გამოეყოფა თეორია. ემპირიზმი ადგილს უთმობს მოვლენათა კრიტიკულ შესწავლას, ლოგიკურ ანალიზს, თეორიულ განზოგადებას. ჩნდება და ვითარდება სასკოლო განათლება, ცოდნის თეორიული დარგები... ბოლოს ისე ხდება, რომ უწინარეს თეორიულად სწავლობენ, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად ითვისებენ ამა თუ იმ სპეციალობას, პროფესიას. ამ პროცესის განვითარება თანდათან აშორებს ადამიანს მისი (მშობლების) ძველი საზოგადოებრივი სტატუსისაგან.

მაგრამ ამასთანავე სულ უფრო იცვლება და ვითარდება შრომის იარაღები და შრომის საშუალებები, იცვლება თვით ადამიანის პოზიცია და ფუნქციები წარმოების შეუჩერებელი პროგრესის პროცესში და ყოველივე ამის შესაბამისად იცვლება პროფესიული ცოდნის, გამოცდილების შეძენისა და ათვისების გზები და ფორმები.

ახალი მეცნიერულ-ტექნიკური, ინდუსტრიული რევოლუციის ვითარებაში, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის კვალობაზე სულ უფრო ჩქარა წარმოიშვობიან ახალი პროფესიები და ისტორიას

<sup>1</sup> ვრცლად იხ. 3. გუგუ შვილი, საქართველოსა და მიერკავების ეკონო-  
მიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები. 1962, თბ., ტ. V, გვ. 223—  
316; 439—458.

ბარღებიან, ანდა მოდერნიზაციას განიცდიან ძველები. ამასთანავე ეს პროცესი ინდუსტრიულ ქვეყნებში ისე სწრაფია, რომ ადამიანი თავისი შრომისუნარიანობის პერიოდში, დაახლოებით 40 წლის მანძილზე, რადენიმეჯერ იცვლის პროფესიას და ზოგჯერ იძულებულია ისეთ სპეციალობას მოჰკიდოს ხელი, რასაც თითქმის არავითარი კაეშირი არა აქვს მის ადრინდელ პროფესიასთან და იმ სასკოლო განათლებასთანაც, რაც მან სიჭაბუქეში მიიღო და მით უფრო დაშორებულია იგი მისი წინაპრების, მამა-პაპათა პროფესიებსა და თვით დარგებსაც წარმოებისა, რომლებშიც ისინი საქმიანობდნენ. ამდენადვე ადრე თუ გვიან იცვლება ადამიანის სოციალური სტატუსი.

ამგვარად, ნათელი უნდა იყოს, რომ პროფესიის ცნების განმარტება, საქმარე დიდ სიძნელეს წარმოადგენს, და მაინც, როგორ შეიძლება განიმარტოს პროფესიის ცნება?

პროფესია საზოგადოებრივ წარმოებაში ჩართული ადამიანის სკოლაში მიღებული ცოდნითა და შრომითი გამოცდილებით, ინდივიდუალური უნარითა და ნიჭით ჩამოყალიბებული (შეპირობებული), განსაკუთრებული, სპეციალიზებული ფუნქცია (საქმიანობის დარგი), რაც ამასთანავე განსაზღვრავს მისი (ადამიანის) სოციალური სტატუსის ამოსავალ საწყისებს.

რაც უფრო ვითარდება შრომის გამოცვლა, რაც უფრო ტიპური მოქლენის ხასიათს ღებულობს საზოგადოებრივ წარმოებაში ჩართული მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი, მით უფრო მეტად აღწევს იგი ნიჭისა და უნარის მიხედვით პროფესიის შეტანებასა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას და მით უფრო ყოველმხრივ განვითარებული და, მაშასადამე, შრომის გამოცვლის პროცესისათვის შეგუებული მაღალკვალიფიციური მუშაკი ხდება.

ეს პროცესი, ცხადია, სხვადასხვანაირად ვითარდება სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პირობებში, სადაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება და წოდებრივი (კლასობრივი) ბარიერები არ ზღუდავენ ადამიანის ნიჭისა და, მაშასადამე, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, ვინემ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც მრავალგვარი დაბრკოლება ეღლობება ადამიანის ნიჭისა და უნარის თავისუფალ განვითარებას, საერთოდ ცოდნის შეძენასა და პროფესიული ორიენტაციის ევოლუციას.

ადრინდელ წოდებრივ საზოგადოებებში ადამიანის პროფესიულ ორიენტაციებზე დიდსა და ზოგჯერ კიდევ გადამწყვეტ გავლენას ახდენდა თანამომდევნობითობა; მემკვიდრეობით, ოჯახით, გვაროვნობით მიღებული ცოდნის დარგები. კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა, წოდებრივი (კასტური) წყობილების დარღვევამ, კლასების წარმოშობამ და კლასობრივი ბრძოლების და თვით მწარმოებლურ ძალთა განვითარებამ

თანდათანობით ააფეთქა საუკუნეთა მანძილზე გაქვავებული წარმოებ-  
რივი ნორმები, ამქრული წყობილების დამახასიათებელი უძრაობა, და,  
შესაბამისად ამისა, პროფორიენტაციაც უფრო მობილური შეიქნა,  
შედარებით გაადვილდა ადამიანის საზოგადოებრივი სტატუსის შეცვლა.

მაგრამ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე დამყარებული  
ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მათ შორის კაპიტალისტუ-  
რიც, ზღუდავდა და ზღუდავს ნიჭისა და უნარის მიხედვით ადამიანის  
ნამდვილად თავისუფალ პროფესიულ ორიენტაციას. მხოლოდ კომუნის-  
ტური საზოგადოება ქმნის შესაბამის ეკონომიკურ და სოციალურ პირო-  
ბებს, რათა ყოველმხრივ განვითარებულმა ადამიანმა თავისი პირადი  
შეხედულების, მისწრაფების, ინტერესისა და, მაშასადამე, ბუნებრივი  
მონაცემების მიხედვით შეარჩიოს თავისი შრომითი საქმიანობის სარბი-  
ლი.

ახალგაზრდობის, როგორც მაღალკულტურული და განვითარებული  
მუშების, აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად რაცი-  
ონალურად არის ორგანიზებული მათი გონიერივი განვითარების მატე-  
რიალური და მორალური სტიმულირება. ცოდნის ამაღლების სტიმუ-  
ლებში კლინდება მიზნები და მიზეზები, რაც მშრომელ ახალგაზრდო-  
ბას განაწყობს სწავლისათვის.

ადამიანთა მოთხოვნილებანი და ინტერესები ყალიბდება არსებულ,  
გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პირობებში. თავისუ-  
ფალი ადამიანისათვის ცოდნის ამაღლების სტიმულები და ინტერესები  
მჭიდრო ურთიერთკავშირშია და აქ ვადამწყვეტ როლს ასრულებს ადა-  
მიანთა მატერიალური მოთხოვნილებების დაქმაყოფილების წადილი!

მეტი ცოდნის მიღების სურვილი, კერძოდ, მუშა ახალგაზრდობისა-  
თვის დეტერმინირებულია გარემოებებით, რომელშიც ის მუშაობს და  
ცხოვრობს წარმოებასა და ოჯახში, თავის სოციალურ წრეში. სწორედ  
ცხოვრების პირობათა გაუმჯობესების, უფრო მაღალ ნივთიერ და  
სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სტიმულაციის შედეგია  
კვალიფიკაციის ამაღლების წადილი ინდივიდის შინაგან მამოძრავებელ  
ძალად აქციოს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ვითარებაში, რაც უფრო დიდი  
ზომით შემოღის და ინერგება წარმოებაში ახალი, გაუმჯობესებული ია-  
რალ-მანქანები, მით უფრო იზრდება მუშაახალგაზრდობის მისწრაფება  
კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, მით უფრო მეტია ფაბრიკებსა და ქარ-  
ხნებში, მაღაროებსა და მშენებლობაზე, ტრანსპორტში, სოფლისმეურ-  
ნეობრივი წარმოების დარგებში ტექნიკური ინტელიგენციის ხვედრითი  
წილი.

<sup>1</sup> Т. Мочульская, Стимулы роста культурно-технического уровня  
молодых рабочих, 1975.

ამერამად მსხვილ სოციალისტურ საწარმოებში სპეციალური ჯგუფები დინ და ზოგან კიდევ სათანადო წრეები და ცენტრები, ლაბორატორიები, და კურსები, სადაც კვალიფიკაციას იმაღლებენ, სწავლობენ, უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად ემზადებიან ახალგაზრდა მუშები. სულ უფრო იზრდება იმ მუშების რიცხვი, რომელთაც წარმოებისაგან მოუწყვეტლად დაამთავრეს საშუალო სასწავლებელი, ტექნიკური, მიიღეს უმაღლესი განათლება.

მაგრამ, ცხადია, საბჭოთა ახალგაზრდობა სწავლობს არა მხოლოდ იმისათვის, რომ გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები, აითვისოს ახალი ტექნიკა და სხვა, არამედ იმისათვის, რათა უფრო ფართო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს, ასე ვთქვათ, განათლებისადმი მისი სოციალური მოთხოვნილებაა.

პარტიის X XV და X XVI ყრილობებზე ნაერთობათა და საერთოდ მუშაობის ხარისხის შემდგომი და განუხრელი გულმჯობესების თაობაზე ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანა თავისთავად გულისხმობს მუშათა კულტურული და ტექნიკური ღონის კვალიფიკაციის ახალ ამაღლებას, მათი განათლების პირიზონტის გაფართოებას, ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა ზრდას, მრავალმხრივ განვითარებული აღამიანის ფორმირებას — სწორედ ეს მოვლენები სოციალისტურ საზოგადოებაში განაპირობებენ ვითარებას, რომლის ძალითაც განათლება სოციალურ მოთხოვნილება და იქცა.

საქმე ისაა, რომ განუწყვეტელი სოციალური და კულტურული პროგრესი მეცნიერებისა და ტექნიკურ სწრაფი განვითარება, ინდუსტრიული რევოლუციის ვითარებაში აუკილებელი პირობაა საერთოდ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განუხრელი აღმავლობისა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მშრომელთა ზოგადი და პროფესიული ცოდნის თანამიმდევრული აღმავლობის პროცესში ფიზიკურ და გონებრივ, მარტივ და რთულ, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის არსებითი განსხვავების თანდათანობით აორთქლებას.

სსრ კავშირის სხვადასხვა ინდუსტრიულ ცენტრში ჩატარებული სოციალური გამოკვლევების მასალათაგან ჩანს, რომ მუშები უპირატესად, ცხადია, ახალგაზრდა მუშები, სწავლისადმი მისწრავების მიზანთა შორის ასახელებენ უმთავრესად: სურვილს აიმაღლონ განათლების ღონე და, მაშასადამე, საზოგადოებრივი პრესტიჟი (გამოკითხულთა თითქმის 30%); — მოწყონ სხვა, უფრო მაღალხელფასიან სამუშაოზე (გამოკითხულთა დაახლოებით — 20%); — განაგრძონ სწავლა ტექნიკურში, უმაღლესში (15—17%); მეტი სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას (12—13%); — არ ჩამორჩნენ წარმოების მოთხოვნებს (10—11%); — არ ჩამორჩნენ სხვებს, გაიუმჯობესონ პირადი მდგომარეობა (9—10%). არიან ისეთებიც, რომლებიც სწავლობენ იმისათვის, რათა კოლექტივის,

ეშობლების იმედები გაამართლონ და ისეთებიც კი, რომლებიც ფიქრობენ, რომ სწავლობენ იმისათვის, რათა თავისუფალ და მოცალუბის დროს თავი დააღწიონ მოწყენილობას.

ეს მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი განათლებისა და კვალიფიკაციის ამიალდებისათვის ზრუნავს სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით.

მუშაოთა მიერ განათლების, ცოდნის მიღების მთავარი მატერიალური სტიმული ნივთიერი და კულტურული დაწინაურებაა, რასაც ყოველმხრივ ხელს უწყობს საბჭოთა სახელმწიფო იმით, რომ აწესებს შეღავათებს წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლებისათვის და მორალურადაც აქეზებს, სტიმულს აძლევს ასეთ სწავლას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლობს, რათა წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღოს საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება.

ეხება რა ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საკითხში ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს, ამხანაგი ლ. ი. ბრეუნევი ამბობს: „კომუნისტური აღზრდა გულისხმობს სახალხო განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის განუწყვეტელ სრულყოფას, ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. იგი წინანდელთან შედარებით სხვაგვარ ხასიათს ანიჭებს შრომას და, მაშასადამე, შრომისათვის ადამიანის მომზადებასაც. ჩვენ ბევრ რამეს ვაკეთებთ ამ მხრივ, მაგრამ ის, რაც გაკეთდა და კეთდება, ჯერ კიდევ არ წყვეტს ამ დარგის ყველა ამოცანას“<sup>1</sup>.

თემას — „ახალგაზრდობის სოციალური და პროფესიული ორგანიზაცია სსრ კავშირის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში“ — მიეღოვნა 1979 წელს ტალინში გამართული სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც დაბეჭითებით აღინიშნა, რომ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია ჩვენი საზოგადოების მშრომელთა ახალი თაობის ფორმირების ობიექტურ მოთხოვნილებათა სულ უფრო ღიღმიშვნელოვანი პრობლემა ხდება.

საქმე ისაა, რომ ახალგაზრდობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ფორმირება საერთოდ მათი კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი მომენტია. სწორედ ამიტომაც პროფესიულმა ორიენტაციამ ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, საზოგადოებრივ წარმოებაში, ახალგაზრდობის, როგორც სოციალისტური საზოგადოების წევრის, დროულად ჩაბმას.

კაპიტალიზმი პროფესიულ ორიენტაციას მხოლოდ ერთი გარკვეული სოციალური მდგრმარეობის მიმართულებას აძლევს, სოციალისტურ საზოგადოებაში კი პროფორიენტაცია ნიშნავს არა მხოლოდ გარკვე-

<sup>1</sup> სკუპ XXV ყრილობის მასალები, 1976, გვ. 105.

ული სოციალური მდგომარეობის გეზის აღებას. არამედ ამასთან კანონის რეალიზაციას!

კონფერენციის მონაწილეებმა, საბჭოთა და რიგი სხვა სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტებმა, მომხსენებლებმა (მ. რუტკევიჩი, ფ. ფილიპოვი, მ. ტიტმა, ო. შეარტანი, ა. მატულანისი, ბ. კეფელი და სხვ.) ამასთან აღნიშვნეს, რომ საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას სტუდენტთა პროფესიული ორიენტაციის საქმე. ამავე დროს უმაღლესი სკოლა დიდ როლს ასრულებს საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის მიმღინარე ცვლილებებში. საქმე ისაა, რომ ზოგჯერ უკანასკნელი კურსის სტუდენტთა კი არა აქვს თავის მომავალ პროფესიაზე ზუსტი წარმოდგენა, რაც არ შეიძლება სირთულეებს არ იწვევდეს ახალგურსდამთავრებულთა წარმოებაში პროფესიული ადაპტაციის პროცესში. ასეთ ვითარებაში მერჩე აუცილებელი ხდება უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რეორიენტაცია, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი, ისე თვით სპეციალისტის პირადი ცხოვრების თვალსაზრისითაც.

მართალია, სოციალური ორიენტაცია, საბოლოოდ, ასე თუ ისე, პროფესიის შერჩევაშიც ვლინდება, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველთვის როდი მოასწავებს ადამიანის სოციალური სტატუსის შეცვლას, რამდენადაც ესა თუ ის პროფესია თავსდება ერთსა და იმავე კლასის, სოციალური ჯგუფის ფარგლებში. ამასთანავე კოლექტივში ახალგაზრდის პროფესიული თვითგამორკვევა იმავდროულად წარმოადგენს საზოგადოებაში მისი თვითდამკვიდრების საფუძველს. ხოლო პროფესიული შერჩევის ფსიქოლოგიური მეთოდები არა თუ არ უნდა ამცირებდეს მშრომელი ახალგაზრდის პიროვნებას, არ უნდა ანელებდეს მის სოციალურ აქტივობას, არ ზლუდავდეს პროფესიულ თვითგამორკვევის თვითუფლებას, არამედ, პირიქით, უნდა აქეზებდეს მის თაოსნობას, მისწრაფებასა და ინტერესს, რათა უფრო სრულად გამოავლინოს მისი საკუთარი შემოქმედებითი უნარიანობა და, მაშასადამე, ამაღლებდეს ახალგაზრდა მუშის შრომით და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მიმღინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში წარმოიქმნა მუშათა კლასის ახალი ფენა — ინტელიგენტი მუშები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომებიც დასაქმებული არიან ინტელექტუალიზებული ფიზიკური შრომის დარგებში. თავიანთი საშუალო და უმაღლესი განათლების, მაღალი კულტურისა და პროფესიული ოსტატობის დონით, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი თაოსნობით, თავისუფალი დროის კვალიფიციური გა-

<sup>1</sup> შეად. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 616—617.

მოყენების ხარისხით ისინი, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, უკვე უახლოვდებიან და უსწორდებიან ინტერ-ტექნიკისთა ინტელიგენციას!

სკეპ პროგრამა მიუთითებს, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში იზრდება ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის, როგორც თვითმოქმედი ორგანიზაციის როლი. იგი ეხმარება პარტიას ანალგაზრდობის კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდაში, ახალი საზოგადოების პრაქტიკულ მშენებლობაში მის ჩაბმასა და მომზადებაში ყოველმხრივ განათლებულ ადამიანთა თაობად, რომელიც იცხოვრებს, იმუშავებს და განავებს საზოგადოებრივ საქმეებს კომუნიზმის პირობებში.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როდესაც სულ უფრო სრულად ვლინდება რეალური სოციალიზმის უპირატესობანი, კომქავშირს აქვს თავისი სპეციალური თავისებურებანი. თანამედროვე საზოგადოებაში არსებითად შეიცვალა ახალგაზრდობის ცხოვრების პირობები. მკვეთრად ამალლდა მათი განათლების, კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის დონე.

ესთეტიკური აღზრდისა და, მაშასადამე, გემოვნების განვითარების, თავისუფალი (მოცალეობის) დროის კულტურულ ორგანიზაციაში რადიომიმღებთა, მაგნიტოფონთა, ფირსაკრავთა, ტელევიზორის გამრავლების მეოხებით სულ უფრო ფართოვდება კულტურის ე. წ. „შინაური (საოჯახო) მოხმარება“, რომლის აღრიცხვა, კონტროლი და, მაშასადამე, მოწესრიგება თანდათანობით ჩოტულდება...

ასეთ ვითარებაში ყოველდღიური ცხოვრების შემაღენელ ელემენტად გადაქცეული მასობრივი ინფორმაციისა და, მაშასადამე, ცნობიერების გაფართოების შესაბამისად ძლიერდება აქსელერაციის პროცესი. ახალმა დემოგრაფიულმა სიტუაციამ გამოიწვია საზოგადოებრივ წარმოებაში ახალგაზრდობის მნიშვნელობის შემდგომი გაძლიერება. შრომითი რესურსების საყითხი მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედში კიდევ უფრო გაააქტიურებს და გარკვეული გაგებით გაართულებს მატერიალური წარმოების ასპექტში ახალგაზრდობის მომზადებისა და პროფესიული ორიენტაციის პრობლემას. საქმე ეხება დაახლოებით ოთხ ათეულ მილიონ ჯან-ლონით საკუთარი ახალგაზრდის, ჭაბუკისა და გოგონას, ვაჟისა და ქალის გეგმაზომიერ, მიმღინარე მეცნიერული და ტექნიკური ჩევოლუციის, ე. ი. შეუჩერებლად წინმისწრაფებადი სოციალური სიტუაციის შესაბამის ფონზე მატერიალური და სულიერი წარმოების სულ უფრო მრავალწახნაგოვანი დარგებისათვის მომზადებას, მათი ცნობიერებისა და ყოფიერების ფორმირებას, მათგან ყოველმხრივ განვითარებული თაობის აღზრდას.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ დღემდე 140 მლნ საბჭოთა ადამიანმა

<sup>1</sup> «Социологические исследования», 1979, № 3.

მიიღო კომუნისტური წრთობა კომკავშირში და ისიც, რომ ამჟამად სკონტაქტებით 17% 30 წლისაზე უფრო ახალგაზრდაა, რომელთა საერთო რიცხვი 3 მლნ უახლოვდება და რომ ლენინურმა კომკავშირმა თავისი არსებობის მანძილზე 12 მილიონზე მეტ ახალგაზრდას მისცა პარტიაში შესვლის რეკომენდაცია.

თუ რამდენად ამაღლდა საბჭოთა ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის დონე, შედარებისათვის შეიძლება ავილოთ შემდეგი მონაცემები: კომკავშირის VI ყრილობას (1924 წ.), როდესაც კომკავშირმა მიიღო დიდი ლენინის სახელი, ესწრებოდა 996 დელეგატი, რომელთაგან 61% იყო დაწყებითი განათლებით, 18% — დაუმთავრებელი საშუალო და 14% — საშუალო განათლებით. მათ შორის არც ერთს არ ჰქონდა უმაღლესი განათლება. ხოლო კომკავშირის XVII ყრილობის (1975) 4729 დელეგატიდან 94 პროცენტი იყო უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლებით. ამ ყრილობამ სხვადასხვა თანამდებობაზე აირჩია 60 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი, 29 ასპირანტი.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სრ. საკავშირო ალკე XVIII ყრილობაზე (1978 წ.) ითქვა: „ჩვენი ქვეყნის 40 მილიონზე მეტი მოსწავლე, 4 მილიონამდე ქალიშვილი და ქაბუკი სწავლობს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, 9,7 მილიონ სპეციალისტს ამზადებენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები“<sup>1</sup>.

გამომცემლობა „ზნანიერ“ 1978 წ. დაიწყო ბეჭდვა მეცნიერულ-პოპულარული წიგნების სერიისა „მეცნიერება შენს პროფესიაში“<sup>2</sup>, რაც მოწოდებულია საჭირო ინფორმაციის მიწოდების გზით დაეხმაროს მოსწავლე ახალგაზრდობას, მათი მომავალი პროფესიის (სპეციალობის) შერჩევის სამეშვი.

უბრალო სოციოლოგიური დაკვირვება მოწმობს, რომ საშუალო სასწავლებლების უკანასკნელი კლასების მოსწავლეები 50—100—150 პროფესიაზე მეტს იშვიათად თუ ჩამოთვლიან, ხოლო ზოგიერთს 50-ის დასახელებაც უჭირს, მხოლოდ ყველაზე ნიჭიერი და ნაკითხი ბავშვები ახერხებენ 200-მდე პროფესიის დასახელებას. მათ არ ჰყოფნით ნაკითხობა, ინფორმაცია, რომ უფრო მეტი დასახელონ იმ 10000 პროფესიიდან, რაც არსებობს თანამედროვე ცივილიზაციაში ძირითად დასაქმებულობათა სახით... ხოლო ყოველგვარი სპეციალობა და კვალიფიკაცია ათა საერთო რიცხვი დაახლოებით 40 000 შეადგენს. და კიდევ მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციის ვითარებაში ყოველდღიურად ახალ-ახალი პროფესიები წარმოიქმნებიან.

„ზნანიეს“ წამოწყება მით უფრო მისასალმებელია, რომ მის გამო-

<sup>1</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1978, № 99.

<sup>2</sup> Наука в твоей профессии, М., 1978.

ცემებში არა მხოლოდ პროფესიები (და მათი ქვეჯუფები) არის ჩამოთვლილი, არამედ დახასიათებულია შესაბამისი სახალხო მეურნეობის დარგები და მათი ისტორიული განვითარების კვალობაზე პროფესიების (ხელობების) წარმოშობის პროცესები.

ასეთი საცნობარო ლიტერატურა უცილებელია ქართულადაც შეიქმნას, რათა ახალგაზრდას, რომელიც პროფესიის (სპეციალობის) შეჩევის მეოხებით არსებითად ირჩევს მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისი საქმიანობა-მოღვაწეობის სარბიელს, მატერიალური თუ სულიერი საზოგადოებრივი წარმოების სფეროს და, მაშასადამე, თავისი ყოფიერებისა და ცნობიერების ევოლუციის დიდ გზას, რაც შეიძლება სრული წარმოდგენა პერიოდების არსებულ (ქვეყნისათვის საჭირო) პროფესიებზე და, საერთოდ, მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების პირობებში მათი პერსპექტივების თაობაზედაც.

დაახლოებითი გამოანგარიშების საფუძველზე ცნობილია, რომ პროფესიული ორიენტაციის კარგად დაყენებულ ღონისძიებათა სისტემა შესამჩნევად ამცირებს ამ მხრივ მოსალოდნელ შეცდომებს და, გარდა ამისა, იძლევა სწავლის ხარჯების დიდმინიშვნელოვან ექონომიას, რაც 25 პროცენტამდე აღწევს. ამავე დროს თვით პროფორიენტაციის სისტემის შექმნა-პოპულარიზაციისათვის საკმარისია ამ ხარჯების მხოლოდ ორი პროცენტი!!.

ახლა აქ ისმის მაღალპრესტიუიანი და მეორეხარისხოვანი პროფესიის საკითხი.

სოციალისტური და მით უფრო კომუნისტური საზოგადოებისათვის ასეთი დაყოფა, ცხადია, არ არსებობს.

ყველა, საზოგადოებრივად სასარგებლო და საჭირო პროფესია საპატიოა და ერთობით ამშეენებს აღამიანს.

წვერით რას წერდა 17 წლის კ. მარქსი თემაზე: „ყმა-წვილის ფიქრები პროფესიის შერჩევის დროს“: „თუ ჩვენ ავირჩიეთ ისეთი პროფესია, რისთვისაც არა გვაქვს უცილებელი უნარი (ნიჭი), — ჩვენ ვერასოდეს ვერ შევასრულებთ მას ღირსეულად და მაღლე სირცხვილეულად დავრწმუნდებით ჩვენს საკუთარ უუნარობაში და მაშინ ჩვენს თავს უნდა ვუთხრათ: რომ ჩვენ ამ ქვეყნად უსარგებლო არსება ვართ, რომ ჩვენ ვართ საზოგადოების ისეთი წევრები, რომელთაც არ ძალუდო განახორციელონ თავისი მოწოდება (წადილი)“<sup>2</sup>.

მე ვფიქრობ, სკოლებში, განსაკუთრებით დამამთავრებელ კლასებში, უნდა ეწყობოდეს სპეციალური თათბირები პროფესიული ორიენტაციის საკითხზე. საუბრებს უნდა ატარებდნენ ამა თუ იმ პროფესიის ცნობილი სპეციალისტები.

<sup>1</sup> А. Соловьев, Профессиональная ориентация в социалистическом обществе, 1979, М.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 40, 1975, стр. 5.

სათანადო აღგილებში, სოფლად და ქალაქად, უნდა ტარდებოდეს პროფესიის შერჩევის საკითხისაღმი მიძღვნილი კონფერენციები, თავზე ბირები, კონსულტაციები. კიდევ მეტი: უნდა შეიქმნას პროფესიული ინიციატივის საკონსულტაციო ბიუროებს უნდა ჰქონდეს სათანადო გაწყობილობები, აპარატები, ხელსაწყოები, რეგულარული კავშირები სოციალისტური წარმოების, მოხმარების და განაწილების ყველა დარგთან: ფაბრიკებთან, ქარხნებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნეობებთან, მშენებლობის საწარმოებთან, აგრეთვე ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, მომსახურების სფეროს დაწესებულებებთან, შესაბამის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებთან, რათა ახალგაზრდობას, ყველა მსურველს (საჭირო მასალათა, საერთოდ, ვითარების შესწავლის საფუძველზე) სათანადო რჩევა-დარიგებას, ახსნა-განმარტებას აძლევდნენ, კონსულტაციას უწევდნენ მისთვის შესაფერისი, მისი ნიჭისა და უნარის შესაბამისი პროფესიის (სპეციალობის) შერჩევის, სათანადო უმაღლეს სასწავლებელში შესვლის, ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის დაწყებისა და სხვა საქმეში.

პროფორიენტაციის ბიუროებს შეიძლება შეუთავსდეს შრომა მოწყობის ფუნქციები.

პროფესიული ორიენტაციის საკონსულტაციო ბიუროების შრომამოწყობის სექციებს უნდა ჰქონდეთ არსებული საცნობარო ლიტერატურა როგორც საერთოდ პროფესიათა ნომენკლატურის, ისე მრავალგვარითანამედროვე ცალკეული პროფესიის დაწვრილებითი აღწერის, პროფესიულ ცოდნაში (შრომის გამოცელაში) მიმდინარე ცვლილების, ახალი სპეციალობების გაჩენის და ამ დარგებში საჭირო მომზადების შეძენის თაობაზე.

ეს საქმიანობაც, ცხადია, კოორდინირებული უნდა იყოს საწარმოებან (ქარხნებთან, მშენებლობის ობიექტებთან...), რათა ახალგაზრდას საშუალება მიეცეს, თვითონ გასინჯოს, ასე ვთქვათ, თვითონ მოიზომოს თავის თავზე ესა თუ ის სპეციალობა (სამუშაო) და შეარჩიოს მისთვის უფრო სასურველი, ხელსაყრელი და მისალები პროფესიის.

სკპ XXVI ყრილობის მიერ მიღებული — „სსრკ ფკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კადრების მომზადების ხარისხის ამაღლებას, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიმართულებათა მიხედვით სპეციალისტების გამოშვების გადიდებას. უმაღლესი და საშუალო სკოლის, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებათა ამოცანაა, რათა გამუდმებულად სრულყოფინენ სწავლების პროცესს, აქტიურად უნერგავდნენ მოზარდ თაობას საზოგა-

დოებრივი მოვალეობის გრძნობასა და კომუნისტურ მსოფლმხედველობას... პარტია მოითხოვს მეტი ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციას.

აქვე დასახულია სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისათვის ახალგაზრდა კადრების მომზადების ორნისძიებათა მთელი სისტემა, რომელთა ცხოვრებაში განხორციელება უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ახალ დონეზე ამაღლების დიად საქმეში.

\* \* \*

ლენინური კომქავშირი ახალი დიდმნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდა თავისი არსებობის 60 წლისთავს, კომუნისტებთან ერთად კომქავშირები, როგორც მაორგანიზებელი ძალა, მოწინავეთა რიგებში იმრჩევიან ახალი ხუთწლედით დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობაში მონაწილეობს 20 მილიონზე მეტი გოგონა და ჭაბუკი<sup>1</sup>. საერთოდ საბჭოთა ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, რაც სკკ XXVI ყრილობის მიერ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა პირველხარისხოვან ამოცანადაა დასახული. ეს გარემოება ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეუნევმა ალკ XVIII ყრილობაზე თავის გამსცელაში.

სსრკ ახალი კონსტიტუცია, სახელდობრ, მისი მე-17 მუხლი, განსაზღვრავს, რომ საკ. ალკ თავისი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, მეურნეობრივი და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაჭრაში. ხოლო ამავე კონსტიტუციის 51-ე მუხლი სრულ გარანტიას იძლევა, რომ კომქავშირმა, — რომელმაც პარტიის ხელმძღვანელობით დიდი გამოცდილება შეიძინა სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში მონაწილეობის მეოხებით, — წარმატებით განახორციელოს ეს ამოცანები.

ახალი კონსტიტუციით ჩვენს ახალგაზრდობას მინიჭებული აქვს უფლება 18 წლის ასაკიდანვე აირჩიოს და იყოს არჩეული, ხოლო უმაღლეს საქანონმდებლო ორგანოში — სსრკ უმაღლეს საბჭოში — კი არჩეული იყოს 21 წლის ასაკიდან. გასაგებია, რომ ახალ თაობას ეს გარემოება კი ისრებს დიდ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და ამასთანავე შე-

<sup>1</sup> Б. Пастухов, Активная жизненная позиция советской молодежи («Коммунист», 1978, № 11).

საძლებლობას აძლევს უშუალო მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვა-  
გამგეობის საქმეებში.

დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამჟამად, მაგალითად, სსრ კავში-  
რის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში მონაწილეობს ერთ  
მილიონზე მეტი ახალგაზრდა, თითქმის იმდენივე ახალგაზრდა არჩეუ-  
ლია პროფესიულ კომიტეტებში და ა. შ.

ლენინურ კომკავშირს მისი ალკა ცკ სახით, კონსტიტუციის 113  
მუხლის თანახმად, სსრკ უმაღლეს საბჭოში აქვს საკანონმდებლო ინი-  
ციატივის უფლება, რაც კიდევ ახალი დადასტურებაა ჩვენი პარტიისა  
და საბჭოთა სახელმწიფოს მხრივ იმ დიდი ნდობისა, რითაც კომკავშირი  
სარგებლობს.

1978 წ. 5 მაისს ბონში გფრ ხელმძღვანელთა პატივსაცემად გამარ-  
თულ საუზმეზე თავის გამოსვლაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეუნევმა თქვა:  
უკეთესი მომავლის, მშეიძლიანი თანამშრომლობის გზის განმტკიცე-  
ბისათვის „...დიდი მნიშვნელობა აქვს ერთმანეთის შესახებ სწორ და  
კეთილმოსურნე ინფორმაციას. ადამიანები, უწინარეს ყოვლისა, ახალ-  
გაზრდობა, უნდა აღვზარდოთ სხვადასხვა ხალხებისადმი პატივისცე-  
მის სულისკვეთებით, გავთავისუფლდეთ ისეთი იდეებისა და წარმოდ-  
გენებისაგან, რომლებიც ტყვიასავით წარსულისაკენ გვეწევიან. აქაც  
უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მასობრივი ინფორმაციის სა-  
შუალებებს; სკოლებსა და უნივერსიტეტებს“<sup>1</sup>.

ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა, მთელი ჩე-  
ნი ქვეყანა დიდი გულმოლგინებით ემზადებოდა XXII ოლიმპიადისა-  
თვის, რომელიც 1980 წელს გაიმართა. მრავალ გრანდიოზულ ღონის-  
ძიებათა შორის, რაც ამ ოლიმპიადისათვის გაკეთდა, საკმარისია ითქვას,  
რომ მოსკოვში აშენდა მთელი მიკროქალაქი — ოლიმპიური სო-  
ფელი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით, სპორტულ  
და ადმინისტრაციული კორპუსებით, კულტურული ცენტრითა და სხე-  
ისიც აღსანიშნავია, რომ XXII ოლიმპიადის მოწყობაში სპორტ-ინენ-  
ტარისა და აღჭურვილობათა მიწოდების საქმეში მონაწილეობას ღებუ-  
ლობდა ორმოცდათხე მეტი უცხოური (უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოს-  
ლოვაკიის, გერმანიის დემ. რესპ., ფინეთის, აშშ, კანადის, იაპონიის,  
იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიის და სხვ.) ცნობილი ფირმა. კი  
დევ სხვა ბევრი რამ გაკეთდა, რათა სპორტული ახალგაზრდობის ეს  
მსოფლიო ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა ათასობით  
უცხოელი ტურისტი, ყოველმხრივ მაღალ დონეზე მოწყობილიყო და,  
ამგვარად, დიდი როლი შეესრულებინა პლანეტის ყველა ქვეყანასა და  
ხალხთა შორის მეგობრობისა და მშეიდობიანი თანამშრომლობის გან-  
მტკიცებისათვის ბრძოლაში.

<sup>1</sup> „კომუნისტი“, 1978 წ., № 180, 7 მაის.

## ՑԱՐՑՈՒՑԵՐԸ ՀԱՅՈՒԹՈՒՆ

- И. Кон, Студенчество на Западе как социальная группа («Вопросы философии», 1971, № 9);  
 В. Матвеев, Политические аспекты социологических концепций индустриализма, 1970;  
 Ю. Торсунов, Социальное управление и молодежь, 1969;  
 В. Шариков, Судьба «Доклада Стрэнтона» (журн. США, 1971, № 10);  
 В. Капица, Некоторые принципы творческого воспитания и образования современной молодежи («Вопросы философии», 1971, № 6);  
 Общество и молодежь (сб. статей), 1969, М.;  
 М. Карпов, Проблема возраста ученых и научных коллективов, 1970;  
 Теоретические проблемы демографии, 1970, М.;  
 Проблемы социальной структуры, 1971, Свердловск;  
 М. Руткевич и В. Ксенонопонтов, Социальная ориентация выпускников средней школы, 1974, Свердловск;  
 Молодежь и образование, 1972 (сб. статей);  
 В. Шубкин, Социологические проблемы выбора профессии, 1979;  
 В. Бодзинская, О социальной обусловленности выбора профессии;  
 А. Сарапета, Привлекательность профессии;  
 М. Боярская, Проблемы выбора профессии советской молодежью;  
 Ю. Тульский, Отношение молодых рабочих к профессиональному труду. Социальные проблемы труда и производства, 1969;  
 Ю. Левада, Сознание и управление в общественных процессах («Вопросы философии», 1966, № 5);  
 Преемственность поколений как социологическая проблема, 1973;  
 В. Болгов, Бюджет времени при социализме, 1973;  
 Х. Вандер, Миграция и интеграция рынков рабочей силы, 1974;  
 Л. Копысов, Учебный труд в условиях научно-технической революции и его роль в развитии личности студента, 1974;  
 А. Афанасьев и др., Молодежь и общественный прогресс, 1974;  
 В. Кудряшов, Развитие социальной структуры социалистического общества и изменение социальной ориентации молодежи;  
 Реф. журналиы: «Науковедение» — 1973—1980 гг.; «Экономика», — 1974 — 1980, «Философия и социология» — 1973—1980;  
 В. Калигин, Идеологическая борьба и молодежь, 1974;  
 С. Иконникова, Молодежь. Социологический и социально-психологический анализ, 1974;  
 Б. Урланис, История одного поколения, 1968;  
 М. Иовчук, Идейно-философское наследие В. И. Ленина и проблемы формирования советской молодежи, 1974;

- Социально-экономические проблемы труда молодежи (Материалы к изучению политэкономии социализма), 1974;
- Проблемы быта, брака и семьи (Сб. статей), 1970;
- Вопросы уровня жизни населения, 1971;
- Изучение воспроизводства населения (сб. статей), 1968;
- Е. Бугров, О масштабах безработицы в США (МЭМО, 1969, № 9);
- Ю. Колосова, Миграция населения в США (МЭМО, 1962, № 5);
- А. Мельников, Интеллигенция США (МЭМО, 1970, № 1);
- Г. Зайцев, Молодежь — ведущий источник пополнения трудовых ресурсов, 1971;
- М. Ковалев, К вопросу об использовании трудовых ресурсов молодежи («Уч. выписки», 1968);
- Б. Лившиц, К вопросу о соц.-экон. содержании трудоустройства молодежи («Уч. зап. Свердл. гос. пед. ин-та», 1970);
- Л. Суслова, Молодежные союзы в политической организации капиталистического общества (Диалектика социального развития), 1974;
- С. Губина, Значение трудового воспитания студентов высших учебных заведений..., 1973;
- Молодежь, Образование, воспитание, профессиональная деятельность, (Сб. ст. 1978).
- Проблемы политического воспитания и повышение общественной активности молодежи, 1974;
- В. Роговин, Молодежь и общественный прогресс, 1974;
- Современная идеологическая борьба и молодежь, 1973, вып. 1;
- Х. Вандер, Миграция и интеграция рынков рабочей силы, 1974;
- В. Болгов, Бюджет времени при социализме, 1973;
- И. Чагин, Труд, 1973;
- Л. Чуйко, Браки и разводы, 1975;
- Население СССР в 1973, стат. сб., 1975;
- Е. Тяжельников, Ленинские заветы молодежи и современность («Вопр. Философии», 1974, № 8);
- В. Больщаков, Бунт в тупике?, 1975;
- В. Чупров, Научно-техническая революция и проблемы студенческой молодежи, 1975.
- Формирование профессиональной направленности студентов педагогических институтов. Педагогическая этика: Проблемы и опыт, Сб. статей, под ред. Э. Гришина, 1979;
- Образовательная и социально-профессиональная структура населения СССР. Сб. статей, 1975.
- В. Коробейников, Голубой чародей. Телевидение и социальная проблема, М., 1975;
- Г. Иванов, Социальная сущность теории конвергенции, М., 1975;
- Процесс социального исследования, М., 1975;
- Проблемы научного коммунизма, вып. 1—4, 1967—1978;
- Исследование проблем молодежи в ГДР, Сб. статей, М., 1976;
- В. Староверов, Социально-фемографические проблемы деревни, М., 1976;
- Т. Мочульская, Стимулы роста культурно-технического уровня молодых рабочих, 1979;
- Б. Пастухов, Отчет ЦК ВЛКСМ и задачи комсомола по формированию у молодежи коммунистической сознательности..., М., 1978;
- И. Володин и др., Международный союз студентов, М., 1980;
- Журн. «Социологические исследования», 1974—1980;
- Журн. «Наука и жизнь», 1965—1980;

Журн. «Проблемы мира и социализма», 1971—1980;  
 Журн. «Америка», 1967—1980;  
 Журн. «США», 1973—1980;  
 Журн. «МЭМО», 1971—1980;  
 Журн. «Курьер Юнеско», 1965—1980;  
 «Журналист», 1971—1980;  
 Журн. «Экономика», 1964—1980;  
 Журн. «Вопросы экономики», 1965—1980;  
 «Вопросы философии», 1966—1980;  
 Журн. «Новая и новейшая история», 1970—1980.

სეკც 26 XVI ყრილობის მასალები, 1981 წ.  
 სეკც 25 ყრილობის მასალები, 1974 წ.  
 ლ. ი. ბრეენი, ლენინგრადი კურსით. სიტყვები და სტატიები, სხვადასხვა  
 ტომი.

3. ი. ლენინი, თხზულებანი, სხვადასხვა ტომი.
3. მარქსი, კაპიტალი ტ. I, 1954, თბ.
- კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის ლოკურენტები, 1969, თბ.
3. ჭამათავა, მთებში იბრძვიან გმირები, 1976, თბ.
3. ქარუმიქე, ღვაბიძე ე. საქართველოს ახალგაზრდობის შრომითი მასაცობა ყმირზე, 1979, თბ.
6. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, 1862, თბ.
8. სალარაძე, ჩვენი ახალი თაობა, 1897, ქუთაისი.
- დ. უზნაძე, შრომები, ტ. III—V, 1964—1967, თბ.
- გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, ტ. I—II, 1970—1971; მისივე, ქართული ეურნალისტიკა, ტ. I, 1941, თბ; მისივე, კარლ მარქსი, ქართულ პებლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, IV გამოცემა, 1971, თბ.
6. ოქროპირიძე, ყველაფერი ბავშვობიდან იწყება, 1979, თბ.
- ა. ციბაძე, «მხედრობათა შინა კალიგრანი» (ქართული სპორტის ქრონიკები) 1980, თბ.

Вопросы коммунистического воспитания молодежи, 1980, М.

Профессиональная ориентация молодежи, 1978, М.

Коммунистическое воспитание молодежи, Сб. ст., 1980, М.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. თანამომღერევნოობითობისათვის . . . . .	3
2. ახალგაზრდული მოძრაობის საწყისები . . . . .	20
3. ახალგაზრდული მოძრაობის ფორმები . . . . .	26
4. კომუნიკაციების უახლეს საშუალებათა როლი . . . . .	33
5. ახალგაზრდული მოძრაობის სოციალური ბუნება . . . . .	44
6. სტუდენტთა მოძრაობა აშშ-ში . . . . .	49
7. ახალგაზრდობის პროფესიული დასაქმებულობისათვის . . . . .	58
8. სამი თაობის წრეში . . . . .	68
9. ახალგაზრდობის პრობლემა ქართულ პუბლიცისტიკაში . . . . .	82
10. მიგრაციისა და ურბანიზაციის მნიშვნელობა . . . . .	86
11. პროფესიული ორიენტაციისათვის . . . . .	92
12. პროფესიონალობისათვის რაობისა და სტიმულირების საკითხები . . . . .	107
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	119
<b>ს ა რ ჩ ე ვ ი</b> . . . . .	<b>122</b>

ИБ № 1337

რედაქტორი გ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი  
მხატვრული რედაქტორი ნ. ვ ე კ უ ა  
ტექნიკადაქტორი ნ. ძ ნ ე ლ ა ძ ე  
უფროსი კორექტორი მ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი  
კორექტორი ც. ნ ო ზ ა ძ ე  
გამოშვები ლ. ს ა რ ჯ ვ ა ლ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 11/VI-81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდალ  
3/IX-81 წ. ქალალის ზომა  $60 \times 90^1/16$ . საბეჭდი ქალალი № 2 ნა-  
ბეჭდი თაბახი 7,75. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,37.  
უ 00 453 ტირაჟი 3 000 შეკვეთა № 1481  
ფასი 25 ქაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5  
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5  
1 9 8 1

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის  
სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.  
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государст-  
венного комитета Грузинской ССР по делам издательств, по-  
литографии и книжной торговли, пр. Дружбы № 7

**Гугушвили Паата Виссарионович**  
**СОЦИОЛОГИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ МОЛОДЕЖИ**  
**(На грузинском языке)**

შასი თე გავ.

ა + / 4

